

კვირის აალიტრა

რას უგონებენ  
პუბლიცის

კვირი

N21(50) 24/V.-30/V.2001.

ლარი 60 ლ.

1168  
2001

93

თბილისის  
ყველაზე პატარა  
მხატვრის რევენა

24  
25

აა ვავლალობაში ეჭვიტანილი „ელიზის“  
კრაზიზის გვიღია...



...ნაცა ბაქარაძე მიზინის სედ სამი თვის  
გაცნობილი ჰყავდა. თუმცა, ამ პატარა  
დროში ესი უცომოდ შეივარება უკლო...



**იტალიის ინტერპოლის შეფი  
რუდოლფო რონკონი:**

**„საჭაური იჩაღიარ აიცას მაგრებს.  
როგორ მზადდება? ვაჲიოლა, ქვირვასო,  
იქვე კალამი მოგეხარჯვებინა და  
რაცეაპი ჩაგვთარა. მომიმზადებ ხოლო.“**

**33.4**

### მინიატერები

„პოლა, ჩვენ  
თავისუფლები ვართ!“

3

### სტერეო

0 მარტის 06 მომავალის შევმა  
ხაჭაპურის რეცეპტი გამოიძია

4

### საკლასოვარი

ვასტანებ რჩეულიშვილი:

„მოქალაქეებს“ სადაც  
უვარიათ, ისევ იქ ივაჭრონ...“

6

### მსაზოგი

ბუბა კივაბიძე:

„ჯანო მიას ვესსაცმელები  
გავატარე მთელი ჯეელობა...“

8

### ეცელები

„ვალები ენერგოსისტებაში  
გამუდმებით ჩნდება, ღლესაც  
ხდება მათი წარმოქმნა...“

11

### ჟურნალი

ტყუპარ ბერმა ლელა მონათლა

13

### ფინანსი

არმინას ქალიშვილება „თაილის“  
სახელი არ გამოუცვალა

16

### სასახლელო აზრები

ავორიგების ენიკოვანებია

17

### ადამიანი

„ე დედა ახლაც მასერვს...“

18

### ჟასტი

ერთგული მკითხველი

19

### კრიმინალი

- „მირს დაცემულს მივვარდი...  
ჩემი შვილი უკვე მთლად

20

თეოტი და გამაშებული იყო“

22

### კარსონი

„ჩვენს კვეყანაში ჩრდილოვანი  
კერძოებია „წახალისებულია“

24

### კოლეგი

„აუდიენცია“ და მისი შევი მალა  
ქართულად ახმიტყველდებიან

26

### პირი

თავისუფლების მარადიული  
მხედარი

28

### განამდებობის მიმართ იქვემდებარება

ტესტი ერთგულია

30

### ფინანსობრივი ინახვა

არსებითი 60 მან-თვის სებების  
განსაზღვრა


31

### სამართ

ცის გვილის მოუსყიდვები  
მიმდებარები

32

# თავისუფლების მარადიული მხედარი



ნოდარ წულეისკირმა თქვა:  
„ქაქუცა ჩოლოყაშვილის შემდეგ  
ეროვნული გმირი ჩვენ არ ვყო-  
ლია. გამოჩნდა ყმაწვილი, ვინც  
სკოლის მერიდანვე ააფრიალა  
თავისუფლების ღროშა, დაბადები-  
თ, ბუნებით, მოწოდებით აღ-  
მოჩნდა გმირი.“

28

# „ჯანო ქია ფეხსაცემების გამატარე მიმდინარე ჯემობა...“

მალიან ცუდად ვიყავი. მოვი-  
და ნანი, ეცვა ელამაზესი კაბა,  
ვუთხარი: ნანი, რა ლამაზი კაბა  
გაუგია-მეთქი! ნანი მპასუხობს:  
შენ რომ მოკვდები, აი, იმის –  
ვიდაც მკერავის სახელი მითხრა  
– შეკერილ ძალიან ლამაზ კა-  
ბას ჩავისუამ და სულ შენ გვერ-  
დით ვიჯდებიოთ...



8

# „ჩ მავლელობაში ეჭვიტანილი, „ელიზოს“ პრეზიდენტის ეპოლი



მიშიკოს დაცემის შემდეგ, ელი-  
ზარაშვილიც გაშორდა იმ ადგი-  
ოლს, თუმცა მას გარდაცვლილის  
და გაეკიდა. ელიზბარაშვილი გო-  
გონასკენ შემობრუნდა და პისტო-  
ლები ძასაც დაუმიმნა. ამის შემ-  
ხედვარე ბიძა მისკენ გაემართა,  
ელიზბარაშვილმა მისი მიმართუ-  
ლებითაც გაისროლა.

20

# „მოქალაქეებს“ სადაც უკაშრიათ, ისევ იქ იკაშრო...“

გავიგე: რომ თურმე დეპუტა-  
ტის გადაბირება 8.000 ლარი  
ღირს. მაგრამ მამინ, როცა გოგი  
თოფაძეს ერთი რესტორანი  
უღირს 8.000 ლარი და ქრთამის  
ხათრით მდივანსაც კი არ აიყ-  
ვანს, ეს თანხა, უბრალოდ,  
სასაცილოა.



6

<b>თელეცავი</b>	
ცმილება მოწამენი რონი	
ძმანი ღავითი და ტარიჭანი	34
<b>სორტის ლაგაზები</b>	
ესერაბირ – „მოგამბიკელი ჯიქი“	35
<b>ფილმები</b>	
თუ მამა ლოთია,	
დედა კი „შიბოგენი“...	38
<b>მოწა</b>	
• ლერუს სხეული და	
გოტიეს ვახები	41
• რას გვიავაგობს ამ	
გავსულს უოლცორდი	43
<b>კარსკლავი</b>	
მუშტი-კრიზის მოყვარული	
კერძორიკიველი ქალბატონი	44
<b>ლევალი</b>	
ვანო ჩხილავამე.	
საყვარელი	47
<b>აცილევარადანი</b>	
06 ზორაციულ-შემაცნებითი	
კოლაჟი გოჩა ღვალის	
უბის წიგნეაკიდან	48
<b>კაზო</b>	50
<b>ასეიზები</b>	
მას არაუერი პერნია,	
ნიკის გარდა	52
<b>კანისთალობა</b>	
• ინფარქტის წინა	
ედგომარეობა	54
• ვისაც წევა აწუხებს	54
• სახე – აღამიანის	
სავიზიტო ბარათი	55
<b>კადაგის-ლაგაზე</b>	
მგრივიელთა მჩაგვრელი	
ვილათიროვი ენდრიუ კარები	56
<b>მილიონერები</b>	60
<b>სკანდალი</b>	61
<b>კოროცოვი</b>	
ავირის (28.05-3.06)	
ასტროლოგიური პროგნოზი	62
<b>ფასტი</b>	
შეგიძლიათ თუ არა	
თავის ფლობა?	63
<b>კალაილოები</b>	
ჭრელ-ჭრელი ამბები	64

**გარეპარეზ: ვიორები შორეოლიანის კოლაჟი**  
 საზოგადოებრივ-კოლორისტი უზრუნველი „გადა“  
 გამოსის პალრაზი მრთხელ, ხუთვაბათობით  
 გაზეთ „კვირის აალიტრის“ დაგატება  
 უკრალ ხელმძღვანელობა თვითიუფლები პრენციპებით.  
 რედაქტორი: აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 რედაქტორი: გოჩა ტუშელაშვილი  
 მერკერი: ქაზო ბიჩინაშვილი  
 მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
 უზრუნველი ინტერნეტ გამოწვევლობა „კოლორში“

## ნვენე ქვეყანაში ჩედილოვანი ეპონიმის „ნახალისებულია“



მთავრობის ბოლო სხდომიდან გამოსული მაჭავარიანი დადონებული იყო: „არა, ჩვენ არაფერი გვეშველება. ეს სისტემა მთლიანად უნდა დაინგრეს, რომ მერე თავიდან დაიწყოს ყველაფერი“. ინტერვიუს დროს კი, მინისტრს პრეზიდენტმა დაურეკა...

24

## მუმტი-პრიზის მოგვარელი კუმრტორიზმის ქალგატონი

ჯენიფერ ლოპესის ვარსკედავად ჩამოყალიბებას მისმა მებრძოლმა სულმა შეუწყო ხელი. მაგრამ, ადამიანის ნაკლოვანებები მის ღორსებათა გაგრძელებადა. ამპარტავნობა ჯენიფერს კინაღამ კარიერის ფასად დაუკდა, რადგან ერთხელ ისეთ ადამიანებს „შეეჯახა“, ვისთან ურთიერთობის გამწვავებაც ნამდვილად არ ღირდა...



44

## ესებით – „მოზამბიელი ჯიქი“



ეუსებიო – პორტუგალიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, სულც არ იყო პორტუგალიელი. იგი მოგამდინარე – პორტუგალიის კოლონიაში დაიბადა და გაიბარდა. იგი გბის გამკვალავი გახდა იმ აფრიკელი ფეხბურთელებისა, რომლებმაც შემდგომში მსოფლიო ოლიარება მოიპოვეს.

35

## ცეფები

გოია მაინც იბრძოდა. ბორგავდა, ქანაობდა, კვინებოდა ძველი, ტენტიანი ვილისი. მერე ქალი ერთბაშად დარბილდა, დამყოლი, თვინიერი გახდა. გაავებულ კაცს მოუერებით მოხვია მელავები, რომ ეცებ კარი გაიღო და მაშინვე მოჯახუნდა.



47

# „პოპლა, ჩვენ თავისუფლები ვარი!“

„პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ – ასეთი სათაურის პერსა იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრში ერთ დროს.

26 მაისი მოდის – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ: „პოპლა, ჩვენ თავისუფლები ვართ!“

ზუსტად ისე, როგორც ცირკშია – „ფოკუსნიკი“ (ქართულად აღიათ „მეფოკუს“ პერსა) თავის ცილინდრში მტრებს რომ ჩასვაშს, ჭრელ ნაჟერს გადააფარებს, დაიძახებს: „პოპლა!“ და მტრების მაგივრად კურდელს ამოათოვეს ფურებით.

ჩვენი ფოკუსნიკი თუ მეფოკუსე ვინც არის, ყველამ კარგად ვიცით და ვის „პოპლაზე“ ვეიდივართ ყურებით შეშინებული კურდლებით, არც ეს არის საიდუმლო: ფოკუს დღესაწაულზე დაიძახებს ხოლმე: „პოპლა, საქართველო ცოცხლობა!“, ფურებით დაიჭერს და მთელ მსოფლიოს დაანახვებს ხოლმე, რომელიც ცირკის მაყურებლებისა არ იყოს – თვალებს არ უჯერებს, რომ კურდელი მართლაც ცოცხალია, თუმცა წლიდან წლიმდე უფრო იქცება და თვალებსაც უფრო ფართოდ ჭყეტს.

ისე, ხუმრობა იქთ იყოს, და მის მიუხედავად, რომ „მშრომელთა დემონსტრაციებზე“ ძალით მიგვათრევდნენ, ოფიციალური დღესასწაულები მაინც სასიამოვნო მოვლენა იყო კომუნისტების დროს – ტელევიზორში „გაღუბო აგანიოკი“ და მაღაზიებში ტეატრი სოს-ისები.

ასელა ყველაფერი „გაღუბოია“ ტელევიზორში: „აგანიოკიც“, წამყვანიც და მისი გადაცემაც, სისისი კი მიღენი ჭრა მაღაზიაში, რომ ის გემო აღარ აქვს, წელიწადში ერთხელ საჭმელ ნუგბარს რომ პქონდა...

კაცმა რომ თქვას, მერხელობაც არის ყველაფერზე შაყირი – დამოუკიდებლობის დღე ხომ ის დღეც არის, როდესაც ის წარმატებები უნდა გავიხსენოთ, რასაც ერთი წლის მანძილზე მივაღწიეთ.

ამიტომ უკბილო ხუმრობა გვერდით გადავდოთ და სერიოზულად ვისაუბროთ: გასული 26 მაისის შემდეგ საქართველოს 250 ათასმა მოქალაქემ მოოგზაურა საზღვარგარეთ, აქედან 200 ათასზე მეტი დღესაც აგრძელებს ამ „მოგზაურობას“ და არც აპირებს ჩამოსვლას;

თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში გაიხსნა კიდევ 16 კაზინო და 62 ტოტალიზატორი, რაც ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის თვალნათელი დადასტურებაა;

საქართველოს პარლამენტში ჩამოყალიბდა ორზე მეტი ახალი ფრაქცია, ხოლო საოცდაექვსმაისოდ მთელი ოპოზიცია გაერთიანებას აპირებს: „მომქმედ მოდალატეს დედამც შეერთოს ცოლადაო“ – გამოაცხადეს (თანამედროვე ქართულით ეს უფრო უშუალოდ უდერს: „ჩემი დედა...

თუ ჩაგიშვათ!“);

ქართული არმიის ჯარისეკაც-თა 16,5 პროცენტი უზრუნველყოფილ იქნა ფეხსაცმლით, ხოლო კიდევ დაახლოებით 70 პროცენტზე გაიცა თითო – მარჯვენა (ცაციებისთვის – მარცხენა) ფეხსაცმელი. მომავალი 26 მაისისთვის დაგვეგმილია ამ ფეხსაცმელებისთვის ამერიკული „შემროკების“ გაცემა;

თბილისის მეტროს სადგურების ამოსასვლელებთან, ბაზრობების შესასვლელებთან და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებთან გამოიყო სპეციალური პუნქტები მათხოვრებისათვის, თითო ჩამოსავლომი აგურითა და კონსერვის ცარიელი ქილით, გარდა ამისა, ყველა მათხოვარი გათავისუფლებულია გადასახადებისაგან;

„საანგარიშო პერიოდში“ კალავ გაგრძელდა ქართული ტოლერანტობისა და რელიგიური შემწყნარებლობის დემონსტრირება: მხოლოდ ბოლო ექვს თვეში ჩამოყალიბდა და ოფიციალური რეგისტრაცია გაიარა თოხმა სატანისტურმა, ხუთმა მაზოხისტურმა და გეების ექვსმა სექტამ;

დიდი ნაბიჯებით მიიწევს წინ სიტყვის თავისუფლება – ყველა გაზეთი ან ტელეარხი, რომელიც ყოველდღე ერთხელ მაინც არ შეაგინებს პრეზიდენტს, პარლამენტსა და მინისტრების „სასტაცეს“ (ასე ვთქვათ, რაღაც მინისტრთა კაბინეტი ჯერ არ არსებობს), პრესის კანონის საფუძველზე დიდ უსულად ჯარიმას იხდის „დემოკრატის ფონდში“;

დაბოლოს – ყველაზე მთავარი: გასული წლის პილიტიკური დებატებისა და ვნებათაღელვის პირმშოა ჩვენი ქვეყნის ყველა დარჩენილი სატკივრის (თუმცა ასეთი ძალიან ცოტა დაგვრჩა) უბარი წამალი – მომავალი მინისტრთა კაბინეტი და პრემიერ-მინისტრი. აბა, მაშინ ნახეთ „პოპლას“ ძახილი და ფოკუსები!

P.S. 26 მაისს თბილისში ახალი სტადიონი იხსნება, რომელზეც საქართველოს თასის ფინალური მატჩი ჩატარდება – „ტორპედო“ „ლოკომოტივს“ ეთამაშება. გვიყვარს ქართველებს რეტრო: „ტორპედო“, „ლოკომოტივი“, „დონამო“... დალოცვილ ძველ დროს გვახსენებს. აბა ის იყო საქმე, ერთი პროიოდი „დინამოს“ „იბერია“ რომ ერქვა და „ტორპედოს“ – „აია“?!

პირიქით, ის დრო მოდის, „მერანს“ „ავტომობილისტი“ ვუწოდოთ, „დილას“ – „ვასხოდი“ და „ვიტ-ჯორჯიას“ – „ვიტ-გრუზიას“.

ერთი სიტყვით: „პოპლა, გიურ თავისუფალია!“

ამიტომ ჩვენ თავისუფალი ქვეყანა ვართ!

პროგრამატიკი

გასულ კვირის თბილისში 42 ქვეყნის ინტერიორის ხელმძღვანელები ანტონი მოიცარებს თავი. თუმცამა, ინტერიორის 30-ე თავის ინტერიორის საკუთრებით კრისტიანო სულაც არ დაუფრთხისა. დედაქალაქის „მავი“ და „ჭრილი“ სამყარო ჩვეული რიგმით ცხოვრიბდა. მოხედავად ამისა, საქართველო ინტერიორის წევრი მანც გახდა. ამ მოვლენის ალსანიშნავი ცერემონიალი და მთლიანად კონფერენცია, შესაბამისი რეზოლუციის მიღებით დასრულდა; რეზოლუციებს, ბრიფინგებსა და „პალსუხიანა“ შევეცრებს მიღმა კი, სულ სხვა სურათი გადაგმულება ხოლმე. მეც, ჩვენს უცოლენ რესპონცენტს, „კულისებში“ ჩავისაფრიდი, ხოლო ის, რაც ურნალისტებისთვის „კულისა“, „ხალხურ ენაზე“ ქართულში სუფრა ეწოდება.



# იტარის ინტერიორის ენაზე საჭიროების რეაციები გამოიქიანა

ქათი ბერებაშვილი

რესტორნამდე კი იყო ექსპურსია ჯვარზე. იქნარ მიღამოებს ჭინჭველებივით შესეული სტუმრები, კენჭს არ ტოვებდნენ დაუთვალიერებელს. ფოტოაპარატებიც აჩხაკუნენ. ჩემი იტალიელი რესპონდენტი – იტალიის ინტერიორის შეფი, რუდოლფო რონკონი ძირფესვიანად დაუუფლა ჯვრის აგებისა და მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების ისტორიას. მას არც მეუღლე – ქალბატონი ფაბიოლა ჩამორჩა და ტაძრის ყოველ კედელთან სამახსოვრო ფოტოსურათი ვადაიღო. ჭიშკრიდან გამოსვლისას კი, ბატონმა რუდოლფომ ჩამჩრებულა: საქართველოში, ქართველი ქალბატონების შემდეგ, ცველაზე ძალიან ისტორიული ძეგლები მომენტონაო (კიდევ კარგი, ქმრის უერადღების მოდარაჯე ფაბიოლას ეს არ გაუგონია).

სუფრასთან უკვე დრო ვისელთე და იტალიური მაფიის რისხვასთან ახლოს მოვკალათდი. თუმცა, მანამდე ყურა-



დღებით გამომკითხა, რომელი უურნალიან ვიზუალი, რა პერიოდულობის გამოცემაა და ა.შ. მე კი, მისი პოლიციური სიფხიზე რომ მომედუნებინა, დიქტოფონი არ გამომიჩნია. შორიდან მოვუარე და ვკითხე, აქაურობა როგორ მოვწონთ-მეთქი?

– თქვენი ხალხი, ბუნება, ჰავა იტალიურს ძალიან ჰგავს: თავი ჩემს ნებოდში მგონია. ფაბიოლას სურვილი

თუ იქნება, კიდევ ჩამოვალ (ფაბიოლა ამ დროს შემწვარ გოჭს „უტევდა“ და მეუღლის სურვილს მოგვიანებით დაუთანხმა).

— **აქაური პოლიციაც მოგენონა?**

– რატომაც არა?! მათი გაცნობით კაფეოფილი ვარ. ასეთი შეხვედრა კიდევ ბევრი გვექნება. ჩვენ უკვე კარგი მეგობრები ვართ და თანამშრომლობაც კარგი გამოგვივა. ასე რომ, საქართველოსა და იტალიის კრიმინალებო, ფრთხილად იყავთ! (იცინის).

— **როგორ, ყველაფერი მოგენონთ ჩვენი პოლიციის?**

– როცა საქართველოს ინტერპოლში გაწევრებას კენჭს ვუყრიდით, იტალიის დელეგაციამ სულითა და გულით მისცა ხმა. ისე, რომ იცოდეთ, იტალია მხოლოდ მეგობრებს ეხმარება. მეგობარი კი არ შეიძლება, არ მოგწონდეს...

დახმარებას რაც შეეხება, გამოვარკვიუ, რომ ჩვენს ინტერპოლს იტალიელი ძებნილი თუ დამნაშავე, ვამნე როგორტო ბუბინი უპოვა, რითაც ბუბინის მშობლიური ინტერპოლი დიდად მოუმაღლიერებია.

— **იტალიელი უურნალისტის, რუსოს მკვლელობა გაუხსნელია...**

— ყველაფერს დრო, ფინანსები სჭირდება. თქვენს ხალხს კი ამ მხრივ არ ულისის, ჩემი კოლეგებისგან ვიცი, რომ საქმარისი ტექნიკა არ აქვთ.

ცნობისთვის: იტალიაში ბოლო 5 წლის მანძილზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 35 პოლიციელი დაიღუპა. საქართველოში – 300-ზე მეტი.

— ... **საჭაპურს ეტანეპით. მოგენონა?**

– იტალიელ პიცას მაგონებს. როგორ კეთდება? ფაბიოლა, ძვირფასო, იქნებ კალამი მოგემარჯვებინა და რეცეპტი ჩაგრენა, მომიმზადებ ხოლმე.

ქალბატონი ფაბიოლა, როგორც მზრუნველ მეუღლეს შემვენის, ქარს დაემორჩილა და ხაჭაპურის რეცეპტი საუღლდაგულოდ მოისმინა, მერე ბატონ რუდოლფოს მიუბრუნდა და შეეცადა, ღვინით სავსე ჭიქა ხელიდან გამოერთდია.

— **ბატონი რუდოლფო, უკვე მე-ნ ჭიქა ნითელ დგინდს ცლით.**

– ჰო, ვიცი. საერთოდ, არ ვსვამ. აქ კი, რა ვიცი – მინდა დავლიო. ფაბიო-

ლა, შენც დალიუ, მოგწონება.

ფაბიოლამ ქმარს დაუჯერა და იმდენად მოეწონა, რომ მომდევნო ჭიქა ბატონ რუდოლფოსთან ვახტანგურადაც კი გადაჰკრა.

ჩაქაფული შემოიტანეს და იტალიულებმა მასაც გაპკრეს კბილი. ნიგზიან კუჭმაჭურებული ხომ სულ გადაირივნება. ბარემ, აქვე გეტყვით: იტალიულთა ღელვაციაში, ინტერპოლის შეფისა და მისი მუკლის გარდა, ფინანსური პოლიციის უფროსი, იტალიის წარმომადგენელი ინტერპოლის შტაბში (ლიონში), რამდენიმე კარაბინიერი და მათი უფროსიც შედიოდნენ. ცნობისათვის: კარაბინიერი იტალიაში იგივეა, რაც ჩენში მღებრიშვილის რაზმი. უნდა გამოვიტყდეთ: რომ ეს კეთილთვალება და ლოფებდაფუნთურებული პოლიციულები არაფრით არ პავლენ დაუნდობელ სტუცრაზმელებს.

— იტალიულებს სიყვარულის, სითბოს გაცემაც შეგვიძლია და მიღებაც. ქართველებიც ასეთები ხართ. ამას სხვა ხალხზე ძნელად იტყვით... სადაცაა, დამავიწყდება, რომ პოლიციელი ვარ და აქ კოლეგებთან ვზიგარ. კიდევ კარგი, ფაბიოლა შემასხენებს ხოლმე... თბი, რა დავინ გაქვთ?! აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში, კიდევ ჩამოვალ...

— **ბატონი რუდოლფო, მაინტერესებს, რაიმე მსგავსება თუ დაინახეთ ქართველ და იტალიულ კრიმინალებს ზორის?**

— (უცემ ფხიზლდება) მე ამაზე კომეტარს არ გავაკეთებ. ინტერპოლის საერთო სივრცეში დამნაშავეების გადარჩევა არ ხდება. არა მგონია, იტალიული მაფიოზი ქართველზე კეთილი იყოს, ან პირიქით.

**ნეაპოლურმა „ჩუჩარელამ“ ბავშვობა გაახსენა იტალიულებს**



ისევ ცნობისათვის: თავის დროზე იტალიის კრიმინალურ პოლიციაში მაციის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო სამსახური ჩამოყალიბდა. მან მჭიდრო კავშირები დაამყარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიციასთან — იტალიული მაფიოზები ყველა ქვეყნაში იყვნენ მოდებული. აქედამ ჩამოყალიბდა საერთოშორისო პოლიციის (ინტერპოლის) შექმნის იდეა.

... ამასობაში, ერთ-ერთმა სტუმართმოვარე ქართველმა იტალიულების სამებლად გიტარაზე იტალიური მელოდია ჩამოკვრა. ბატონ რუდოლფოს თვალები გაუბრწყინდა:

— ეს ხომ ნებაოლური „ჩუჩარელაა!“ ძალიან მველი სიმღერაა. ჩემს ბავშვობაში მდეროდნენ. მე ვთითონ ნეაპოლელი ვარ. ეს მელოდია იქაც აღარ ახსოვთ. თქვენ საიდან ისწავლეთ?

თავადაც ნასიამოვნები მასპინძელი, რომელიც საზოგადოებას გიგლა ჩიქოვანად გაეცნო, კიდევ უფრო გაიბარდა. აღმოჩნდა, რომ „ჩუჩარელა“ ძალიან უყვართ ჩიქოვანების ოჯახში და მისი მშობლებიც უკრავენ. აღფრთვისანებული იტალიული საბჭის ეამბორა ჩიქოვანების მთამამაგლის: სიყმაწვილე გამახსენეო — უთხრა.


— ახალგაზრდობაში კი რუდოლფო ისეთი ბიჭი იყო, მთელი იტალიის გოგოები კუდში დასდევდნენ — საუბარში ჩაერთო ფილიპო დასხენზა და „სვანურს“ ჩაუღრმავდა. აქ კი სიტუაცია რადიგალურად შეიცვალა: ქალბატონმა ფაბიოლამ არცთუ ურიგოდ იცეკვა, მერე „დაისით“ მოიხილა, ბოლოს კი, „აქარულიც“ — შეძლებისდაგვარად ინარნარა. ბატონი დასხენზა კი, კარგი ყარახოხელივით „შალახოს“, „გაუთამაძდა“. ბატონ რუდოლფოს რაც შეეხება, მას უზომოდ მოეწონა „ყვავილების ქვეყნას“.

ფაბიოლასა და რუდოლფოს სამიშვილი ჰყავთ და სამივე არაპოლიციული — აღვოკატი, სოციოლოგი და ეკონომისტი.

— ბევრი სამუშაო მაქვს, სახლში სამოთხს საათს თუ ვატარებ. შვილები არც მემტებოდნენ პოლიციასთვის: ვერაფრისთვის ვიცლი, შინ რომ მივდივარ, ფაბიოლა სულ მეგინკლავება. ნეტა, ქართველ პოლიციელებსაც ეჩხუბებიან ცოლები?

— **გეკითხათ...**

— ო, ახლა არა. პრესისთვის არა.



ფაბიოლა: აქ ხომ არ დავრჩით მეიოფასო?

მერე ვკითხავ აუცილებლად.

— **ყველაზე ძალიან, მაინც რა მოგენონათ საქართველოში და რა — არა?**

— ყველაზე ძალიან ქალები მომეწონენ. ბუნებრივი მომხილულაობა აქვთ. რა არ მომეწონა? ჯერჯერობით, ყველაფრი მომწონს.

— **რას უსურვებდით ჩვენს მკითხველს?**

— კუსურვებდი, რომ თქვენს ურნალში სულ სიმართლეზე, სიყვარულსა და მეგობრობაზე ეკითხოთ. თუ შესაძლებელია, თქვენი უურნალის საშუალებით მადლობას მოვუხდი იმ ხალხს, რომელმაც ჩვენი დელეგაცია ასეთი სითბოთი მიიღო. დიდი მადლობა ბატონ თამაზ სულავას და ირაკლი ხუცურაულს (შ.ს. სამინისტრო). გულწრფელი მადლობა მთელ საქართველოს და ქართველებს. ჩამოდით იტალიაში, არც ჩვენ შევირცხვენთ თავს.

შექმითიანებულმა იტალიულებმა თბილისი გამოენისას დატოვეს. წასვლისას „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ხანკლები და „ქართული ლაინების“ კატალოგი სამახსოვრო საჩუქრად წაიღის. ქართველებს კი ორგზის იტალიური ამბორის შემდეგ მმობა შეცვიცეს — „მი ამივო“ („ჩვენ მეგობრები ვარ“). მე პირადად კი, ყველაზე კარგად ერთი სიტყვა დამამახსოვრდა — „ტიტო“. ამ სიტყვას იტალიულები მაშინ ამბობდნენ, როცა ჭიქას ბოლომდე გამოცლიდნენ და პირქვე გადმოყირავებდნენ — აქაოდა, წვეთი არ ჩარჩინდაო...

მინისტრთა კაბინეტთან დაკავშირებით პარ-ლამენტში დიდი აუკილტაუი და აზრთა შეხლა-შემოხლა. საპარლამენტო ოპოზიცია პოზიციების დათმობას არ აპირებს. უფრო მეტი — პრეზ-იდენტის მიერ შემოტანილი ინიციატივის ჩასაგდებად, ხელმოწერების შეგროვების მეთო-დსაც მიმართა. 94-ზე მეტი ხელმოწერა უკვე აქცა — ეს კი ის რაოდენობაა, რომ პროექტი ვერ გავიდეს. ამ საკითხზე სა-საუბროდ, ერთ-ერთ აქტივისტი ოპოზიციონერს, სოციალისტთა ლიდერს ვახტანგ რჩეულიშვილს შევხვდით.



## ვახტანგ რჩეულიშვილი:

# „მოქალაქებები“ საღამ უმაშრიათ, ისმა იქ იმაშრობ..“

### ნინო ჯავახიშვილი

— ბატონო განტანგ, საპარ-ლამენტო ოპოზიციაში უკვე შეა-გროვა ხელმოწერები, რომლის საფუძველზეც კანოპოვექტს მინისტრთა კაბინეტის შესახებ ჩაგდების საფრთხე დაემუქრა. როგორ ფიქრობთ, ასეთი ერთ-სულოვნება ბოლომდე გასტანს?

— ეჭვიც არ მეტარება, რომ ასე იქნება, რადგან პარლამენტში თვისებრივად ახა-ლი ოპოზიცია ყალიბდება. ძველ პარლა-მენტში უვანია ძალიან ადვილად ახერხ-ებდა ოპოზიციურ პარტიებთან გარიგებას. განა იმიტომ, რომ რომელიმე პარტია ცუდი იყო. უბრალოდ, პარტიული მოღვაწეობა თავისთვალი გულისხმობს რაღაც გარკვეულ კომპრომისზე წასვლას, საარჩევნო გარი-გებებს და ა.შ. თან ლეიბორისტების, ქრონულ-დემოკრატების, სახალხოელებისა თუ მწვენეთა პარტიები მარტო პარ-ტიული ინტერესების უპირატესობის პრინ-ცი პზე იყო აგებული და უვანიასაც ამიტ-ომ არ უჭირდა მათთან მოღაპარაკება. საბედნიეროდ, ახლა პარლამენტში ის ხალხია, ვისთვისაც მეორეხარისხოვნია პარტიული პრინციპების დაცვა და პარ-ტიული გამარჯვებები, სამაგიეროდ, საქმის კეთება სურა! გნებავთ, გოგი თოფაქებს და გნებავთ, დათო გამტრელისტების იქმილებიც კარგად იცნობინენ, ვიღერ პარლამენტარული გახდებოდნენ. ერთი მითხარით, რომელ მათგანს ანტერესებს მოქალაქეთა კავშირთან ვაჭრობა ან რა გარიგება უნდა შესთავაზოს უვანიას თოფაქეს?!

— მოქალაქეთა კავშირმა არაერთხელ განაცხადა, რომ ოპოზიციასთან ფაქტობას არ აპირებს...

— კი მაგრამ, რატომ არ კითხულობენ, საერთოდ, ვინმე ევაჭრებათ კი? არავინ! ამიტომაც არის, გიყებს რომ ჰვანიან! სა-დაც უვაჭრიათ, ისევ იქ ივაჭრონ... უვა-ნიმ უვაჭრებები და შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც „მოვაჭრე“ პარტიები პარლა-მენტის გარეთ დატოვა. ახლა ვეღარ „მი-ვართვით“ გარიგება-მორიგებები — ქარ-თულ პოლიტიკაში ახალი ეტაპი იწყება. მალე, როდესაც გაუყალბებელი არჩევნები ჩატარდება, ისინი, ვინც საქმის კეთება არ იციან, ანუ დღვენდელი უმრავლესობა, სა-პარლამენტი თვისების აღმოჩნდება. თუ გინდა, კარგი პოლიტიკოსი იყო, ოპოზი-ციაში უნდა გამოიწროთ — ისე, როგორც მე. ვიცე-სპიკერად ყოფნის დროს ცუდი პოლიტიკოსი ვიყავო, რადგან, ფაქტობრი-ვად, შეგარღნაინი იდეების განხორციელებ-ბას შევაგალი თავი. ამიტომაც იმ ახალ-გაზრდა პოლიტიკოსების (მიხეილ ჭავა-სელს, მიშა მაჭავარაიანს, ზურაბ ნოლაძე-ელსა და დანარჩენებს ვეულისხმობ) გა-დარჩების ერთადერთი შანსის ოპოზიცია-ში ყოფნაა — ბოლოს და ბოლოს, უნდა მიხვინენ, რომ ცხოვრებაში თანამდებობა კი არა, კაცობაა მთავარი!

— მოქალაქეთა კავშირის ხმამაღალი განცხადების მიუხე-დავად, ამბობენ, რომ გარიგე-ბის მცდელობები მაიც ყოფი-ლა — თუნდაც, იმავე „მრე-ცველებთან“...

— რასაცვირველია, მცდელობა ალბათ იქნებოდა, მაგრამ დანამდვილებით ვრასევრს გეტევით. ისე, სხვათა შორის, გავიგე, რომ თურმე დეპუტატის გადაბირება 8.000 ლარი დარის. რა ვიცი, ასე ამბობენ... მა-გრამ მაშინ, როცა გოგი თოფაქებს ერთი რესტორანი ულირს 8.000 ლარი და ქრ-თამის ხათრით მდიგანსაც კი არ აიყვანს, ეს თანხა, უბრალოდ, სასაცილოა. ეტყობა,

კარგად არ იცნობენ თოფაქეს. ვიცი, უვა-ნის ვაჭრობის წესი როგორიცაა — ვაჭრო-ბის საგანი, ძირითადდა, გამგებლის ან მინისტრის სავარძელი ხდება ხოლომ. იმას კი ალბათ ვერ ხდება, რომ გოგი თოფაქე-ეს სულ არ ადარდებს, ეყოლება თუ არა გამგებელი, ვაჭათ, ხარაგულში. თან, იცო, კიდევ რა მომენტია? უვანია უკვე არა-საიმედო პარტიინირი გახდა — ერთხელ და ორჯერ რომ მოვატყებს კაცი, იმას როგორდა ენდობი?! მე თვითონ არას-ლორს ყოფილვარ უვანის გუნდში, მა-გრამ დათო (გამყრელიძე) და „გრეჩისა“ (ლევან გამერილაძე) ხომ იყვნენ მასთან და ხუთი თითოვით იციან, რა მატყუარაც არის მომავალი პრემიერ-მინისტრი. არ გახსოვთ კაცო ასათიანი? ჯერ თემურ ბასილია დანიშნეს ვიცე-პრემიერად, მერე ჯონი ხეცურიანსაც „დაუთმეს“ მინის-ტრის სავარძელი (ორივე ტრადიციონა-ლისტი იყო) და ბოლოს, ორივეს შევარდ-ნაბის გუნდში ამოაყოფინეს თავი... მოკ-ლედ, ვიც უვანისთან გარიგებაზე წავიდა, ყველა მოტყუებული დარჩა. ახლა ამ-ბობენ, თითქოს ტრადიციონალისტები და სოციალისტები გარიგებაზე წამსკლელე-ბი არიან.

თავის დღოზე, კაცო ასათიანი ზვად გამსახურდიას არ გაპევა, რადგან მის პოლიტიკას არ ეთანხმებოდა და ახლა გაურიგდება შეგარღნაძეს და უვანის! რაც შემეხება მე — 48 წლის კაცს ცხ-ოვრებაში არასძროს გამიტეხავს სიტყვა და რაღა ახლა გავტებ?! იქნებ, შევარდნა-ძის, უვანისა და სააკამდელის გაგებით სწორედ ამიტომ არ ვარ ძლიერი პოლი-ტიკოსი — მათვის ხომ სიტყვას არავი-თარი ფასი არა აქცს, მთავარია, მომრჩევე-ლი, რაც შეიძლება კარგად და ოსტატ-ურად მოატყუონ! პირველი გამინდა

„ოქრიბეთან გუდის პრ  
მსპირებელი!“ – აცხადებს  
**ზურაბ ქვანია**



იმდი, რომ, ბოლოს და ბოლოს, საპარლამენტო ოპოზიცია პარტიულ ინტრიგებზე მაღლა დადგება. როგორც იქნა, პარლამენტში მოვადნენ სიტყვის კაცები, რომელთაც საქმის კეთება, ბიზნესისა და ეკონომიკის აღმავლობა ანტერესებთ. პრეზიდენტის გუნდს კი მარტო კანონძებულობით ვაჭრობა ეხერხება. ამიტომაც შექმნეს ისეთი სახელმწიფო, სადაც ბიზნესს მარტო ჩინოვნიკები ეწვევან, ამიტომ ოპოზიცია პირდაპირ, ხმამღლობა უცხადებს „მოქალაქებს“: არ ვარგისართ და უნდა წახვიდეთო...

**— საუბრისას, მოქალაქეთა კავშირის მისამართით არაერთხელ ჟენერალური უნდობლობის მომენტს. პრეზიდენტის გუნდის წევრებიდან საერთოდ არ ენდობით არავის?**

— როგორ გითხრათ... ნდობით როგორ არ ვნებოდი?! იქაც არიან დირსეული ადამიანები, რომელთაც მთელი ცხოვრება მართლაც კარგი საქმები უკეთებიათ და კაცურად უცხოვრიათ...

**— ბატონონ ვატანგა, უფრო კონკრეტულად — მაინც რას მოითხოვთ?**

— არ მოვთხოვთ პრეზიდენტის გადაუქებას — უბრალოდ, ნუ იქნება თავისივე პარტიის თავმჯდომარე, რითაც კონსტიტუციას არღვევს. და კიდევ — ჩატაროს თავისუფალი, გაუყალბებელი არჩევნები. პრეზიდენტი, გინდ შევარდნაქ იყოს და გინდაც ვინებ სხვა, ჩემთვის სულერთია, ოლონდ არ ჩაერიოს ყოველდღიური ეპონომიკური საკითხების გადაწყვეტაში და თავისი უმოქმედობით ხელი არ შეუწყის იმ ხალხის აღზევებას, ვინც კორუმპირებულია.

**— ჯონი ხეცურიანმა განცადა — კოალიციურ მთავრობაში ოპოზიციის ადგილი არ იქნებათ. იმან ხომ არ გაგანაწყისათ, რომ ოპოზიცია, ფაქტურობით, „მშრალზე“ რჩებოდა?**

— ტყუილია, თითქოს მარტი ამის გამო ვამბობთ პრინცა პულ უარს მინისტრთა კაბინეტის შემოღებაზე. თუ ვინმეს პგნია, რომ მინისტრთა კაბინეტის შემოღებით რაიმე შეცვლება, ძალიან ცდება. ეს საკონსტიტუციო ცვლილება მხოლოდ იმ კაცის ხელში გაამართლებს, ვინც მართვის საქმებში არ ჩაერევა. შევარდნაზე პარტიის თავმჯდომარებასუც ვერ ელევა და თავის უფლებამოსილებას დაუთმობს ვინმეს?! ზურაბ შვანიას გაპრემიერმინისტრიბისათვის კი ბუტავორიული მინისტრთა კაბინეტის შექმნა სულაც არ არის საჭირო. იაპონიამაც კი

პატარ-პატარა კრიზისების გამო 13 წლის მანძილზე თერთმეტჯერ შეცვალა პრემიერ-მინისტრი, წარმოგიდგენიათ? საქართველოში კი რა ხდება — თუ გინახავთ მოქალაქეთა კავშირის ერთი წევრი მაინც, რომელსაც თავის გაფუჭებულ საქმეზე თვითონვე ეკოს პასუხი? მე არ მინახავის! მიხეილ სააკაშვილის წინამორბედმა, ყოფილმა ტრადიციონალისტმა, ჯონი ხეცურიანმა, როდესაც პატიმრები ციხიდან გაიქცნებ, მაშინვე უფოფმნოდ დაწერა განცხადება და გადადგა. მაშინ უმრავლესობა ტაშს უკრავდა და გაიძახდა: ხელავთ, რა კაცური კაცია, რა კარგად მოიქცაო! ახლა კი, როდესაც ქსის კოლონიაში პატიმრებმა ერთმანეთი დახოცეს, თურმე სააკაშვილი არ უნდა გადადგეს — პრეზიდენტის გუნდელია და ამიტომ!

**— ე. სააკაშვილის გადადგომასაც მოითხოვთ?**

— იმპირენტის საკითხს ნამდვილად არ ვაყენებთ — თვითონ მათ ნამუსზე იყოს... მაგრამ მინისტრთა კაბინეტი ხომ იმიტომ შემოგაქსს, ვიზუალურაცებს პასუხისმგებლობის გრძნობა რომ გაუჩნდეთ. სხვა შემთხვევაში, გუნდურ პასუხისმგებლობაზე საუბარი სასაცილოც კია!.. სააკაშვილი კი უვანის გუნდის „ლიდლი შვილია“, თავის თავზე რატომ არ აიღო პასუხისმგებლობა და რატომ არ გადადგა?! პირიქით, განაცხადა კიდეც — ვინ მოიგონა, თითქოს მინისტრიბიდან გადადგომის თაობაზე განცხადება დავწერე, ტყუილიაო!.. ჩემი მიზანი მაინც სააკაშვილის გადაეცნება კი არ არის, უბრალოდ, მინდა ამ მაგალითით კიდევ ერთხელ დარწმუნდეს ყველა, რომ „მოქალაქებს“ საკუთარი სავარძლები და თანამდებობები საქართველოზე მეტად უყვართ! თქვენ როგორ გგონიათ, უვანია რომ დაინიშნება პრემიერ-მინისტრად, რა, მაშინვე აღიარებს — ქეყვანა დაგაქციეთ ან, ბორჯვეტი ვერ შევასრულოთ? არაფრი შეიცვლება მარტი ამგვარი საკონსტიტუციო ცვლილებებითა და მხოლოდ გარეგნული კოსმეტიკით, თუ ძირები ცვლილებები არ მოხდა. ამიტომაც, ოპოზიცია პრეზიდენტს არ მისცემს იმის უფლებას, რომ ზურაბ შვანია ახლავე დანიშნოს თავის მემკვიდრედ. თუ მინისტრთა კაბინეტი შეიქმნება, მის მუშაობაში პრეზიდენტს ცხვირის ჩაყოფის უფლებაც კი არ უნდა პქონდეს! მის ხელმძღვანელად კი უნდა დაინიშნოს ღირსული პიროვნება, კაცი, რომელიც „აღმშენებელი“ იქნება და არა „დამანგრეველი!..“ ■

## სალისიანი შეჯიბრება

### „ქარიშხალაში“

სანამ პარლამენტის დაბაზებსა და კულურურებში მინისტრთა კაბინეტზე ბჭონენ, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალინისები და მათი თანამშრომლები სპორტულ დარბაზში ხალისტების ტურნირი მინი-ფეხბურთში, საქართველოს სამინისტროებსა და უწყებებს შერის. გამარჯვებული გუნდი 26 მასის, ფინალურ მატჩში გამოვლინდება. მანამდე კი, ასეთი შედევრი დაფიქსირდა: სახელმწიფო კოცელარია-თუსტიკის სამინისტრო — 3:1, სახელმწიფო კანცელარია-სპორტის დეპარტამენტი — 1:5, სახელმწიფო კანცელარია-განათლების სამინისტრო — 3:5, სახელმწიფო კანცელარია-მედიის სერვისი — 5:3. როგორც ხელავთ, კანცელარიამ „ოუსტიცია“ და მედიკოსები დაჯიბინა, მაგრამ „სპორტსერვის“ და „განათლებასთან“ პოზიციები დათმო.

ბუბა კიქაბიძეს ტიციან ტაბიძის ქუჩაზე, მშვენიერი პროექტით აგებულ სახლში ვენვი, სახლში, რომელიც მისი ცხოვრების უმასვრესი ოცნება ყოფილა: „სულ მინდოდა, მქონდა ლამაზი დიდი სახლი ბალით, სადაც წყალს მიასხერებდა ყვავილებს და ბუბნების შეგრძნებით აივისძოდი. თავს მოიყრიდნენ უსაყ-ვარლესი აღამანები და ყელაფერი ძალიან ჯარგად იქნებოდა, მაგრამ ორი წელია ეს სახლი ავაშენებ და ვერ გადმოვ-სულვარ საცხოვრებლად“ ეტყობა, იმ 8-10 მეტრიან ოთახებს ისე ეჩვევი, რომ სივიზროვესაც ველარ ელევი. ეს, კაც სახლი ახალგაზრდობაში გინდა, თორებ სიბერები ისეთი ფასი აღარა აქვს...“

# «ჯანო ძიას ფასესასმელებაში გავატარე მთელი ჯელობა...»



## ეკა ლომიძე

### — მოწყენილი ჩანსართ, დაციურო თქვენც სიბერეზე დაიწყეთ ფიქრი?

— არა, მაგაზე არ ვწუხვარ. მე დღევანდელი ახალგაზრდები მტბრალებიან ამ ცხოვრების გამო. ჩვენც გვიჭირდა, მაგრამ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ნავთის ლამაზის ხანაში ვცხოვრობდით, თქვენ კი უმაღლესი ცივილიზაციის ხანაში ცხოვრობთ და არაფერი გაქვთ.

### — ასეთ ყოფაზე ფიქრი, როგორც ჩანს, დიდად გიმდიმებთ ცხოვრებას.

— რა თქმა უნდა. თუ მარტო შენი ცხოვრებით არ ცხოვრობ და შენ ირგვლივ კარგად მოწყობილ მიკროსამყაროს არ ქმნი, როგორ შეიძლება დღეს მსუბუქად იგრძნო თავი, არ დამბიძე და არ დაითრგუნო კიდეც. როცა შენ გარშემო ხალხი ასე საშინლად ცხოვრობს, შეუძლებელია, საკუთარი ბედნიერებით ტქბობა. კოლმეურნეობის მოედანზე ბაზარში შევდივარ ხოლმე. ერთი რუსი ქალი დგას, 90 წელს მიტანებული იქნება. ძალიან ლამაზი სახე აქვს ამ ხნის მოხუცსაც კი. ეტყობა — შია, პური არა აქვს, მაგრამ ხელს ვერ იწვდის სამოწყალოდ: ოთხი წლის წინ დაბეჭდილი უვრნალი უკავად და გაყიდვას ცდილობს. შემეცოდა, ორი ლარი ჩავუდე ხელში. სხვამ შეიძლება ვერ მისცეს, იმიტომ, რომ უჭირს დღეს ყველას. ზოგს პგონია, რომ კომუნისტები თუ მოვლენ ქვეყნის ხელისუფლებაში, იმდროინდელი იაფი ძეხვი დაუბრუნდებათ. არ არის ეგრე.

მაგრამ ის ვეღარ გამიგა, რა დავაშავეთ ისეთი, რომ ჯერ ნამგლისა და უროს გერბის ქვეშ ვცხოვრობდით და ახლა კიდევ, სრულ გაუგებრობაში ვართ?! როგორც გვეგონა და წარმოგვედგინა ჩვენი მომავალი ცხოვრება, იმის საპირისპირო მოხდა ყველაფერი...

### — რუსეთში რა ხდება? თქვენ ხომ ხშირად ხართ იქ და იმ ქვეყნის სინამდვილეს კარგად იცნობთ?

— მოსკოვი ცალკე რუსეთია, ცალკე ქვეყანაა, სადაც ცხოვრება დუღს. როგორც კი მას გასცდები, საშინელ გაჭირვებას ხახავ, მთელ ქვეყანაში... ძნელია სახელმწიფოს ჩამოყალიბება. მე საბჭოთა კავშირს ვერ ვიტანდი, არც კომპარატიული კვიფილვარ და არც კომუნისტი, მაგრამ გორბაჩივმა ერთი დააღმ პირი და ქვეყანა დაღუპა. კაცის სიბრძნე იმაშია, გადახტომას რომ დააპირებს და თავის შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვრავს. ძალიან ცუდად გადავხტით სადღაც, ჯანდაბაში და ალბათ იმიტომ არის ჩვენს პარლამენტში ყველაფერი კრილოვის იგავ-არაკივით — ყველა თავისკენ ექაჩება ბიუჯეტს, სახელისუფლებო ძალაუფლებას... ყველა მაგარია ცალ-ცალკე გიჟდებიან ალბათ სამშობლოსთვის, მაგრამ ცოცხალი თავით არ დათმობენ მართვის სადაცებს.... ახლა მე რომ ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად დამნიშნოთ, ვივარგებ? არა, არავის ვაყენებ შეურაცხოფას, მაგრამ არასწორი რაღაცები ხდება და იტანჯება ჩვენი სამშობლო. თვითონ სიტყვა როგორია, დაუკავირდით — ჩვენი მშობლებისა და შვილების სამყოფელი.

### — პატრიოტიზმი ძალიან აპ-სტრატეგიულ ცნებად ხომ არ იქცა ჩვენში?

— არა მგონა. ყოველ შემთხვევაში, მე პატრიოტი ვარ. ნებისმიერ რამეზე წავალ, ოღონდ ვიცოდე, რომ ჩემი მოქმედება სიკეთეს მოუტანს ქვეყანას, თორებ — ვიყავი აფხაზულში და ახლა, უკან რომ ვიხედები, ვფიქრობ — რისთვის ვიყავი-მეთქი.

### — იარაღით იყავით?

— მსახიობს ავტომატი რად უნდა? მიქოდონი უნდა ეჭიროს მხოლოდ... აი, „ყვითლებს“ რომ ეძახიან, ისეთი გაზეთებიდან დამდევლენ თავის დროზე იმისთვის, რომ როგორმე იარაღით ხელში ვენახე და გადავედე... სხვათა შორის, მოსკოვში რესტორანი რომ გავხსენი, იმის პრეზენტაციაზეც ბევრი უვრნალისტი იყო, მათ შორის „ყვითლებიც“ და მეკითხებოდნენ: რატომ გახსენით ეს რესტორანი?.. მივუხდი, რა უღრღნიდათ გულს. აი, თქვენ რომ ჩემი ხახავ მოგინდებათ — აქ მოხვალთ და მნახავთ, რადგან მოსკოვში სახლი არა მაქვს-მეთქი.

### — როგორ მიდის თქვენი სარესტორნო ბიზნესი მოსკოვში?

— არაფერიც არ მიდის: ის რესტორანი თავის თავს ინახავს, თორებ მე არანაირი მოგება არ მიახავს იქიდან. რესტორანი თბილისში შეიძლება იყოს ბიზნესის წყარო — აქ ქეიფი და დროს ტარება უყვართ, თორებ მოსკოვში საქმე რომ დაერქვას და მოგება მიიღო, მთე-



ლი ქსელი უნდა გქონდეს. სხვათა შორის, წელიწადზე მეტია, იქ არ ვყოფილვარ.


### — როგორ, მოსკოვში ხართ და თქვენს რესტორანს არ ეკარებით?

— ვინ გითხრათ, რომ მოსკოვში ვარ? არ მიყვარს ეგ ქალაქი. ჩემი ცხოვრების უმეტეს ნაწილს თბილისში ვატარებ, აქაურობის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. მოსკოვში მაშინ ჩავდივარ, თუ თბილისიდან რეისი არ არის იმ ქვეყანაში, სადაც მე უნდა გავფრინდე... ესაო, ისაო — იქ ბინები აქვს ბუბასო... არ დაიჯეროთ. ახლაც, ნანი ბრეგვაძის ვარსკვლავის გახსნასთან დაკავშირებით ვიყავი მოსკოვში და აჭარის კულტურის ღლების გახსნაშიც მივიღე მონაწილეობა. თუ საქმე არა მაქვს და საძმე არ მივდივარ, მე სულ თბილისში ვარ. არდა, ბევრმა არ იცის ამის შესახებ: ამ ღლებში ბაზარში შევედი და — ვა, ბუბა დაგვიბრუნდაო? — დაიძახა ვიღაცამ. გავოცდი — საიდან დაგიბრუნდით, ოში ვიყავი თუ ტყვეობაში? მე სულ აქარ-მეოქი.

### — ზაგრამ უხმაუროდ...

— ხმაური მხიარულებასა და ქეიფში მიყვარს. ტყუილ აჟიოტაჟს ვერ ვოტან, არც იმას, ყველგან რომ ეჩრება კაცი. თბილისი ჭორიკების ბუდედ იქცა, რაც ძალიან არ მომწონს.

— 1991-92 წლებში თბილისის ოში თქვენს მონაწილეობაზე გამოცელებული ხმებიც გადონილი გექნებათ.



— არა მარტო ეგ. მალიან შეწუხებულები ვიყვათ მე და ჩემი ოჯახის წევრები მაშინ, როცა დაგვირეკეს და ეგ გვითხრეს. ჯერ ისეთ ხალხს რა ვუთხარი, ამ საზიზლრობას რომ დაიჯერებს და გაიმეორებს... ჩემი მეგობარი ბაკურ ჯიბლაძე წააწყდა ერთ-ერთ ჭორიკანას, სუფრასთან რომ ჰყვებოდა: ნიღბიანი ბუბა იღგა დიდუბის მეტროსთან და ავტომატით ახალგაზრდებს ხოცავდაო. ბაკურს უკითხავს — შენი თვალით ნახეო? არა, ვიდეოკასეტაზეა გადაღებულიო. მერე, როგორ გაარჩიოთ, ის ნიღბიანი, ბუბა რომ იყოო? — ჩასძიებია ბაკური. ვინც მისგან ნასროლი ტყვიით მოკვდა, სიკვდილის წინ იმან თქვაო... წარმოიდგინეთ, ამას რომ მეუბნებოდნენ, რა ღლეში ვიქნებოდი... ასეთ რაღაცებს მიგონებდნენ მაშინ, როცა თავს აქეთ-იქით წანწალისა და სიმღერის უფლებასაც არ ვაძლევდი... მაგრამ მაინც, ცუდია თუ კარგი, აქ ყველა ქართველია და „ვიღაცისტობაზე“ ლაპარაკი ღღეს სირცხვილია, ყველა „სამშობლოსტი“ უნდა იყოს!

### — „მამულიშვილი“ გინდოდათ გეთქვათ ალბათ.

— დიახ, მამულიშვილი. არიან დღესაც ასეთები, ოღონდ პარლამენტში არ სხედან, არც არავინ დაუძახებს იქ.

— თქვენთვის ხომ არ შემოუთავაზებიათ პოლიტიკაში მისვლა ან რომელიმე პარტიის წევრობა?

— ვინც მე კარგად მიცნობს, მაგის თქმას ვერ გამიტედავს. ისე კი, პილიტიკაში არიან ისეთი ადამიანები, რომელებსაც ვიცნობ და პატივს ვცებ.

— ბატონო ბუბა, ახლა მხოლოდ სიმღერით ცხოვრობთ?

— დიახ, ვაცნობებ ქართულ პრესას, რომ ქართველებიდან ჩემზე მეტ კონცერტს არავინ მართავს უცხოეთში. მოვიარე ამერიკა, ინგლისი, გერმანია, ბალტიისპირეთი, აზის ქვეყნები, მივიღე საერთაშორისო ოდენდობი, ჯილდოები და ამაზე მე უნდა ვიყვირო? უნდა

გამოვიდე და ვამცნო ყველას? იცით, თქვენამდე ქართველი უურნალისტის ბოლო სატელეფონო ზარი ჩემთან ზუსტად ერთი წლის წინ გაისმა. სიმღერისთვის თავი რომ დამენებებინა, უურნალისტი ვიქნებოდი — ძალიან მომწონს ეს პროფესია, მაგრამ ძალიან მნელი საქმეა. რაღა დაგიმალოთ და, ამ ერთ პატარა ქვეყანაში, ამდენი პატიისა არ იყოს, უურნალ-გაზეთებისა და უურნალისტების სიმრავლე მაკვირვებს. როგორ შეიძლება ყველას ერქვას ეს სახელი?! საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იყვნენ საინფორმაციო საშუალებების მხრიდან, რადან ეს ხალხია საქართველოს სახე, მათზე ყველა ინფორმაციას უნდა ფლობდეთ. მაგრამ რას ვიზამთ — ცუდი ღროა: მურმან ლებანიძეს აღარავინ ამჩნევს ქუჩაში... რაღაცას არასწორად ვაკეთებთ, ამას მთავრობის გასაგონად ვამბობ: არ შეიძლება ამ ხალხის მივიწყება.

— თქვენ და ქალბატონი ნანი ბრეგვაძე ორად ორი ქართველი ხართ, გისაც რუსებ-მა ვარსკვლავების გახსნით დაუმტკიცეს სიყვარული...

— ძალით გადამახდევინეს რუსეთში საიუბილეო კონცერტი. კრემლის

თავზე, 10 წუთის განმავლობაში, შენს პატივსაცემად ზარბაზნებს რომ ისვრიან, როგორ იტყვი უარს, რომ იმღერო?! თანაც, ბეკრ იქაურს ჰერონია, მე მათი მოქალაქე ვარ და უამრავ პროექტში მონაწილეობას მთავაზობენ. და რომ შეიტყობენ, ჩვეულებრივი უცხოული ვარ, რომელიც ვაზით ჩადის მათ ქეყანაში, ძალიან უკირთ. ახლახან საინტერესო პროექტში მონაწილეობა მთხოვეს: ქმიან საერთაშორისო ორგანიზაციას – „არბატის პოეტები“, მოხდება სხვადასხვა ქვეყნის ხელოვანთა თავმოყრა, შეხვედრა არბაზე, გამოიცემა საინტერესო ლიტერატურა და ა.შ. ეს ამბავი მაინტერესებს იმდენად, რამდენადაც საქართველოსაც წაადგიბა. თანაც, ჩემთან, უცხოულთან რომ მოდიან და მაფასებენ, ე.ი. მათვის საჭირო ქართველი ვარ. თავისთავად სასიამოვნო ფაქტია. მაგრამ საოცარია, საქართველოში რომ არ ვჭირდები არავის. მე ხომ არავის არაფერს ვთხოვ. თუ საჭირო იქნება, კარგი საქმისთვის ჩემს სათქმელს ვიტყვი, ვიმღერებ... ამ ცოტა ხნის წინ ერთმა პოეტმა დამირება და მითხრა: ბოდიშს გიხდი – შენი კანდიდატურა წარვადგინე სახელმწიფო პრემიაზე და მეც კინაღადა თავი მომჭრეს და შენც ამოგაგდეს სიიდანო. არადა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის სამგზის ლაურეატი ვარ...

፲፻፭፻፬፯

ଶୁଦ୍ଧା, ଦାଲିବନ ଶେ-  
ରିନୋଚୁଲି ଓ ମଦ-  
ମଥୀ ଫିଳିଲାଗି ପା-  
ମଙ୍ଗଳିତିର, ରାଜଗାନ  
କ୍ଷେତ୍ର ଉପିନରିତି ଫିଳିତ  
ନିଶ୍ଚିହ୍ନା ପାଇବି ଏବଂ  
ଅରାରିତ୍ୟେଶୁଲ୍ଲେଖରିତି ପାଇ-  
ନିନ୍ଦାପାଇତି ସାଙ୍ଗସେ ପ୍ରେ-  
ମରିବାକୁ ପାଇବି— ପ୍ରେମରି  
ଲାମାଶିଳ ମଙ୍ଗଳନ୍ଦବାପ  
ପାଇବିନ୍ଦାତି. ମାତ୍ରାଲୀ-  
ତାତ୍ତ୍ଵ, ଯି— ଯୁ-  
ଲାରମନିନାଶି ରାମ  
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣର ପ୍ରେକ୍ଷଣି-  
ପାଇବି, ପିନାକକ୍ଷେତ୍ରି,  
ଜାନନ ପାଗରାତିନିନମା  
ଅନିନ୍ତି ରାମ ମନେନିନିନା

— ჯანო ძია ჯერ იმიტომ  
მიყვარდა, რომ დედაჩემის ძმა იყო,  
მერე იმიტომ, რომ საოცარი ად-



და იმ წერტში ფეხსაცმელებზე დამხედ-  
და: გა, ეს საიდანო?! მთელი საგას-  
ტროლო დღიური ფულით, როგორც  
იქნა, ვიყიდე-მეთქქა. მერე მეო? შე-  
ნია-მეთქქა! თუ ჩემია, მომტციო. მეც  
გავიხსადე და მივეცი და წინ-  
დების ამარა ავედი ფილარმ-  
ონიის დირექტორის, გუგუ-  
ლი ყიფიანის კაბინეტში.  
გაგიუდა კაცი — ვა, ბუბა,  
ფეხსაცმელების ჩაცმა და-  
გავიწყდა? ვუთხარი, რა-  
შიც იყო საქმე. დაუძახა  
თავის მძღოლს და სახლ-  
ში ჩემი წაყვანა დაავალა.  
უპე წვიმდა, მანქანაში  
რომ ჩავჯერი. უანჯარაზე  
ჯანო ძიამ დამიკაკუნა.  
კარი გავუდე. იდგა, იღიმე-  
ბოდა და სელში ჩემი ინ-  
სპექტორები გჭირა: აჟა, წაიღე-  
ოლონდ „მაზით“ არ გააპრი-  
ალო — ტყავს გააფუჭებს,  
დილით დააფურთხე, მერე  
ჩვარი გადაუსვი და ასე  
გააპრიალო — დამარიგა...

— ଧାର୍ମାପ୍ରକଳ୍ପନତାଙ୍କ  
ଲକ୍ଷ୍ମୀଲଙ୍କ ନେତ୍ରଗର୍ଜାତ?

— ზემოთვებ, რესტრორან  
„გემოსთან“ ვიდექით მე  
და თბილისელი რუსი,  
ტოლიკა. მოგვი-  
ახლოვდა კაცი

და გვითხა — რა გქვათ, ბიძიკო, თქვენ? კუპასუხეთ. არაყო დამალევინეთ, ერთი, თუ მტები სართო. ჩვენ არ გვიცნობდა, თორებ იმ კაცს მშვენივრად ვიცნობდა და კულა. დავპატიჟეთ. მერე, სახლში რომ მივედი, დედაჩებს ვუთხარი: დედი-ჯან, დღეს გაღიატიონს არაყო დაგალევინე-მეთქი... ახლა თბილისურ ამბებზე საუბარი რომ დავიწყო, დიდხანს ვერ მოკრჩებით...

— ქალბატონ ნანისთან  
დაკავშირებითაც ბეგრი რამის  
გახსენება შეგიძლიათ ალპათ-  
თქვენ ხომ განუშეორებელი მე-  
გობრობა გაკავშირებთ.

– 1979 წელს ურთულესი ოპერა-  
ცია გამიკეთეს, ძალიან ცუდად ვიყავი.  
მნამდე კი, მეტების პლატოზე გავმართო  
არაჩეულებრივი შოუ, რომლის მსგავ-  
სი არც მანამდე და არც მას შემძეგ არ  
გაუკეთებდა არავის. 25 კონცერტი ჩა-  
ვატარეთ, სასწაულმა შემაძლებინა, მა-  
გრამ ბოლო კონცერტის შემდეგ დავ-  
ვარდი, რა: ძალიან ცუდად ვიყავი. მნახ-  
ველები არ მელოდია. მოვიდა ნანი, ქალი,  
რომელიც ყოველთვის საოცარი გე-  
მოვნებით გამოირჩეოდა. ეცვა ულამაზ-  
ესი კაბა და მე, რა თქმა უნდა, ვუთხარი:  
ნანი, რა ლაბაზი კაბა გაცია-მეთქი!  
ნანი მპასუხობს: შენ რომ მოკვდები, აი,  
იმის – ვიდაც მკრავის სახელი მითხრა  
– შეკრილ ძალიან ლამაზ კაბას ჩავ-  
იცვამ და სულ შენ გვერდით ვიჯდე-  
ბიო... საოცარი ქალია ნანი, ძალიან  
მიყვარს. რაღაცნაირი, ალალი ლაპარა-  
კი იცის. მე კი მივხვდი, რაც უნდოდა  
ეჭქა, მაგრამ, ერთი შეხედვით, სხვანარად  
გამოუვიდა. მერე მოვყევი ერთგან ეს  
აბავი და იუარა – არ მითქვაშიო, მა-  
გრამ ჩემი მეუღლე, ირინაა ამის მომ-  
სწრე. გულიანად ვიცინეთ მაშინ...

— 26 მაისს „ორენას“ საიუ-  
ბილეო კონცერტზე იმდერებთ  
ათასი?

— სამწუხაოდ, ვერ მივიღებ მონაწილეობას. ამ კონცერტის შესახებ რომ მითხოვას, უკვე გაფორმებული მქონდა კონცრტაქტი მოსკოვში კონცერტის გამართვის თაობაზე. ბოლო წლებში ტრადიციად ვაქციე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მოსკოვში გამართული კონცერტით აღნიშვნა, ამიტომაც ვერ ვიქნები აქ, რაზეც ძალიან მწყდება გული, თუმცა, არც მოსკოვის აქციაა უმნიშვნელო.

საქართველოს ენერგოსისტებიში არსებული პრობლემების მოგვარებას არა და არ დაადგა საშეღლი. ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი გამუდმებულ, ტალღებივით მოვარდნლ სჯა-ბასასა და დისკუსიებს — ხან საგარეო ენერგეტიკულ ვალებზე, ხან ტარიფის გაძირებასა და ხან კიდევ უბრალოდ იმაზე, გვექნება თუ არა ზამთარში შუქა, რომელიც ზაფხულშიც არ აქვს საქართველოს ბეჭრ რეგიონს. მიუხედავად ამ თემებზე მრავალგზის მსჯელობისა, პრობლემათა ლაპირნითიდან გამოსავალი არ ჩანს. სტუაციაში გარკვევის მიზნით, ენერგეტიკული კრიზისის შემსრულებლი დროებითი საპარამეტრო კომისიის თავმჯდომარეს, ირაკლი ჩუბინიშვილს ვესაუბრეთ.



თანამდებობის პირებს, რომლებიც 1992-დან 1998 წლამდე წყვეტილნები იმას, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო სახსრები. ვალები გამუდმებით ჩნდება ენერგოსისტებაში, დღესაც ხდება მათი წარმოქმნა. და თუ ენერგოსისტებას ერთიანად არ ეშველა, ეს პროცესი ქვეყნის საბოლოო დაქცევამდე მიგვიყვანს.

— თუ ამას ასეთი კომისიის თავმჯდომარე ამბობს, ე. მ. მეტოსმეტად უმედო მდგომარეობა გვქონა... —

— ვსწავლობი ყველაფერს, ვიკვლევთ. მუშაობა ახლა დაიწყეთ და ამიტომ თავს ვერ მივცემ უფლებას, რაღაც მოსაზრებები წინასწარ გავიზიაროთ. ენერგეტიკის სფეროში წარმოქმნილი პრობლემების მიზეზი შესაძლოა, მართვის არაეფექტური სისტემაც იყოს — ეს რომ არა, ჩვენი კომისიაც არ შეიქმნებოდა. სამწუხაროდ, დღეს ვერც სამინისტრო და ვერც სემეკი (საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია. — ავტ.) ვერ უზრუნველყოფებ ხალხის ინტერესების დაცვას. ეს არის სერიოზული პრობლემა. შესაძლოა, ამ ყველაფერის ბრალი, ენერგეტიკის სფეროში ნაადრევად ჩატარებული რეფორმაც იყოს, იქნებ სხვა ფაქტორებიც. ცხადია, რომ სოციალური ინტერესების დაცვის მექანიზმია მოსაფიქრებელი.

— თქვენი საუბრიდანაც და რეალური მდგომარეობიდანაც რჩება შთაბეჭდილება, რომ რეფორმი საერთოდ არ ჩატარებულა.

— კ. მორიგი დილემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეთ? — ენერგოსისტები შექმნილი პრობლემების გამო, სახელმწიფო უკვე დგას დილემის წინაშე: საქენერგოს მიერ და-

გროვილი ვალების გასტუმრებას უკვე

მოითხოვთ კრედიტორები, არადა, რატომ-

დაცვის უცნობია ვალის გადამზღვევი, ამიტ-

ომაც პასუხისმგებლობისთვის ხან სახ-

ელმწიფოს ედავებიან, ხანაც ფინანსთა

და ენერგეტიკის სამინისტროებს...

— რამდენად გამართლებუ-

ლია, რომ სახელმწიფომ თავის

თავზე აილოს ამა თუ იმ კერ-

ძო რეგანიზაციის ვალები?

— საქენერგო სამეურნეო ანგარიშზე

მომუშავე, დამოუკიდებელი, მაგრმ მაინც

სახელმწიფო ორგანიზაციაა. ახლა მიმ-

დინარების იმის დადგენა, თუ სად წავი-

და ამდენი ფული, რისთვის დაიხარჯა.

თუ ვინმე დაიტაცა — პასუხისაც აგებს,

მანამდე კი ცნობილია, რომ ეს თანხები

ოფიციალურად, ენერგოსისტებას მოხმარდა,

თუმცა, საკითხავია, რამდენად სწორად, თუ

არა და პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ

## „ვალება ენერგოსისტების გამადგენი ჩედება, დღესაც ხდება ასო წარმოქმნა...“

ეპა ლომიძე

— გამარტინი ინფორმაცია, რომ უკვე დათვლილია საგარეო ენერგეტიკული ვალები. იქნებ გვითხრათ, რა ციფრზეა საუბარი?

— საუბარია რამდენიმე ასეულ მილიონ ლონარზე. საბოლოო შედეგები ჯერ ცნობილი არ არის: არც ერთ ენერგეტიკულ უწყებას არ გააჩნია შევამტებული მონაცემები. ჯერ კიდევ გაურკვეველია, რომელი ვალები უნდა აღის თავის თავზე სახელმწიფომ და რომელი — კერძო ობიექტებმა.

— რამაც ვალების რაოდენობა ხომ ცნობილია, რომელი სახელმწიფოს გადასახდელი იყო თავიდანკვე? არც ამისა დაკონკრეტება შეგიძლიათ?

— სხვადასხვა მონაცემია. არის მსოფლიო ბანკის წინაშე არსებული ვალები, მაგრამ მათი ნაწილი რესტრუქტურიზებულია და გადაუდებელ ტერიტორიად არ აწევს საქართველოს, მაგრამ არსებობს საქენერგოს მიერ აღმტებული ვალები, რომელთა რაოდენობის დაზუსტებაც ახლა ხდება. პრინციპში, მხოლოდ თურქეთისგან აღმტებული სესხია ცნობილი, რომლის დაფარვა ელექტროენერგიის ექსპორტიდან, ტარიფის ღირებულების 15%-ის თურქეთისთვის დათმობით ხორციელდება.

— ბოლო ხანს გაჩნდა თავისებურო ტერმინი — „უმედო ენერგეტიკული ვალები“, ბატონიშვილი

, რამდენად გამართლებულია რეფორმა, მისი განვითარების დროს ბევრმა გაუთვალისწინებულმა ფაქტორმა იჩინა თავი და მოვლენებიც მოსალოდნელის საპირისითარდა. განვითარებას ენერგოსისტების მიზე დაილება დაიწყება, როგორ ფიქრობით — ეს გამოსახალია საქართველოს ენერგოპრობლემებისგან თავის დასაღწევად?

— თავის დროზე ყველა ენერგოგომბანია საქენერგოში იყო, შემდეგ მოხდა მათი დანაწილება, გამოყვეს რეგიონული ენერგოგომბანები და მათ მიეცათ დამოუკიდებლად მოქმედების უფლება და ახლა ძირითადად, მხოლოდ მუნიციპალიტეტების ექვემდებარებიან. ამ დანაწილებამ გამოიწვია უზარმაზარი ფინანსური გარღვევა ენერგოსისტებაში. ეს იყო უდიდესი შეც

დომა, რომელიც ვერ გან-  
ჭრისტეს, როცა რეფორმა  
აწყებოდა. ახლა ამ შეც-  
დომის გამოსწორების გზა-  
ბზე ვფიქრიოთ. უდავია, რომ  
ადგილობრივ ენერგოკო-  
მპანიებს დროულად სტარტ-  
ება მიხედვა.

— မိဒ္ဒသ-ဇာဂာဒီ  
ဤတစ် စာတိရာနှင့်လိုက  
ဥပေါ်မြတ်ရောက်စွာပေးစာ ဖြစ်  
အဖွဲ့လျှပ်စာကို ခြောက်-  
ခြောက်မြတ်ပေးစာတိ၊ ဖြစ်  
ပြုခွံစိုက်ပို့တော် ၆၁၀၈-  
၂၂၆၉။ မြတ်လျှော့မြတ်  
လျော့တ တွေ့ခြောက် မြို့-  
နယ်လျော့ စာဂာဏ်၊ အမြ-  
တ်ပြော၊ ဒေါ်လာဖြော်ပါ အမိ-  
န်လျော့၊ ခြောက်လျော့၊ မြတ်-  
လျော့၊ မြတ်လျော့နှင့် မြတ်-  
လျော့မြတ်လျော့နှင့် မြတ်-  
လျော့မြတ်လျော့မြတ်လျော့

— მანდ საქმე სატრანზიტო ელექტროსადგნების ადგილობრივ ენერგოკომპანიებზე გადაცემა-არგადაცემის საკითხს ეხება. ენერგეტიკის სამინისტროსა და სემეკის თვალსაზრისით, ეს სადენები სატრანზიტო არ არის და ადგილობრივ ენერგოკომპანიებს შეიძლება გადაეცეს. არსებობს ამის საწინააღმდევო შეხედულება, რომელიც ამ პროცესს ამუშავებს.



ჭებს. ჩვენ ვსწავლობთ  
სიტუაციას, სულ მაღვე,  
სამუშაო მიზნით, თავს  
მოვუყრით ენერგოკო-  
მანიურისა და შესაბამი-  
სი ონსტიტუტების წარ-  
მომადგენლებს და კვე-  
ლაფერს გავარისებთ.

— ရှစ် အပဲပေါ်၍  
ပာ ပဲ၊ ရှေ့ခါ ဤလျှိ-  
ုမြိုက်ဘေးရွှေဂါဝံ  
လှ-  
ဣဖော် မိမေလှေဖ တော်-  
လှေပါသိ ဂာဂါဇာဖွေပာ?

— სემეგი არ აპირებს  
ტარიფის გაზრდას. ეს  
თბილისშიც არ მოხდე-  
ბოდა, რომ არა დავა ვი-  
ო-ეს-თან და მასთან  
დადებული ხელშეკ-  
რულების პირობები, რო-

მელიც უფლებას აძლევს, ტარიფის გაძვირება მოითხოვოს. როგორც კერძო კომპანიას, მას ახლა ვერანაირ პრეტენზიას ვეღარ წაუყენებთ. სამაგიროდ, კიკლოვაზი იმ თანამდებობის პირთა საკითხს, ვინც ხელშეკრულების გაფორმების დროს, აღნიშნული პარობების მინუსზე ვერ გნ-

— ମନମାଗ୍ରାଲି ନ୍ଳାଇସ ଶାହ-  
ତରକୀସଟଙ୍ଗିସ ରାତ୍ରିନିରାତ୍ରି ଫ୍ରେଣ୍ଟା ଏ-

გურებელზე ამყარებს იმედებს —  
არადა, იქაც ხომ ბევრი პრობ-  
ლემა?

— ეს არის ქვეყნის დასაყრდენი კლუბებისადგური. იქ მიძინოსარეობს სარემონტო სამუშაოები, მაგრამ პრობლემა მართლაც ბევრია, რადგან წლიდან წლამდე ვერ ხერხდებოდა ამისთვის საჭირო სახსრების გამოყოფა. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ენგურჟების დღიდი ნაწილი — ის, სადაც ძირითადი აგრეგატებია, აფხაზეთის მხარესაა და ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავის დროზე ეს სადგური ისე ამჟავდა, რომ სახელმწიფო კომისიას ექსპლუატაციაში არც მიუღია... მოკლედ, უძრავი პრობლემა.

— တ္ထေသန ပုဂ္ဂနိုင်ရာ အကျဉ်းချုပ် လျှေ  
ဖြစ်တော် မြန်မာနိုင်ငံ၊ မာဂ်ရာမီ  
အလုပ်ပတ် ဖျက်ချေ ပျော်ဆောင်မြို့ရေးကြော်  
နှင့် မြေသွေလျှောက်နှင့် အမိန့်ဆောင် ပြောင်-  
ပွဲနောက်လောက်တော်...

— ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ  
ენერგოსისტებაში არ არსებობს სფერო,  
სადაც წესრიგს ნახავთ. გასაგებია, რომ  
ზოგან ობიექტურ მძიეზებითანაც გვაქვს  
საქმე, მაგრამ ასეთი ქაოსი და უწეს-  
რიგობა მაინც წარმოუდგენელი იყო  
ჩემთვის...

სანიჭის დაგენერიკულ ცენტრის მიერ გვერდის გვერდის

თბილისში სტუმრად იმყოფებან  
მიჩიგნის კომუნალური მომსახურების  
კომისიის წევრები. როგორც საქართვე-  
ლოს ენერგეტიკის მარეგულირებელი  
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე  
კლიმატური ერთსაფარი იტყობინება, უკკე მესამე  
წელია, რაც ისინი საქართველოსთან თან-  
ამშრომლობენ.

ამერიკაში ნებისმიერი კომპანია  
ტარიფზე ფასების ზრდას მხოლოდ მარ-  
ეგულირებელ კომისიას უთანხმებს,  
ელექტროენერგიის ტარიფი საბაზო  
ეკონომიკის ყველა წესის დაცვით უნდა  
განისაზღვროს, თუმცა სხვა ფაქტორებთ-  
ან ერთად, მისა დაღვენის დროს მოსახ-  
ლეობის გადახდისუნარიანობის საკითხ-  
იც უნდა იყოს გათვალისწინებული —  
აცხადებნ ამერიკელები.

ე-ი-ეს თელას-სა და მომხმარებელს  
შორის ორმხრივი ხელშეკრულების დადე-  
ბის შემდეგ, მომხმარებელი დაცული იქნება:  
ანლო ხსირა შემთხვევა, როცა მიმწოდე-

ბელი კომპანიის გამო მოსახლეობა ზარალდება, ხელშეკრულებაში კი მხარეების ყველა უფლება-მოვალეობა ჩამოყალიბებული იქნება. ამ და სხვა მოსაზრებებს ამერიკელები კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში გაუზიარებენ ქართველ ჭოლებებს.

ელიზბარ ერისთავის აზრით, ელექტროენერგიის ტარიფი ამჟამად საკმაოდ დაბალია, მაგრამ თბილისის გარდა არსად არ გაიზრდება, რაღაც მოსახლეობის დიდი ნაწილი გადახდის უუნაროა. თბილისში კი, ტარიფის მომატება უმნიშვნელო იქნება — თუ კონკრეტულად რამდენი და რა სახის ხელშეკრულებას შემოგვთავაზებს ეი-ი-ეს თელასი — ეს ცოტა ხანში გაირკვევა, მანამდე კი მოსახლეობასთან საჯარო შესვერტყბი მოეწყობა.

დაბოლოს, გადახდისუუნარო მოსახლეობა ამერიკაშიც ყოფილა: მაგალითად, მიჩიგანის შტატში მათი რაოდენობა 15%-




საც კი აღწევს. თუმცა, აშშ-ის ფედერალურ მთავრობას ჰყავს სოციალური სამსახურები და აქვს საგანგებო პროგრამა, რომელიც დაუცველ ადამიანებს ეხმარება, საქართველოში კი ასეთი ძლიერი სამსახურები არ არსებობს, ან კი როგორ შეძლებენ დახმარებას, როცა გადახდის უზნარონი მოსახლეობის 15%-ს კი არა – ლამისა 90%-ს აღწევს?!..

ჯერის მონასტერში ბერთა საცხოვრებელ კელიებს ჯერ კოდევ ეტყობა კიტოვანისა და „მისი ბიჭების“ ნაკალევი. სატრაპეზოს კედელზე ირემია გამოხატული. პირმშვენიერმა ნებიერამ, რომელიც დღემდე ბერებთან ერთად ცხოვრობს, ეტყობა, მუხა აუფრთხილა ბატონ თენის და ქველი სელობა გახსენა. ირმის დაობლებული ნუკრი, თავის დროზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორისთვისთვის უჩექებიათ, უწმინდებსა და უნეტარებს კი მონასტრისთვის მიუბარებია. ნებიერას და ბერთა სიმშვიდეს საძი უხარმახარი წმინდა სისხლის კავკასიური ნაგზი იცავს. თუმცა, ამ ნაგზებმაც ვერ დაიცვეს მონასტერი გაძარცვისაგან.

## ნანა ქიბიშაური

როგორც გავიგეთ, ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, საიდანაც მცხეთის ულამაზესი ხედი იშლება, ბევრ ფულიან კაცს უჭირავს თვალი (სხვათა მორის, ერთ-ერთი მათგანი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად იყო მიჩნეული) – იქნებ ესეც არის იმის მიზეზი, რომ მონასტრისთვის სამეურნეო მიწის დაკანონება დღემდე გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება. აქ მოღვაწე 7 ბერი ამ თემაზე საუბარს ერიდება. კონკრეტულად დასმულ შეკითხვებზე კი, მხოლოდ ერთ პასუხს გვაძლევენ – „ყველაფერი უფლის ხებაა“.

კონსტანტინე დავითი, ბახილი, გრიგორი, ლაზარე, იოანე და მიქაელი შემთხვილი ბერები არიან. წესით, ისინი მთელ დღეს ლოცვაში უნდა ატარებდნენ და თავიანთ სენაკებში ასკეტურად ცხოვრობდნენ, მაგრამ მონასტერში მიღენი საქმეა, რომ ფიზიკური შრომაც საქმაოდ უწევთ. ამასთან ერთად, ორი მათგანი – მამა კონსტანტინე და მამა დავითი მღვდლის მოვალეობასაც ასრულებენ. ისინი ტყებები არიან და გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. მათი დის, თამარის თქმით, ბავშვობიდანვე ან სულ ერთად იყვნენ, ან ერთმანეთს დაეძებდნენ. გარეგნული მსგავსების მიუხედავად, ხასიათით დალიან განსხვავებულები არიან. მამა



# ტყებმა ბერმა დედა მონათლა

კონსტანტინე უფრო დინჯი და სერიოზულია. მამა დავითი კი მხიარული და ენამოსწრებული. ისინი ჯარშიც არ დააცილეს ერთმანეთს, სადაც განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილში მოხვდნენ. ჯარიდან ჩამოსკლის შემდეგ, ჯერ მამა დავითი შეუდგა დათისმასხურებას, მოგვიანებით კი, მამა კონსტანტინე, რომელიც მანაძლე გეოლოგად მუშაობდა. საგამოცდო ვადის გასკლის შემდეგ, ორივე ძმა ბერად აღიკვეცა და დღემდე არც ერთი არ ნანობს „ამქუვენიურ სიამეთაგან განშორებას“. მათი მეგობრების და თანაკლასელების ინფორმაციით, ტყუპები, ბერად აღკვეცამდე, თავიანთი არაორდინარული ქცევით გამოირჩეოდნენ და ყოველთვის გარშემომყოფთა ყურადღების ცენტრში იყვნენ. ასეა დღესაც, ოღონდ მხოლოდ სასულიერო წრეში. ბოლო დროს სალაპარაკო თემად ტყუპი ბერის მიერ ჩატარებული ნათლობაც იქცა. მათ საკუთარ დედას „სახელი შეუცვალეს“. „განდა“ უძველესი ქართული სახელია, მაგრამ ძმების აზრით, არაქრისტიანულად უდერს. ამიტომ მათ შესაფერისი რიტუალი შეასრულეს და დედას მარამი დაარქვეს.

— გამა კონსტანტინე, რამდენი წლის იყავით თქვენ და თქვენი ძმა, ბერად რომ აღი-

კი ვარეთ?

— 24 წლის ასაკში აღვიკვეცეთ.

## რა სასულიერო ნოდება გაქვთ?

— ორივე იღუმენი ვართ. პატრიარქის განჩინებით კი მე ჯვრის მონასტრის წინამდღვარიც გახლავართ.

## ჯარშიც ერთნაირი ნოდება გქონდათ?

— კი, იქ ორივე სერქანტები ვიყავთ.

— რამდენადაც ვიცო, ჯარიდან ჩამოსკლის შემდეგ გადაწყვიტეთ უფლისთვის თავის მიძლევა. შეიძლება ვარში სამსახურის დროს მოხდა რაღაც ისეთი, რამაც შემდგომში თქვენი ცხოვრება შეცვალა?

— ბერად ან მონაზვნად აღკვეცის მიზეზს ყოველთვის რაღაც გასაიდუმლობელ თავგადასვალს უკავშირებენ. არადა, ხშირ შემთხვევაში, ასე არ არის. სამხედრო სამსახური უკრაინაში, ქალაქ ხერსონში მოგვიწია. იქ სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით, ერთ-ერთი ქვეყნის სამხედრო აეროდრომებსა და თვითმფრინავთა ბაზებს გაკონტროლებდით. იქ „ისეთი“ არაფერი მომხდარა. ჩვენ ჯარში წასვლამდეც ეკლესიურად ვცხოვრობდით. სულ იმ უურნალების ძებნაში ვიყავთ, სადაც რელიგიურ თემაზე იძეჭდებოდა წერილები. ყოველი ადამიანი თავის წილ ჯვარს ატარებს, მათ შორის ჩვენც. და მაღლობა ღმერთს, დღემდე არჩეული გზ-



იდან არც ერთს არ გადაგვიხვევია.

— **როგორც აშპობენ,**  
თქვენს მრევლში ძალიან ბეჭრა  
ცნობილი ადამიანია. მათ  
შორის პარლამენტარები, მინ-  
ისტრები, მათი მოადგილეები.  
თქვენ ერთდროულად ისმენთ  
კახა ბაკურაძისა თუ ცნო-  
ბილი კანონიერი ქურდების  
აღსარებებს...

— ჩემთვის, როგორც მოძღვრისათვის,  
არავითარი მნიშვნელობა არა აქვს,  
საერო ცხოვრებაში რა საქმიანობას  
ეწევა მრევლის ცალკეული წევრი,  
ყველასათვის ცნობილია ის, თუ არავინ  
იცის მისი არსებობა. ჩემთვის ის არის  
მორწმუნე ადამიანი, რომელიც აღსარე-  
ბის სათქმელად მოდის. ისინი ჩემი  
სულიერი შვილები არიან და მე ყოვე-  
ლი მათგანისთვის ერთნაირად ვლოც-  
ულობ. ზიარება და სულის ცხონება  
პოლიციელსაც და ქურდსაც ერთნაირ-  
ად სჭირდება. ცხონება არის დაკარ-  
გული კავშირის აღდგენა ღმერთთან.  
ადამიანი მხოლოდ ღმერთთან კავშირ-  
ში პოვებს სულის სიმშევიდეს. ზოგჯერ  
იმდენად ახლო სულიერი კონტაქტი  
მყარდება ჩემსა და მორწმუნე მრევლს  
შორის, რომ ხმა ჩამესმის, რომელიც  
მყარნახობს, სინამდვილეში საიდან მო-  
დის მისი პრობლემა. ერთ შემთხვევას  
მოგიყვებით: ამერიკელმა ჯანეტმა  
საქართველოში დაიწერა ჯვარი. ამ  
საიდუმლო რიტუალის აღსრულების  
დროს ჩამესმა ხმა, რომ ის უნაყოფო  
იყო. ამის მიზეზი კი მისი წინაპრების  
მიერ ჩადენილი მოუნაიებელი  
ცოდვა იყო... ასეთი შემთხვევა ხშირ-  
ად მაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოძღ-  
ვარსა და სულიერ შვილს შორის  
საიდუმლო კავშირია. აღსარების დროს  
მოძღვარზე გადმოდის მადლი და ის  
ხდება აღმსარებელსა და უფალს  
შორის შეუავალიშვილის მიღების-

აგან მინიჭებული აქვს უნარი, აპა-  
ტიოს შეცოდებანი.

— **ძალიან ბეჭრს ასეუ-  
ტური ცხოვრებისაკენ გაცრუე-  
ბული სიყვარული უბიძგება.**

— მცდარი შეხედულებაა. ასეუტური  
ცხოვრებისკენ ადამიანს მხოლოდ უფ-  
ლის სიყვარული უბიძგებს ხოლმე...  
თქვენ რა სიყვარულსაც გულისხმობთ,  
იმას მონასტერში ვერ დაემალები.  
ბუნებაში არაფერია სიყვარულის  
გარეშე. არც ეკლესია. რელიგიაც, სიყ-  
ვარულის გარეშე, ფანატიზმია და მეტი  
არაფერი.

— **თქვენ და თქვენი ტყუ-  
პისცალი ბერად აღკვეცამდე  
ხომ ჩვეულებრივი ადამიანე-  
ბი იყავით და ჩვეულებრივად  
გიყვარდათ?**

— ახლაც ჩვეულებრივი ადამიანე-  
ბი ვართ. უბრალოდ, განდგომილად  
ცხოვრობთ და ვლოცულობთ.

— **ადრე ხომ გყავდათ შე-  
ვარებულები?**

— კი, ორივეს გვიყვარდა.

— **შეგიძლიათ გაისხეოთ  
ის ადამიანები? თუ არ შეი-  
ძლება თქვენთვის ასეთი რაღა-  
ცების გახსენება?**

— არც ვლაპარაკობთ, არც ვიხ-  
სენებთ, ჩვენ მხოლოდ ვინანიებთ იმას,  
რაც შეგვიცოდავს. მაგრამ ახლა არ  
მინდა, გული დაგწყვიტოთ და უპა-  
სუხოდ დაგტოვოთ. მიყვარდა ერთი  
გოგო. აღმართ მასაც ვუყვარდი. სუ-  
ფრასთან უთქვამთ მისთვის, რომ მე  
ბერად აღვიპეცე. ბევრი უტირია. მერე  
ისიც გათხოვდა.

— **თქვენი ტყუპისცალის  
თავგადასავალი?**

— მას ყრუ-მუნჯი გოგო უყვარდა.

— **ამქვეცნიურ ცდუნებათ-  
აგან რომლის დაძლევა გაგი-  
ჭირდათ ყველაზე მეტად?**

— ყოველგვარი ცდუნების დაძლე-  
ვა დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ  
ხდება. ამ ბრძოლის ადგილი კი მონ-  
ასტერია. საკუთარ თავთან განმარტოე-  
ბულ ადამიანს უჭირს ცოდვილ ფიქ-  
რთავან თავის დაღწევა, ამიტომ ბერე-  
ბი, სანამ სულიერად არ გამყარდებიან,  
ერთად ცხოვრობენ მონასტერში.  
სულიერად გამოწრობის შემდეგ კი,  
ასეუტურ ცხოვრებას იწყებენ და  
სენაკებში განმარტოვდებინ. მაცხო-  
ვარს ყველაზე მეტად იოანე ღვთის-  
მეტყველი უყვარდა, რადგან მას ფიქრი-  
თაც კი არ შეუცოდავს ქალთან. ყვე-  
ლაზე ძნელი დასაძლევი სწორედ საკ-  
უთარ ფიქრთან ბრძოლა ყოფილა. მით  
უმეტეს მაშინ, როცა მარტო რჩები.  
ამიტომ არის, რომ მარტოდ მყოფმა  
ბერმა მთელი დღე ლოცვაში უნდა  
გაატაროს. წმ. ბასილი დიდის აქვს  
ასეთი გამონათქამი: მე ქალი არ ვიცი,  
მაგრამ ქალწული არ ვარ. ე.ი. ფიქრით  
ჰქონდა შენაცოდა. კაცის ქალწულო-  
ბა მისი გონების სიწმინდეს ნიშანვს.  
სწორედ ისეთ სიწმინდეს, როგორიც  
იოანე ღვთისმეტყველს ჰქონდა.

— **ძალიან შეგვხართ ერთ-  
მანებას, ამის გამო კურონიც  
ბეჭრი გექნებათ.**

— კი. საპატრიარქოში ორივეს ერ-  
თად გვიწევს ხოლმე ყოფნა და იქ  
ხდება კურონიზები. კიბეზე ხშირად  
შემხვედრია გაოცებული ხალხი: ეს  
მამა ახლა გავიდა და როდისღა შე-  
მოვიდაო? ხოლო როცა გავსულვარ,  
შეკითხვა დამდეგნებია — მამაო, მე-  
ოთხედ გადიხარ და როდის შემო-  
დიხარო? ამ ოინებს ჩემი ტყუპისცა-  
ლი ატარებს. სამწუხაროდ, ახლა აქ  
არის, როგორც თვითონ ამბობს  
ხოლმე — „გასულია მომსახურების  
ზონიდან“, თორემ კურონიზების შესახ-  
ებ ის უკეთ მოგიყვებოდათ. ჩვენი მსგა-  
ვსების გამო ყველაზე დიდი პრობლემა  
ჩვენს მრევლს აქვს. მისალმებისა  
და მოკითხვის დროს ხან ჩვენ ვიბევ-  
ოთ, ხან ისინი. ხასიათით ძალიან გან-  
ვხსევავდებით ერთმანეთისაგან. როდე-  
საც ჩვენს პატრიარქს, უწმინდესსა და  
უნეტარესს ჰოროსკოპების მკრეხელო-  
ბის შესახებ უნდა რაიმე განცხადების  
გაკეთება, მაგალითად სულ ჩვენ  
მოვყავართ: დაგვაყენებს ერთად და  
გამოაცხადებს — აგერ, შეხედეთ, ერთ  
წელს, ერთ დღეს და ერთ საათში  
დაბადებულებს, მათ ერთი ჰოროსკოპი

აქთო. მთელმა საპატრიარქომ იცის ჩვენი განსხვავებული ხასიათის ამ-ბავი და კველა იცინის.

### — მანც როთ განსხვავდებ-ოთ?

— როგორც ამბობენ, მე მეტისმეტად მკაცრი, სერიოზული და კატეგორიული ვარ, ის კი მეტისმეტად ხალისიანი, მხიარული და დიპლომატიური.

— **როგორც გიცი, ილია მეორეს გამორჩეულად უყვარს მამა დავითი და სწორედ მას აკურთხებინა ედუარდ-გიორგის კარის ეკლესია.**

— კი, მან აკურთხა.

— **ედუარდ-გიორგის მოძღვარიც ის ხომ არ არის?**

— არა, შევარდნაძის მოძღვარი მამა ტარიელია. მისი კარის ეკლესიაც მამა დავითმა მასთან ერთად აკურთხა.

— **გიცი, რომ ამ კითხვის დასმისა და განსჯის უფლება არ გვაქნს, მაგრამ მანც... რამდენად ჭეშმარიტი მორწმუნენი არიან ჩვენი პოლიტიკოსები? მათი უმრავლესობა ხომ სწორედ ჯვრის მონასტერში ამბობს ალსარებას?**

— სურვილი ბევრს აქვს, იყოს მორწმუნე. ჩემთვის ესეც სასიხარულოა. პოლიტიკაში კარგია კეთილსინდისიერებაც, პატიონსნებაც, მაგრამ ამ საქმიანობაში კველაზე დიდი და ფასეული მანც სახელმწიფოებრივი სიბრძნეა. ეს არის ის, რაც მათ მოეთხოვებათ. ჩემი საქმე კი ლოცვაა. ლოცვა საქართველოს სულიერად გადარჩენისათვის.

— **საქართველო მართლაც გადასარჩენია. ძალიან გახშირდა თვითმკვლელობების შემთხვევები. ეს უფლის წინაშე დიდი ცოდვაა, თუმცა ზოგ შემთხვევაში, თვითმკვლელებზე ნებას აგება მანც ნებადართული ყოფილა.**

— ნებადართულია მხოლოდ ფსიქიკურად შეურაცხადებსა და კლიმაქსის პერიოდში მყოფ თვითმკვლელებზე. დანარჩენ შემთხვევებში მიუტევებელ ცოდვად ითვლება. სწორედ მისიმომ არსებობს ეკლესია, რომ უნუგეშომ დასაყრდენი პოვოს. ეს შემთხვევები, რომელიც თითქმის ყოველდღე ხდება, ჩვენს სულიერ სისუსტეზე მეტყველებს.

— **ეკლესიის შესასვლელთან ჩვეულებრივი ამბავია მათხოვნებისა და ფსიქიკურად დაგვადებულთა სტარბე. ამ მონასტერშიც განსაკურნავად ბევრი ნაკომიანი და ფსიქიკურად დაავადებული ხალხი მოჰყავთ და თვეობით ტოვებენ.**

— გაჭირვებული ყოველთვის ეპლესიისკენ ისწრაფვის. ისინი აქ სულიერ სიმშვიდეს პოულობენ, მაგრამ ვფიქრობ, მათზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რადგან, სულიერების გარდა, მათ ფიზიკური გამოვანმრთელება და განკურნება სჭირდებათ. მანც დაუშვებლად მიმართა მონასტრის ეზოში საცხოვრებლად ისეთი ავადმყოფის დატოვება, ვინც პასუხს არ აგებს თავის ქმედებაზე და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ტაძარი გადაწვას.

— ... და ბოლო შეეითხო: იქნებ დროა, ჩვენმა დავთისმსახურებმა კარდაგარ იქადაგონ, რათა ამ მძიმე უამს სულიერად გაამხნევონ ხალხი. ბოლოს და ბოლოს, იღლოველებმა ამ გზით შემოიკრიბეს თავიანთი მიმდევრები, იქნებ ამ გზითვე მოხდეს მათი ეკლესიისეკნ შემობრუნება?


— საპატრიარქოში არის ევანგელიზაციის განყოფილება. იქ არიან მღვდლები, რომლებიც კარდაგარ ქადაგებას ეწევიან. ამ კველაფერის სათავეში მეუფე დანიელი უდგას. ასე რომ, საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხვით, უკვე შექმნილია ის, რაც თქვენ ბრძანეთ.

მონასტრიდან მამა ლაზარებ გამოვაცილა. გზაში დრო არ დავკარგე და მასაც ვკითხე: საკუთარ თავში კველაზე მეტად რომელი ცდუნების დაძლევა გაუჭირდა. იარაღის სიყვარული ვერ ამოვიგდე გულიდანო, გამოვგიტყდა ლაზარე და ერთ ამბავს მოგვიყენა: ერთხელ მონასტერში ვიღაც უცხოელი ასულა. მის პირად დაცვას წელზე ისეთი ნაგანი ჰქონია შემორტყმული და მანქანაშიც ისეთი თოვი სდება, რომ... ვერ გაუძლო თურმე გულმა მამა ლაზარეს და სიმკაცრით ცნობილ წინამდვივარს, მამა კონსტანტინეს მუხლებით თორმეტგზის

შემოუარა: ნება მომეცი, ის თოვი ხელში დავიგიროო. შეძეზრებულა მამა კონსტანტინე მუხლებზე ძღვომი ლაზარეს ცერით და დათანხმებულა. გამოჭრილა გახარებული ლაზარე სენაკიდან, მისულა იმ „დაცვის ბიჭთან“ და უთხოვია იარაღი. გაოცებულ „დაცვას“ უარი ვერ უთქვამს ბერისათვის და იარაღი უთხოვებია. გადაუკიდია ლაზარეს თოვი მხარზე და გარიდებია მონასტერს. როდესაც ბრუნდებოდა, გზაზე ერთი მორწმუნებ შეხვდიდა. როცა შავად შემოსილი, მხარზე თოვგადაკიდებული ბერი დაუნახავს, გაოცებულა: საიდან, მამაო, ასეთი თოვიო? — საიდან და, იმ შემოწირულობის უფოდან, ჩვენს წინამდვივარს რომ უდგას სენაკშიო — უხუმრია ლაზარეს. ის კაცი მონასტერში მისულა. მამა კონსტანტინესთვის აღსარება ჩაუბარებია და ბოლოს უთქვამს: — მამაო, თუ შეიძლება, ერთი თხევნა მაქსა — თქვენს სენაკში იარაღიანი უფოდან გიღგათ, იქიდან ერთ თოვს ავიღებ და ახლოდან შევავლებ თვალს, თუ შეიძლებათ.

ამის მერე რა დღე დაადგებოდა ლაზარეს, აღბათ მიხვდებით.

ახლაც ებრძვის თურმე გულისთქმას ლაზარე. ზოგჯერ ვერ ითმენს და თავის მრევლს ეხვეწება, — როცა მონასტერში ამოხვალთ, „კვირის პალიტრა“ გამოაყოლეთ, ირაკლი აღადაშვილის სამხედრო გვერდს დაგხედავ და მაშინვე დაგიბრუნებოთ.





**თუ საქართველოს ერთი  
პატარა კუთხიდან, აფხ-  
აზეთიდან დიდ საქა-  
რთველოში ნამოსვლას გა-  
დანჭვეტი, ე.წ. უშიშროების  
სამინისტროს, თხოვნით უნდა  
მიმართოთ. რამდენიმე დღის  
შემდეგ გამოგიძახებენ და  
შეგასხებინებენ ცნობის ფურ-  
ცელს, სადაც უნდა უსასუბ-  
ოთ, რატომ მიღინართ, კინ  
გყავთ ნათესაობიდან დარჩე-  
ნილი საქართველოში, იპრო-  
და თუ არა თქვენი რომე-  
ლიმე ახლობელი და ა.შ. ამ  
ინფორმაციის შემოწმების  
შემდეგ, თუ კველაფერი წეს-  
რიგშია, გადმოსვლაზე ნებარ-  
თვას იძლევიან, — მითხოვ  
გაგრელმა ქალბატონმა  
მარინებ (რეპონდენტის თხოვ-  
ნით, სახელი შეცვლილია).**

## პრემიერ ქადაგი „თბილის“ სახელი არ გამოუსვალა

**თამაზ ხაბეიშვილი**

— უშიშროების ნებართვის  
შემდეგ შეუფერხებლად გად-  
მოხვედით?

— რა თქმა უნდა, ამ ცნობით შემი-  
ძლია ვადმოსვლაც და უკან დაბრუნე-  
ბაც. საზღვრის გადაკეთა თანდათან  
იოლდება. ბილეთში 40 რუბლი გადა-  
გხასადე. ენგურის ზიდზე აფხაზებმა  
გაგრინიერებას, რატომდაც ყველი და თევზი  
არ გამოგვატანეს. სხვა პრობლემა არ  
გვქნია.

— რატომ დარჩით აფხაზეთ-  
ში, ქართველებს აღარ აფი-  
ცროვებენ?

— სხვაგან ცხოვრება აღარ შემიძლია,  
იქ დავიბადე, იქ ვავიზარდე. ახლა აქეთ  
რომ ვარ, გული იქთ, ჩემი სახლ-კარისკენ  
მიმიწვევს. ქართველებს ახლა იშვიათად  
ავიწროებენ. ერთხელ ქუჩაში სომეხმა  
ქალმა ხმამაღლა, ყველას გასაგონად  
მკითხა, — ქართული გვარი არ გამოგ-  
იცვლიარ? რაც ვიყვაი, ისევ ის დავრჩი-  
მეთქი, ვუპასუხე ხმამაღლა და არავინ  
გაღიზიანებულა. აღრე ქართულად ლაპარ-  
აკი იკრძალებოდა, ახლა ალაგ-ალაგ  
ქრთულ გამარჯვილასაც მოპრაგო ყურის  
და ლაპარაკსაც. მეგრელები იქაურ სეპ-

არატისტულ ხელისუფლებას აკრიტიკებენ და ლანბდავნენ კიდეც, მაგრამ ეს ადარავის უკვირს. დაიღალა ხალხი ამდენი მტრობითა და შუღლით. აღრე გვარების გადაკეთებას გვაძალებდნენ, ზოგმა ნებაყოფლობითაც მიიღო აფხა-  
ზური გვარი. სხვათა შორის, ყველა აფხაზი აზნაურის ან თავადის გვარზე გადავიდა. ამჟამად არმალული მხოლოდ ქართული სკოლებია. სწავლა რუსულ, აფხაზურ და სომხურ ენებზე მიმდინარებოს.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ არმინ-  
ბამ, მოსახლეობას ქართველთა ნაალა-  
ფარი სახლების დაკავება აუკრძალა,  
მაგრამ მისი ბრძანება მხოლოდ ქალალდზე  
დარჩა.

— ამბობენ, ქართველების  
სახლები ჩალის ფასად იყიდე-  
ბა?

— ფაქტობრივად ასეა, მაგრამ ფულის  
გადახდა მაიც უწევთ. მაგალითად, გაგრა-  
ში ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ყურა-  
ვილების ოჯახი. მათი სახლის ყიდვა  
ყურაშვილების აფხაზმა ნათესავებმა  
მოინდომეს და ორსართულიან, ეზოიან  
სახლში 10 ათასი რუბლი (დაახლოე-  
ბით 350 დოლარი. — ავტ.) გადაინ-  
დეს. აფხაზური ხელისუფლება აცხა-

დეს, რომ ასეთი ფული ანგარიშზე გაიყი-  
ნება მანამ, სანამ ქართველები არ დაბ-  
რუნდებიან. ფიქრობენ, თუ მშვიდობიანი  
გზით მოხდება დაბრუნება, ქართველებს  
ბინების მაგივრად ფულს გადასცემის.

— სასტუმროები და სანა-  
ტორიუმებიც გაყიდულია. ამ-  
ბობენ, უცხოელმა ინვესტორებმა  
შეიძინეს.

— სოხუმში არ ვიცი და, გაგრაში  
სასტუმრო „აფხაზეთი“ ისევ ისე გაუბე-  
ლურებულია, როგორც ომის შემდეგ იყო.  
სანატორიუმი „გაგრა“ რუსებმა იჯარით  
აიღეს და „არმენია“ დაარქვეს. ასევე 30  
წლით იჯარით იყიდეს რუსებმა კულ-  
ტურის სახლი. ძველ გაგრაში სანატო-  
რიუმი „თბილისი“ არძინბას ქალიშვილმა  
აიღო იჯარით და, თქვენ წარმოიღვინეთ,  
სახლი ჯერ არ გამოუცვლია. ამბობენ,  
ასე იმიტომ მოიქცა, რომ ქმარი ქართვე-  
ლი ჰყავდა. რომელ სანატორიუმსაც  
და სასტუმროსაც პატრონი გამოუწინდა,  
ყველა მოვლილა და დამსევნებლებიც  
იქ მიდიან. ამბობენ, სასტუმრო „აფხაზე-  
თის“ შესყიდვა უცხოელებს უნდოდათ,  
მაგრამ აფხაზებმა მშელა ფული მოსთხ-  
ოვეს, ინვესტორები გააქციეს.

— ზარზან ზაფხულში ბეჭრი  
დამსევნებლები იყო?

— ბეჭრს ვერ ვიტყვი, მაგრამ ვინც  
ჩამოვიდა, ყველა კმაყოფილი წაგიდა.

— დამსევნებლებისთვის გასა-  
რთობი ადგილები თუ ფუნქ-  
ციონირებდა?

— ზაფხულობით მუშაობს პრინც ოლ-  
დებურგისული რესტორანი „გაგრიფ-  
ში“. მას, ერთი ხანისა, სახელიც  
გამოუცველეს — ვითომდა ქართულიარ,  
მაგრამ მერე დაბრუნებულის. ასევე ნაპა-  
ტრონებია ბარი „კოლხიდა“, რესტორა-  
ნი „რიწა“... სხვა პატარ-პატარა კაფეე-  
ბიც.

— რა მდგომარეობაა სო-  
ციალური თვალსაზრისით? რა  
ლირს პური, აქეს თუ არა  
სალს ხელფასი, პენია?

— უარავი სამუშაო ადგილია-მეთქი,  
ვერ ვიტყვი. მირითადად ხალხი ვაჭრო-  
ბით ირჩებს თავს. პროდუქცია რუსეთიდან  
შემოაქვთ. აფხაზეთიდანც გააქვთ... აღებ-  
მიცემობაა ენგურის ხიდთანაც. აფხაზეთის  
გმოცოცხლება განსაკუთრებით შემოღო-  
მაზე, მოსავლის აღების დღეებში ემჩნევა.  
პირადად მე, ქსოვით და კერვით ვირჩენ  
თავს. რაც შეეხება ხელფას... სკოლაში,  
საავადყოფოსა და სასტუმროში (ან

ტურბაზაში) ყველაზე კარგი ანაზღაურება 300 რუბლია. პენსია ახლა 30 რუბლია და ტელევიზით გამოაცხადეს, პენსიაზე ცხრასაც დაკიმატებოთ. დაბალი პენსია, მაგრამ ღრმულდ იძლევიან. პური ექვსი რუბლი ღირს, ერთი კილო საქონლის ხორცი 30, ხალხს ისე უჭირს, რომ საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფებიც ვერ წვებიან. მშობიარობაში აფხაზებას სამი ათასი რუსული რუბლი მოსთხოვეს. ვერ გადაიხადა, შინ იმშობიარა და კინაღამ გადაჰყვა.

### ამბობენ, აფხაზები წვევამდელებს ჯარშიც იწვევენო... ასეა?

— სამწუხაროდ, მართალია, ეწ. აფხაზური ჯარი ფსოუზე დგას. ჯარისკაცებს შეაბათ-კვირას შინ დაბრუნების უფლებას აძლევენ. ყურმოკვრით ვიცი, რომ სადღაც, ფსოუს მიდამოებში, რუსული შენაერთებიც დგას.

— ითქა, ეწ. აფხაზური ადგილობრივი არჩევნების დროს ქართველმა პარტიზანებმა რამდენიმე ტერაქტი განახორციელეს და არჩევნებიც კინაღამ ჩაშალეს...

— პარტიზანები ძირითადად გალის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედებს და აფხაზების შუაგულში მოქმედება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალის უჭირთ. თუმცა, შიში და რიცი პარტიზანებისა მაინც არსებობს. ხშირად აფხაზურ კლანებს შორისაა შეტაკებები, ატყედება სროლები და მერე ადგილობრივი ტელევიზია აცხადებს, ქართველი პარტიზანები ტერაქტის მოწყობას ცდილობდნენ.

— პარტიზანები მიმდინარეობს

### ანტიქართული პროპაგანდა?

— გამოდის გაზეთები „გაგრა“, „ამაგდარი“, „ჩენი სამშობლო“. ყოველი მათგანი, ძირითადად, ანტიქართული პროპაგანდითაა გაჯერებული. გაზეთის ფასი ორი რუსული რუბლია და რადგან მყიდველი არ ჰყავს, მცირე ტირაჟებით იძეჭდება. თუმცა, გარკვეულწილად საზოგადოებრივ აზრს მაინც ქმნის.

### იქიდან აქ ტელეფონით დარეკა თუ შეგიძლიათ?

— მხოლოდ იქაური უშიშროების თანხმობით. ისე კი, ქალაქის ადგილობრივი ქსელიდან რუსეთთან დაკავშირება იოლია. მობილური ტელეფონები აფხაზეთს ჯერ არა აქვს, არ მუშაობს ფოსტა. წერილის გასაგზავნად ადლერში მივდივართ.

— დაბოლოს, ამბობენ, ქალაქის ცენტრში ქართველი მებრძოლების ფოტოები აქვთ გამოკრული და სამშობლოს მოწებად ჰყავთ შერაცხულიო...

— ამ ბოლო დროს ასეთი რამ არ მნახავს. ძველ გაგრაში სავაჭრო ცენტრში დიდი ასოებით ასეთ წარწერას წავწყდი: „აფხაზი ხალხის ბრძოლა ქართველი ოკუპანტების წინააღმდეგ წმინდაა“. რა თქმა უნდა, ეს ძალზე გამაღიზანებულია, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, არა მარტო ჩენოთვის! როცა ხმა დაირჩა, არძინბას ტვინის კიბო აქვსო, აფხაზებმა მაშინვე ქართველებთან გატარებული თბილი დღეების გახსენება დაიწყეს. შეიმჩნევა, რომ აფხაზები ქართველების დაბრუნებას ელიან და სხვათა შორის, სჯერათ, რომ ეს ადრე თუ გვიან მოხდება.

# რესერვის მეცნიერებები



სასაჩვენებლო აზრები

მხოლოდ თავისუფალი ადამიანია უშიშრი.

### ჯორდანო ბრუნო

სიკვდილის შიშით სიკვდილია უგუნურობა.

### სენაკი

მოუფიქრებლად გადმოსროლილი სიტყვა და ნატყორცნი ქვა ერთია: ვერ შეაჩერებ.

### მენანდრე

ბევრი გეფიცება მეგობრობას და მეგობარი არაა. ზოგი კი, პირიქით, მეგობრად არ ჩაგითვლია და მეგობარია.

### დემოკრიტე

სახელმწიფოს ურყევი საძირკველი – სამართლიანობა.

### პირდარე

სულმოკლეობის უსამაგლესი სახეობაა საკუთარი თავის შექრალება.

### მარკუს ავრელიუსი

ვინც წრფელი გულით, პატიოსნებით რამებს შექმნის,

იყო და არის შემოქმედი ახალი ქვეყნის!

### გალაკტიონ ტაბიდე

განზრაზულსა და აღსრულებას შორის ხშირად უფსერულია.

### საადი

ბრძენი მივიღეს სულელთან – ასე ყოფილა ბელთავან.

მაშ როგორ? განა ოდესმე მივა სულელი ბრძენთანა?

### საბირი



ამ ცოტა ხის წინ  
გადავწყვიტე, სპორტული  
ფორმა აღმედებინა და  
სავარჯიშოდ იპოდრომზე  
დავიწყე სიარული. იქ,  
სარბენ ბილიკებზე უამ-  
რავი საინტერესო ადამიანი,  
ჩინიანიცა და უჩინოც  
იკაუებს ჯანმრთელობას,  
რომელთა შესახებ სხვა  
დროს მოგითხოვთ. ამჟა-  
მად კი თქვენი ყურადღება  
ერთ პატარა გოგონაზე  
მინდა შევაჩირო.



ბოჩა ტყეშელაშვილი

## „მა დადა ახლაც მასონვს...“

ყოველ დილით, შვიდ საათზე, საბურთალოს ქუჩით იპო-  
დრომისკენ მიმავალი ადამიანები ცნობისმოვარე თვალს აყოლებენ პატარა, მოხდენილ მეეზოვეს, რომელიც ხალისიანად გვის ქუ-  
ჩას და ყურადღებას არ აქცევს კანტიკუნტად მოძრავ მანქანებსა და ფეხით მოსიარულებს. ერთხ-  
ელაც მივუახლოვდი — მინდოდა გამერკვია, ცოტა რამ შემტყო მის შესახებ, ავუხსენი — ურნალ „გზი-  
დან“ კარ და შენთან საუბარი მაინ-  
ტერესებს-მეთქი. ერთი შემომხე-  
და და ხმა არ ამოუღია, ისე გამე-  
ცალა. შორიახლოს მოფუსფუსე  
შუახნის ქურთი მეეზოვე ქალისკენ გასწია და მის ზურგს ამოეფარა. მეც ფეხდაფეხ მივყვით და ახლა  
მასთან ვცადე გასუბრება.

— ეს გოგონა თქვენი შვილ-  
ია?

— არა. აი, იმ ქალის — ქუჩის ბოლოში მოფუსფუსე მოხუც მეე-  
ზოვე ქალზე მიმითითა — შვილ-  
იშვილია. ბებიას მოჰყვება ხოლმე დილაბით და ესმარება, — შემომ-  
ცინა და ოქროს კბილები გამო-  
აჩინა. დამტვრეული ქართულით გა-  
მოქითხა, ვინ ბრძანდებით და რა  
გინდათო... გოგონას რაღაც გადა-  
ულაპარაკა და ისიც „სამალავიდან“  
გამოვიდა.

— მე რატომლა მომერიდა

და რატომ გამოიქცა აქეთ?  
— ვიკითხე.

— ერთი კვირის წინ ვიღაც ბი-  
ჭებმა მანქანა გაუჩერეს და შეა-  
შინეს. მე ვუთხარი — ეს წესიერი  
ბავშვია, ობოლია და ბებიას ეხ-  
მარება პურის ფულის შოვნაში-  
მეთქი. ბოლიში მოიხადეს და გაგვ-  
შორდნენ. საერთოდ, ცოტას ლაპარ-  
აკობს კრისტინა და უცხო ხალხ-  
თან საუბარს ერიდება.

— იმედი მაქს, მე დამე-  
ლაპარაკება, — ახლა გოგო-  
ნას შევხედე. ცნობისმოყვარე  
თვალებით მიყურებდა. — ხვალ  
ფოტოკორესპონდენტთან ერთად  
მოვალ. სურათებს გადაგიღებ  
და თან ვილაპარაკოთ. ხომ  
იქნები დილით?

— კი, — გაკვირვებული მიყურებ-  
და. ვიგრძენი, რომ უნდა დამენ-  
ტერესებინა და კვლავ რაღაც მეთქ-  
ვა:

— თუ კარგი სურათები  
გამოგვიგა და შენც სალისი-  
ანად ისაუბრებ, შენი ინტერ-  
ვიუ ურნალში დაიბეჭდება და  
შენს ახლობლებს აჩვენებ.

კრისტინამ რაღაც გადაულაპარ-  
აკა შუახნის მეეზოვეს.

— რა თქვა? — ვიკითხე

— სურათებს მამას გავუგზავნიო.  
ამრიგად, შეთანხმება, როგორც იქნა,  
შედგა და გამოვემშვიდობე. სა-  
სუბროდ კი, მეორე დღეს შევხდით.

— კრისტინა, შენი გვარი  
მაინტერესებს...

— მამედოვა ვარ, ეროვნებით  
ქურთი.

— რამდენი წლის ხარ?

— თხუთმეტის გავხდი უკვე.

— ალბათ ადრე დგინდი  
ხოლმე?

— ჩვენი ოჯახი ადრე ამ ქუ-  
ჩაზე ცხოვრობდა. ახლა გლობულში  
ვცხოვრობ ბებიასთან ერთად. დი-  
ლის ხუთ საათზე ვდგებით და  
ექვისის ნახევარზე გამოვდივართ  
სახლიდან: მეტრო ექვსზე იღება  
და პირველივე შემაღენლობას მოვყებით აქეთ.

— არ გზიარება ყოველ  
დილით ასე ადრე ადგომა?

— არა, მე ხომ ბებიას ვეხმარე-  
ბი.

— სახლში როდის ბრუნ-  
დები ხოლმე? სკოლაში ასწრებ  
მისვლას?

— სკოლაში არ დავდივარ და  
არც არასოდეს მიეღლია. ისე, წერა-  
კითხვა ვიცი ქართულადაც და  
რუსულადაც.

— სკოლაში რატომ არ გვ-  
ლია? არ მიგიყვანეს?

— ექვსი თვის ვიყავი, როცა დე-  
დაჩიმმა მომარტყა და ეტყობა,  
რაღაც დამიზიანდა — ვერ ვლა-  
პარაკობდი. ენა 8 წლისამ ამოვ-  
იდგი და ნელ-ნელა „წესიერი“  
ლაპარაკიც ვისწავლე. ახლა აღარც  
ქურთულად და აღარც ქართულად  
არ მიჭირს საუბარი.

— ექვსი თვის ბაგშეს დედამ  
როგორ მოგარტყა? ალბათ  
ახლა ძალიან ნანობს?

— შემთხვევით მოუხვდა ხელი.  
დედა კი დიდი ხანია, რაც დამელუ-  
პა. მექრდის კიბო პერდა. ოპერ-  
აცია რომ გაგვეკეთებინა, აქაური  
ბინა გავყიდეთ და გლდანში გა-  
დავედით საცხოვრებლად. მე ახ-  
ლაც ძალიან მიყვარს დედა. მამაც  
ძალიან მიყვარს და ჩემი დედი-  
ნაცვალიც კარგი ქალია.

— მამაშენი ცალკე ცხოვ-  
რობს?

— კი, ჩემი ჩვილმეტი წლის და,  
რვა წლის ძმა, მამა და დედი-  
ნაცვალი მოსკოვში ცხოვრობენ. მე  
აქ დამტვრეს ბებიის მოსავლელად.  
ექვის წლის წინ მეც ვიყავი მოსკ-  
ოვში. მპირდებიან, წაგიყვანთო, იქით

კვირას გავფრინდები ალბათ.

— არ გიჭირს ბეპიასთან ცხოვრება?

— არა. იცით, რა კარგი ბებია მყავს? სხვა ბებიებს კი არა პავს, ხუთი თეთრი რომ ენანებათ შვილიშვილებისთვის. რაც მომეწონება, ყველაფერს ყიდულობს. ქურთულად გულიზარა ჰქვია, მე ქართულად, გულიკოს ვეძახი. 73 წლისაა უკვე ერევანთან ყოფილა ჩვენი მშობლიური სოფელი. 17 წლის ყოფილა ბებია, თბილისში რომ ჩამოსულა და მუშაობა დაუწყია. ისე, 12 წლის გაუთხოვებიათ.

— ქურთი გოგონები ადრე თხოვდებიან. შენ რატომ იგივიანებ?

— არა, მე არ მინდა გათხოვება (იცინის).

— რატომ?

— ვინც ადრე გათხოვდა, ყველამ მითხრა — გათხოვება არ ვარგაო. ბევრი უკან, საკუთარ ოჯახშიც კი დაბრუნდა. ქურთებში 20 წლამდე თუ არ გათხოვდა გოგო, მერე დაგვიანებულად ითვლება. მე კიდევ ხუთი წელი მაქს დორ. ბევრი მთხოვნელი კი მყავს, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არ ვაპირებ.

— კრისტინა, აქედან სახლში რომ მიდიხარ, მერე რას აკეთებ?

— მე ადრე, დილის 8 საათისთვის მივღივარ სახლში. ბებია მოგვიანებით, 11-ისთვის ამთავრებს მუშაობას. საოჯახო საქმეებს მთლიანად მე ვაკეთებ: ვალაგებ, ვრეცხავ, საჭმელს ვამზადებ, საყიდლებზეც მე დავდივარ და ბებიას ვუვლი.

— კი, მაგრამ, მთელი დღე სახლში ხარ?

— ძირითადად, კი. საღამოობით ეზოში ჩავდივარ. სადარბაზოსთან გოგოებთან ვზივარ და ვჭორაობთ. ვინმე თუ გაივლის, მაშინვე გავჭორავთ ხოლმე. ჩემი საუკეთესო მეგობრები ქართველები არიან: კრისტინა ქიტესაშვილი და ნათია სვანიძე. ასე ვერთობით ხოლმე.

— ნიგნებს თუ კითხულობ?

— ვერთხულობ, მაგრამ იშვიათ-ად. ფილმების ყურება მიყვარს.

— რომელი ფილმები მოგნონს?

— ქართულები: „ნინო“ და „ცისკარა“ მომწონს ძალიან. დიდი ხანია, ტელევიზორში აღარ უჩვენებიათ. როცა ვუყურებ, მინდა, რომ დიდხანს არ დამთავრდეს.

— მანამობებიდანაც ქართველები მოგნონს?

— არა, მსახიობი კაცებიდან ლეონარდო დი კაპრიო და უნ კლოდ ვანდამი მიტაცებს, ქალებიდან კი — ჯენიფერ ლოპესი და მაიკლ ჯექსონის და, ჯენეტი.

— კრისტინა, შეყვარებული თუ ყოფილხარ?

— არა, არასოდეს, არ მინდოდა, რომ შეყვარებული ვყოფილიყვაი...

— რაზე ოცნებობ, როგორი გინდა იყო?

— მომავალში რა პროფესიის ვიქენები, არ ვიცი — მაგაზე არ მიფიქრია. ისე კი, მინდა, კარგი ოჯახი მქონდეს. მინდა, რომ ჩემი მეუღლე აუცილებლად ერთი კარგი ქურთი ბიჭი იყოს.



## მრთვული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უუფლ გემახსოვრებამ ჩვენი უურნალის სხვადასხვანიმერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხებზე ვაგიჭირდებათ პასუხის ვაცემა...

1. საპარლამენტო  
არჩევნების დროს რომელ  
პარტიას მისცა მსახიობმა  
ბაადურ წულადებით ხდა?



- ა) ედპ-ს;
- ბ) მოქალაქეთა კავშირს;
- გ) აღორძინებას.

2. სპარტაში აღმზრდელის  
მიერ დასმულ შეაითხვაზე  
მოუფირებელი პასუხისმოსის  
რა სასჯელი ილოდა აღ-  
საზრდელს?



- ა) გაროზგვა;
- ბ) უსადილოდ დატოვება;
- გ) აღმზრდელის მიერ ცერზე კბენა.

3. რას ნიშნავს გერძნული  
ციფრა „ნუმიზმატიკა“?



- ა) ფულს;
- ბ) საშუალებას;
- გ) სიმიზრეს.

კასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

# „პირს დაცემულს მოვვაჩდი... ჩემი ევილი ეკვე გთდას თეთრი და გამეშეგული იყო“

19 მაისს თბილისში

საზონელი მეცნიერება მოხდა.  
18 წლის მიშა ცილიკიშვილი  
საკუთარ დაბადების დღეზე  
ცეცხლსასროლი იარაღიდან  
გასროლით, დაუნდობლად  
მოკლეს. დაღუშვას რაღაც  
სასწაულით გადაურჩა მისი  
და — თეა ცილიკიშვილი:  
გოგონას ტყვია მხოლოდ  
იმიტომ ასცდა, რომ სროლის  
მომენტში მან ფეხი რაღაცას  
წამოჰყორა და ძირს დაეცა.  
ტყვიას ვერ გადაურჩა მათი  
პირა — ნუგზარ ცილიკიშ-  
ვილი, იგი ფეხში დაიჭრა და  
არტერია დაუზიანდა.  
დაჭროლი ამჟამად საავადმყო-  
ფოს რეანიმაციის განყოფილე-  
ბაში ცევს.



## მიზა ცელიკიშვილი, და შემოსვევით გადაურჩა მყვია,

### მეგი ცანავა

დაზარალებულთა ვერსით, ამ საზარელ  
დანაშაულებში ეჭვმტანილი, ფირმა „ელიზ-  
ის“ პრეზიდენტის, თამაზ ელიზბარაშვილის  
შეიღილი — 19 წლის გურამ ელიზბარაშ-  
ვილა. 19 მაისს, საღამოს, დაახლოებით 8  
საათისოების, თავის სამ მეცნიეროს ერთად,  
ის თეთრი „ნიკათ“ ფაზიკის ინსტიტუტის  
ეზოში ძღვანე საბანკებზე დარბაზთან მვიდა.  
მიშა ცილიკიშვილი დაბადების დღეს  
სწორებ იქ აღნიშვნადა. თვითმხილველთა

თქმით, ბიჭები მანქანიდან გადმოვიდნენ.  
ელიზბარაშვილი მაშასთან მივიდა და ხანმოკ-  
ლე შელაპარაგბის შეძლევ, მას პისტო-  
ლეტიდან ტყვიერი დაუშინა. მაშა ცილ-  
იკიშვილი იქვე გარდაიცალა. მოკლულის  
ნათესავებისა და ახლობლების თქმით, ისევა-  
როვორც წინასწრი გამოიხიბის ვერსით,  
მკვლელობა ვრცელისას — ნანა ბაქრაძის მაზეზ-  
თ მოხდა. იგი მაშა ცილიკიშვილის შეუ-  
კარგული იყო, გურამ ელიზბარაშვილი კი  
მისი თაყვანისტერებილი გახლდათ.

### ნანა ცილიკიშვილი, მოკ- ლელის დედა:

„ნანა ბაქრაძე მიშიკოს სულ  
სამი თვის გაცნობილი ჰყავდა.  
თუმცა, ამ პატარა დროის მან-  
ძილზე ჩემმა შეიღმა მისი უზო-  
მოდ შევარება შეძლო. საერთოდ,  
ძალიან თბილი და მოსიყვარულე  
გულის ბავშვი იყო, ამიტომც  
უყვარდა ცველას... ნანა მას ძა-  
თლაც ძალიან უყვარდა. ისეთი  
მთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს  
მარტო ნანასთვის ცხოვრობდა,  
მისოების ცოცხლობდა... ამას წინათ  
ის გოგონა ავდ გახდა და საა-  
ვადმოყვოში იწყო. მიშიკო გვერ-  
დიდან არ შეირდებოდა, დღე და  
ღამე სასოფლოთ ვდედა, რეცეპტე-  
ბი ჯიბით დაპქნიდა. წამლების


ფულს მე ვაძლევდი, რადგან თვითონ ყიდუ-  
ლობდა.

ნანას საწინააღმდეგო არაფერი მქონდა,  
მაგრამ როცა მათმა ურთიერთობამ ძლიშედ  
გადაჭაბბებული სახე მიიღო, ავნერვულ-  
დი. არ მომწონდა, რომ მიშიკო შინ ძალიან  
გვიან ბრუნდებოდა. როცა მოვიდოდა, თუმ-  
ცა იმ წუთის დაშორებული იყო ნანასთან,  
მაშივე ტელეფონს მივარდებოდა და ისვე  
ურეავდა. ნანაც ხშირად ურეავდა, გან-  
საკუთრებით, გვიან ღამით. ბევრივე მინახ-  
ავს მიშიკო, უკრძალი ხელში რომ ეჭირა  
და ისე ჩასხნებოდა. ბოლოს და ბოლოს,  
საყვედერი ვეთხარი — შეიღო, ყველაფერს  
თავისი დრო და ზომე აქვს-მეტიქ. ის კი  
გაგვიძრაზდა და საბურთალოზე, ჩვენს მე-  
ორე ბინაში გაიცა. იქ უფრო მეტი შესა-  
ძლებლობა ჰქონდათ თავისუფალი შეხვე-  
დობებისა... დღდა ვარ და კარგად ვწერდოდი  
— მათ ძლიშედ ახლო ურთიერთობა ჰქონ-  
დათ. მიშიკოზე აღლა ყველაზე უფრო ამან  
იმოქმედა და მთლიანად ნანას ზემოქმედების  
ქვეშ მოეცა. თანაც, ის მისი პარეველი სიყ-  
ვარული იყო...

19 მაისს მიშიკო 18 წლის გახდა.  
დაბადების დღეზე მეგობრები, ახლობლები  
და კურსელები ჰყავდა მოწვეველი. რა თქმა  
უნდა, ნანაც. სტუმრებია თავის მოყრა 3  
საათისად დაწესებული დასხვენებ. ყიდრე დასხვე-  
ბოდნენ, ეზოში, მიშიკოს მეცნიერების თეთრი  
„შენიშვნავი. ამბობენ — მანქანიში  
რამდენიმე ბიჭი იჯდა, მერე კი ერთი მათ-  
განი, რომელიც კოჭლობდა (გურამ  
კლინიკარაშვილი მეცნიერებისადმი სამი დღით  
ადრე, ჩხების დროს დაიტრა) გადმოვიდა  
და იგითხა — მაშა რომელია? ცოტა  
სანში მანქანი იმ ადგილიდნ გაქრა...“

მიშიკო, ისევე, როგორც დანარჩენები,  
ძალიან მხარეულობდა, ხან ერთ გოგოსთან  
ცეკვავდა, ხან მეორესთან... როგორც ჩანს, ეს  
ნანას არ მოეწონა და მას გამოიზარებულმა  
უზრა: რა არის, ცველა შენი ბოზია? მიშ-  
იკომ გაკვირვეულმა შეხედა, ხუმრობით  
სამი თითო ტებუზებზე მარტყა და უზრა: ეს  
რამ გათმევნა?! ესენი ცველანი ჩემი ჯი-  
გრები არიან და რაც თქვი, ის აღარ გამ-  
ეორო, ახლა კა ამისთვის დაგსვი — სუ-  
ფრასთან დაგსვამ, არც გაცემებ და არც  
გვერდზე განხედვის საშუალებას მოგცემო.

ნანა მაგდასთან დავდა. ერთხანს გაჩუმე-  
ბული, უხასიათოდ იყო. მერე კი, უცერად,  
მოქედავდა იმისა, რომ შეეძლო ცველასთვის,  
მათ შორის მიშიკოსთვისაც, შეუმნევლად



მიშიკო და  
ნანა ბაქრაძე (მარჯვნივ)  
დაბადების დღეზე



მიშიკოს ბიძა,  
ნუგზარ ცილიკიშვილი



ମିଶନ୍‌ଜୀବନେ ଏହା,  
ତଥା ପ୍ରାଣିକୁମିଳିତିରେ

და ეტოვებინა იქაურობა, თავის ჩანთას დემონ-სტრაციულდა ხელი დაავლო და გაბრაზე-ბულმა, ჩემს შევღის წინ ჩაუქრილა. მაშიკო ავდენა, მეც მას გავყვავ. ნანა შეაჩრა, ხელი მოპხვა და უთხრა — შენ, რა, მართლა გეწყნა? რა მოხდა, მე ხომ უბრალოდ, გეხ-უძრეო? ნანა პასუხიბდა — შენ მე სახეში ხელი გამარტყო. იქვე მათი საერთო მეგო-ბრები იდგნენ, ნანას უუბნებდონენ — რა გაბრაზებს, მიშიკოს შენოვის საწყენი არაფრი უთქამს, არც ხელი გაურტყამს, უბრალოდ, გაგენუმრაო. იგი თავისას მანიც არ იშლ-იდა და დარბაზში დაბრუნებაზე უარს ამ-ბობდა. მაშინ ერთიან გოგონამ, მიშიკოს მე-გობრამა უთხრა — ბილოს და ბოლოს, თქვა, რა გინდა, საქმრო თუ ბიჭი, რომელსაც თთოზე დათხვევ და შენს ჰეჭაზე ატარებო? ეტყობა, ეს სიტყვები მიშიკოს გულში მოხ-ვდა. გაბრაზდა, ნანას ხელი გაუშვა და უთხრა: თუ მდიხისარ, წალი, მე მეტს არაფრის გეტყვით. შეტრიალდა და დარბაზისკენ წავიდა. მერე, მოულონდენდა, კვლავ მო-ბრუნდა, ნანას ისევ ჩაეხუტა და შეეხვეწა — ძალიან გთხოვ, ნუ გაბრაზდები, შემრიგდი და დაბრუნდით. ისიც, როგორც იქან, დაქორ-ჩილა და ყველანი დარბაზში შევედით. მაშ-ივომ ნანას ტორტის დიდი ნაჟვირი მოუჭრა, თან მე მეგოთხებოდა — დედა, ხომ იცი, ნაავადმყოფვით და ბევრი კრემი ხომ არ აწყობს?.. ქეითი ავლავ გააგრძელეს. მაშ-ივა გოგონებთან ისევ ცეკვავდა. ცოტა ხანში ნანამ მას მობიძლური ტელეფონი გამოართ-ვა. მე იმ მოშენტისოფის არ შემიხდავს, მაგრამ როგორც მისი მეგობარი გოგონები ამბობენ, ნანამ მაშინ სწორედ იმ გურამ ელიზაბარაშვილს დაურევა — აქ ვარ, მოდი და წამიცახავო...

გურამ ელიზბარაშვილს არც მე, არც  
ჩემი შეკილი, არ ვიცნობდით. უძრალოდ,  
როგორც ვიცი, ნანა მიშიკოს ეუბნებოდა —  
ელიზბარაშვილს ბავშვობიდან მოვწონევა,  
საბავშვო ბაღიდან მოვიყოქეული, დამდევს,  
მოსვერებას არ მაძლიერს...

რაძღნიმე ხაში სტუმრებმა წასვლა  
და იწყეს. საღამის 8 საათი იყო, როცა  
მიშეკო ზოგიერთი მათგანის გასაცილე-  
ბლად ეზოში გავიდა. სწორედ ამ დროს,  
თევზი „ნივიდა“ ოთხი უცნობი ბიჭი  
გადმოსულა და ეზოში საქმოდ აგრესი-  
ულად შემოსულა. იმწუთის იქ არ ვიყვა, მაგრამ რაღაც ჩინქილი რომ ატყდა, მეც  
გარეთ გავიდი. მიშიკოს გვერდით ვიღები,  
როცა მნი გავარჯინინ (კლიზბარაშვილს)  
უთხრა — ვინა ხარ, რა უნერელი ხარო?  
ლიზბარაშვილმა მის თანხსნელებ ბიჭებს  
გადაულაპარაკა — ეს ვერაზე ძალიან  
„გაბლატავდა“ (ნანა ბაქრაძე ვერელია)  
და შევეყიყნო, ერთი, ჰელა ვასწავლოთ,  
ამის დღე...ო. მამინ იმ ბიჭს მე მოვმრთო:  
შვილო, რა გინდა-მეთქი?.. ჩემი ჩარევა  
მიშიკომ თუქაძრისა, მისი ასაკის ბიჭებს,

მოგებსენებათ, ასეთ სიტუაციებში დედის მფარველობის რცხვენათ. მითხრა – დარბაზში შედით. მე, რა თქმა უნდა, იმ ადგილიდან ფეხიც არ მომიცალია. მანამდე, ჩემმა ქმარმა ერთ-ერთი მათგანი, რიმ-ლისთვისაც თურმე არაღი შუანიშნავს, გვერდზე გაიყვანი, უფაქრია – იარა-ალი აქვს და რამე არ მოხდესო... მაშინ, უცკრად, კლიმარაშვილმა მიშიკოს სახესთან აგრესიულად ხელი აუქნა. უცებ ჩემი შვილის წინ იმ ბიჭის

გამართულ ხელს შევხედე. არაი არ შემი-მჩნევია, ძმენაზ პატარა ყოფილა, რომ წესა-  
ერად არც ჩანდა თურმე. მხოლოდ ნაპერ-  
წკლები დავინახე, რაც უცარი სრილის  
დროს გაჩინდა. ერთმანეთის მიყოლებით გაის-  
როლა — ექვსვერ!.. მე უცემ მიშიკოს  
შევხედე, პროველ გასროლაზე ასაფერი დასტუ-  
ობია, მეორესა და მესამეზე კი, ოკალები  
გადმოატრიალა, ხელი უკან, თორმელის აღ-  
ილას მოიკიდა, შეირმებედა და თქვა — ვაიმე,  
მესროლებსო — და მაშინვე ძირს, უგონოდ  
დაუკა. ძირს დაცუმულს მოვარდი, ჩემი შეიღი  
უკვე მოთლად თეთრი და გაშემუშავები იყო...“

თვითმხილვებით თქმით, სრილის მო-  
მენტში ელიზარაშვილის თანხელვები სახი  
ბაჟი მაშინვე გაიქა. მაშა ცილიკიშვილის  
დაცუმის შეძლე, ელიზარაშვილიც გაშორ-  
და იმ აღვილს, თუმცა მას გარდაცვლილის  
და გაუკიდა. უყიროდა — მობრუნდი, ვის  
ესროლე? ეს რა ჩაიდინო?! ამ სიტყვებზე  
ელიზარაშვილი გოგონასკენ შემობრუნდა  
და პასტოლებით მასაც დაუტიშნა. გასრო-  
ლის მომენტში თუ კილიკიშვილმა შემთხ-

„მიშიკო იმ სადამოს ძალიან მხიარულობდა, ხან ერთ გოგოსთან ცეკვავდა, ხან მეორესთან...“



კვეთ ფეხი რაღაცას წამოჰქონა და ძირს  
დაცემულს, ტყვია ასცდა. ამის შემსევდვარე  
ბიძა მის კერძ გამართა, კლიზებარაზე იღმოა მასი  
მამართულებითაც გაისრილა. ნუ ზარ ცა-  
ლიკიშვილს ტყვია ფეხში, არტერიაში მოხ-  
ვდა. ექიმების თქმით, იგი ჯერ კადეც მიმდე,  
კრიზისულ ძღვომარებაშია. მშისშვილის  
სიკვდილის შესახებ მან არაფერი იცის.

გამოიძების ინფორმაციით, ყველა გას-  
როლა შეიძლოდ ერთი – გურაბ ელიზბარაშ-  
ვილის მხრიდან მოდის. ამას იქ მყოფი  
თვითმმსახლევებიც ადასტურებენ, თუმცა  
იმასაც დასხელენ, რომ ოთხივე ასაღვაზრდა  
ნაკორტიკული ნივთიერების ზემოქმედების  
ქვეშ იძერვებოდა. ოფიციალურად ამის  
შესახებ ჯერვერიობთ არაფერს ამბობენ.  
როგორც გაირკვა, საქმე ელიზბარაშვილის  
ერთ-ერთი თანმეცნების მამამ გახსნა. შეიძლ-  
ის გან მიმდინარის შესახებ შეიტყო თუ არა,  
იფი მაშინვე პოლიციის განყოფილებაში მი-  
იყვანა და ახსნა-განმარტება დაწერინა. მან  
დანარჩენ პირთა გვიანაც დასახელა. პირეუ-  
რატურამ სამივე დაყითხა, თუმცა მათი და-  
კავშირის სახისა და მარტო ასეთი

ჩვენების მახვილი კურა, გაცემა.  
ჩვენების მახვილი, ერთზარაშვილის მდ  
ღვეს ნანა ბაქრაძემ დაურევა და მას  
დაბადების ღღლიან მისი წაყვანა სოხოვა.  
ჩვენება ჩამორთვეს თავიდ ნანა ბაქრაძე-  
საც. იგი მიშეკრ ცილიერშვილის მოსაქ-  
ლავად ან მასთან საჩუბრად ელიზბარაშ-  
ვილის წაჭებას უარყოფს და დასტენს,  
რომ იმ ღვეს მას მართლაც დაურევა,  
მაგრამ ამას ასეთი შედეგი თუ მოკვებო-  
და, არ უფიქრა. დაზარალებულები მკ-  
ლელობის მთავრ მაზეზად კი სწორებ  
ნანა ბაქრაძეს აცხადებულ და მისი, როგორც  
წამებულის წინააღმდეგ, სისხლის სა-  
მართოის საჭის აძრავს მოითხოვნ.

რაც შეეხდა გურამ ელიზარაშვილს,  
იგი ჯერჯერობით იმაღლება. ელიზარაშ-  
ვილების ოჯახი დუშა. დაზარალებულთა  
ოქმით, მასი წევრები ცილიკიშვილებს არ  
გამოხმაურებიან.

გასულ ზაფხულს თბილის-ში ერთდღოვანულად ორი მკელელიმა მოხდა. 21 წლის კობა ჯავახია და 19 წლის დათო ჩიტაური თანატოლებ-თან „საქმის გარჩევას“ შეე-ნირნენ. ისინი ჩსუბის დროს დანით მიყენებული ქრისტ-ბების შედეგად გარდაიცვალ-ნენ. მოჩხებრებს შორის არასრულწლოვნებიც იყვნენ.



ପ୍ରାଚୀନ  
ଶିଳ୍ପିମାଲା



ପ୍ରକାଶକ  
ଜୀବନାଳୋ

## პირ დაისტანციური და კონფიდენციალური მუნიციპალიტეტების განვითარების მიზანის სამსახურის მიერ განვითარებული და მიმღები მუნიციპალიტეტების სისტემის შექმნა?

\_ გეგი ცანკვა

კობა ჯავახისას მკვლელობისთვის დღეს  
20 წლის ზურა კანდელაკს ასამართლებენ. რაც შეეხება დათო ჩიტაურს, მისი მკვლელის ვინაობა პროკურატურის ვერ დაადგინა და საქმე გაუქსნელი დარჩა. ჩხეუბში მონაწილე დაახლოებით 10-12 ადამიანისგან სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ ორის წინააღმდეგ აღიძრა. სასამართლოში კანდელაკიან ერთად არას-რულწლოვან – ლევან მარცვალაძის ბრალეულობის საკითხს განიხილავენ. მარცვალაძეს ბრალად ზულიგნობა და მკვლელობის მცდელობა ეფექტურია. დანა, რომლითაც იგი კობა ჯავახისას დაჭრას ცდილობდა, გამომიების თანახმად, მან საკუთარი ბინიდან გამიზნულად წამოიღო.

ამ ორი მკვლელობის საქმე პროგურატურაში თავიდანვე ჩახდარითული გახდათ. ბურუსით ძოცული დეტალები სასამართლოში უფრო თვალში საცემი ხდება. იკვეთება აზრი, რომ ზედაპირულად და არასწორად წარმოებული ძიების გამო, მკვლელობის საქმე პროგურატურამ ხელახლა უნდა გამოიძიოს. ამის აუცილებლობა საქმის მასალებში მკვლელობის თვითმხილველის – მოწმის არარსებობამ განაპირობა. სწორედ ასეთ პირობებში პროგურატურამ ეჭვმიტანილს 108-ე – განზრას მკვლელობის მუხლი მიუყენა. საბრალდებო დასკვნაში გამომძიებლები საფუძვლად ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას, ნივთმტკიცებასა (მარცვალაძის დანას) და ექსპერტთა ვარაუდებს აცხადებენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღიარებით ჩვენებას, რომელიც განსასჯელის მიერ ცისხშია მიცემული, იგი დღეს კატეგორიულად უარისფერი. აცხადებს, რომ მას ჩვენება მოტყეუბით, მუქარითა და ზეწოლის ქვეშ დააწერინეს და თავს უდანაშაულოდ აცხადებს. ნივთმტკიცება – შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დანა მარცვალაძეს ეკუთვნის, კანდელაპი დასძნეს, რომ ჯავახია მან ძირს დაგდებული ნაპოვნი დანით დაჭრა, რომელიც მერე გუშვივებს

ლი მიმართულებით მოისწოდა. პოლ-იციელებმა იგი ვერ იპოვეს. თუმცა, გამოძიებისას გამოიკვეთა ვერსია – შესაძლოა, ჯავახიც და ჩიტაურიც მარცვალების ბინიდნ წამოიღებული დანით არანა მოკლულები. ამის გარკვევა ყველაზე მეტად ექსპერტებს შეძლოთ. რაც შეეხება ექსპერტებს, თავიანთ დასკვნაში ისინი მხოლოდ ორჭოფულ ვარაუდებს გამოთქვამენ. როგორც გაირკვა, ამის მიზეზი სისხლის გამოკლევა გახდა: აღმოჩნდა, რომ შემთხვევის ადგილას დაღვრილი სისხლი ერთსა და იმავე ჯავუფს მიეკუთვნებოდა. ექვმიტანილებსა და ჩსუბ-ში მონაწილე სხვა პირებსაც მხოლოდ ამ ჯავუფის – I ჯავუფის სისხლი აღმოჩნდათ. ასეთ პირობებში ექსპერტებმა გაბედული პასუხის გაცემა ვერ შეძლეს. შესაბამისად, მათ დასკვნაზე დაყრდნობით, ძნელია დადგინო, ვინ ვის მიერ არის მოკლული.

არადა, მკვლელობა ისეთ დროს, ისეთ კითარებაში მოხდა, რომ მას თვითმხილუ-  
ელი აუცილებლად ეყოლებოდა. 2000 წლის 31 აგვისტოს, საღამოს 8 საა-  
თისთვის ზურა კანდელაკი გლდანის „ა“  
მიკრორაინის №56 ქორპუსში ანა, ეკა-  
და მაა წენგუაშვილების სახლში სტუმ-  
რად იმყოფებოდა. კარზე წენგუაშვილებ-  
ის კლასელებმა, დებმა — თამთა და ნათია  
ხარძიანებმა დააკაცუნს. გამოიყიბის მიერ  
დადასტურებული ვერსიის თანახმად, ბი-  
ნაში შესვლისას, თამთა ხარძიანზე ზურა  
კანდელაკს ხუმრიობით თავზე ხელი წა-  
მოარტყა. კანდელაკმა საპასუხოდ, გოგო-  
ნას სახეში სილა გაარტყა, მერე კი ნატ-  
ენ ფეხზე მას ფეხი დააბიჯა. თამთა  
სთხოვა — ძალიან მტკივა და ფეხი აიღო.  
მან კი გოგონას მეორე ფეხიც დააბიჯა.  
ხარძიანი წაიქცა, ფეხზე ფრჩხილი პეტ-  
ნია ჩაბრუნებული და სისხლი წამოუვი-  
და. კანდელაკმა წაქცეულს ახლა ზურგ-  
ში ჩაარტყა წისძლი. ბოლოს და ბოლოს,  
ისინი დებმა წენგუაშვილებმა გაშეკრულ-  
და სხვადასხვა ოთხში გაიყვანეს. მანც  
არ ცხრებოდნენ და ოთხიდან გამოსულ-  
კანდელაკს, რომელიც ხარძიანის მისა-

မართით იგინებოდა, თამთამ მაგიდიდან აღეული სის საფეროფლე ესროლა. საფეროფლე ზურას ასცდა. ამის შემდეგ დებმა ხარძანებმა წენგვაზვილების ბინა დატოვეს და წაყიდნენ. ეზოში თამთას მისი მეზობელი და ახლობელი დათო ჩიტაური შეხვდა. იგი გოგონას შეკითხა, რატომ ტიროლა. თამთამ მას მოშხდარის შესახებ დაწვრილებით უამბო. დათომ ზურა კანდელაქს დაუძახა და პეითხა — გოგონა რატომ სცემუ? საპასუხოდ ლანძღვა-გაინტა მოიღო, რის შემდეგაც კანდელაქმა ჩიტაურს სახეში ხელიც გაარტყა. მერე ქვა აიღო, მისთვის რომ ჩაერტყა, მაგრამ განხრახვა სისრულეში ვერ მოიყანა, რადგან ქვა მას დებმა წენგვაზვილებმა ხელიდან გააგდებინეს. მათ ჩიტაური და კანდელაქი გააშველეს, თუმცა, მორიგი შეხვედრა იძავს დღის შედეგა.

№56 კორპუსთან ახლოს მდებარე  
ბაღში ზურა კანდელაგის მხარე (ლევან  
მარცვალაძე), ზვიად ყირშია, ძმები თემურ  
და ზვიად გელურავები) და ჩიტაურის  
მომხრეები (კობა ჯავახია, გიორგი დუ-  
ლაძე, როლანდ გევონდიანი და კახა ბუთხ-  
აშვალი) საქმეს არჩევდნენ. ჩხუბის დროს  
კანდელაგმა კობა ჯავახიას მარცხნია  
წელის არეში დანით ჭრილობა მიაყენა.  
არასრულწლოვანმა მარცვალაძემ კი, მას  
განზრაოს მოკვლის მიზნით, დასკეცი დანა  
დაარტყა გულმეტრის არეში. კობა ჯავ-  
ახიამ ხუთი ჭრილობა მიიღო. იგი იმავე  
დღეს გარდაიკვალა.

დანით გულმკერდის არეში სასი-  
კვდილოდ დაიჭრა დათო ჩიტაურიც. იგი  
საავადმყოფოში მიყვანისთანვე გარდა-  
იცვალა. როგორც გამოიძებას ავტორები  
აღნიშნავენ, იგი დაუდგენელმა პირმა დანით  
დაჭრა. სამართალდამცავთა თქმით, კან-  
დელაკი და მარცვალაძე ფიქსატორიანი  
დანებით იყვნენ შეიარაღებულები, ჩიტაუ-  
რის მეგობარი კობა ჯავახია კი — აირის  
პისტოლეტით.

გმოძიების ამ ვერსას, რომელიც პროფურატურამ საბოლოოდ დაადასტურა კიდევ, სხვადასხვა ღეტალით, განსასჯელისა და დაზარალებულის მხარეები ეწინააღმდეგებან. დაზარალებულები აცხადებენ, რომ ჩიტაური და მისი მეგობრები კანდელაკთან საქმის გასარჩევად სპეციალურად მეორედ არ წასულან. ჩეუბისა და მეგლელობის მომეტს განსაკუთრებულად ასახული იყო.

ზურა კანდელაგისა და დები წენ-  
გუაშვილების მტკიცებით, თამთა ხარ-  
ძანი ოთახში შევიდა თუ არა, კანდელაკს  
თავში ხელი განგაბდ წამოარტყა. ზურას  
თამთას ფეხზე ფეხი შემთხვევით მოუხ-  
ვდა, ამ უკანასკნელმა კი სიბრაზისგან  
მისი მისამართით გინება დაიწყო. ამან  
ძალიან გააძრაზა ზურას შეცვარებული

ზურა კანდელაკის მიერ წინასწარი  
გამოძიების დროს მიცემული ჩვენება:

.... დათო ჩიტაურთან პირველი ჩხუბის შეძლევ იქვე, ბაღში წავედო. იქ ჩემს მეზობელი – ზეიად კელურავას შევხვდი, მას ავეხსენი, რომ ჩხუბს გართულება აღარ მოჰყებოდა და მარტო დაგრჩი. დაახლოებით ნახევარ საათში შევამჩნია, ჩემჯენ ფეხით მომავალი დათო ჩიტაური, რომელსაც თან 8-9 ბაზი ახლდა, მათ უკან თეთრი „ნივა“ მოჰყებოდა. ჩიტაურმა მთხოვა, გვერდზე გამსულიყოთ. კლავ შემეტითხა – გოგოს რატომ გაარტყიო? მე უკასუხებ – უზრდელად მომექცა და დირსი იყო-მეთქი. უცნობს (კობა ჯავახია), რომელსაც ყავისფერი ტყავის ჭროუკი ეცავა, ხელში პისტოლეტი ეჭირა. პისტოლეტიანი ხელი მან მარჯვენა ყურის არეში ჩამარტყა. მე წავიტყიო, ცემა დამიწევს. როცა წამოდგომა მოვახერხე, დავინახე, რომ ძირები ჩემს მეგობრებს – ზეიად და თემურ კელურავებსა და ლევან მარცვალაძეს სცემდნენ. ამ დროს ყავისფერქურთუკიანმა პისტოლეტიდან კელურავას მიძართულებით გაისროლა. თემური მას მიუვარდა და იარაღიან ხელში ხელი წავლო, თემურა უცნობმა იგი მაინც წააკცია. ამ მომენტში კიდევ ერთი სროლის ხმა გავიგონე, ყავისფერქურთუკიანი კელურავას ზემოდან მოექცა, თან იარაღი მოუშვირა და უთხრა – მოგდლავ, შენი დედაო... მე ამ დროს ძირს დაგდებული ფიქსატორიანი გაშლილი დანა დავინახე, ავიდე და თემურის მისაშველებლად მათთან მივვარდი. მინდოდა, იმ უცნობისთვის დანა საჯდომში ჩამერტყა, მაგრამ ხელი შემთხვევით ზურგის არეში მომიხვდა. იგი გვერდზე გადაგორდა და ფეხზე წამოდგა...“

კანდელაგის თქმით, მან დანა მაშინვე  
გადააგდო და იმ აღვილს გაშორდა. გადა-  
წყვიტა, გადაუდებლად ფოთში მარტო  
გამგზავრებულიყო, მაგრამ მატარებელს ვერ  
მიუსწრო. რამდენიმე დღე იგი ნათესავ-

ქეთან იმალებოდა. თუმცა, პოლიციაში თავისი ფეხით გამოცხადდა.  
ზურა კანდელაკი 2000 წლის 4 სექტემბერს დააგვევს. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, მას სწორედ ჩიტაურისა და ჩხევბის კიდევ ერთი დაჭრილის – ლულაძის განზრას მკვლელობის მცდელობას აბრალებდნენ. ბრალი გამოიხიაშ მოწმებისა და მტკიცებულებების უქონლობის გამო ვერ დაძტყიცა. ჩიტაურის საქმე ცალკე გამოვიდა და ძიება მხოლოდ კობა ჯავახიას მკვლელობის ფაქტზე განაგრძეს.

**ელისო ბუთხები,** დაზარალებულებ-  
ის — ჯავახიების ადგომატი:

„საინტერესოა, რისთვის გამოყვეს  
ცალქე დათო ჩიტაურის ძევლელობის  
საქმე, ან რატომ დარჩა ეს დანაშაული  
გაუხსნები? მამის, როცა აღნიშვნულ საქმე-  
ში ზუსტად ის მტკიცებულებები არსე-  
ბობს, როცა ჯავახიას ძევლელობის შესახ-  
ებ მოქვლეულ მასლებში...“

გამოღის, რომ პროგურატურამ ეს  
მტკიცებულებები ჩიტაურის მკვლელის  
გამოსავლენად არასაქმარისად ჩათვალდა  
და დანაშაული გაუსხნელი დატოვა. მა-  
შინ სამართალდამცვები ასევე უნდა  
მოქცეულიყონენ ჯაგანიას მკვლელობის  
საქმესთან მიძართებამცი, რადგან მასალებ-  
ში მოწმო არა არ დაძიშვილ ჰყავს;

**ნანა ლომაძის განსასჯელის, ზურა  
კანდელაკის ადვოკატი:**

„ქანდელაკი პოლიციაში ძალით  
არავის მიუყვანია. იგი სიმართლის  
გასარკვევად განყოფილებაში თვითონ  
მივიღა, მაგრამ თავი დამნაშავედ კი არ  
უცნია, არამედ განაცხადა, რომ მართალი  
იყო და სურდა, მომხდარ ამბავში ბო-  
ლომდე გარკვეულიყო. მან იქვე მიუთითა,  
რომ სრულიად უდანაშაულოა მარცვ-  
ალაბეჭე, რომელიც იძ ღროს უკვე დაპა-  
ტიმზებული ჰყავდათ. მოუწიავად ამისა,

გამოიძება იძღვნად ზედაპირულად და ტენ-  
დენციურად მიმდინარეობდა, რომ მას საბ-  
ოლოოდ პროცესატურამ ბრალი 108-ე  
მუხლით წაუკინა. იგი სავსებით უკანონ-  
ოდ, განხრას მკვლელობასა და თამთა  
ხარისანის ცემაში დაადანაშაულეს. თუმცა,  
ამ ბრალის დადასტურება სამართალდამ-  
ცავებმა დღემდე ვერ შეძლეს, რადგან  
ბრალდება მოლიანად აგებულია მხოლოდ  
წარმოდგენებსა და ვარაუდებზე. ერთად-  
ერთი, რასაც გამოიძება ჩატვირთვა, ეს გახ-  
ლდათ საქმის მასალებში არსებული ზურა  
კანდელაკის აღიარებითი ჩენება. არადა,  
ეს არის სწორულიად უკანონი გზით მიღე-  
ბული ჩენება, რომელიც ზურა კანდელაკს  
„აკაპეზეში“ (წინასწარი დაკავების სა-  
კანი. — ავტ.) დააწერინეს. ოქმს, უფრო  
სწორად, ფარატინა ქაღალდს, რომელზეც  
ბრალდებულს თავისი ვითომდა აღარის-

ა უწერია, არც ერთი ისეთი პირი ხელს  
არ აწერს, რომელიც კანინის შესაბამის-  
ად, ვალდებული იყო ამ პროცესს დასწრე-  
ბიდა და ხელიც მოუწერა. კანდელაკა  
ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ ციხის  
ერთ-ერთ ოთახში, სადაც მას ჩვენება  
დააწერინეს, რამდენიმე მამაკაცი იყო, რომ-  
ლებიც მას ემუქრებოდნენ და სცემდნენ.  
თანაც, იმ „აღიარებისას“ კანდელაკი წერს,  
რომ მოკლა ჩიტაურიც და ჯავახიაც.  
გამოდის, პროცესუალურამ ეს „მტკიცე-  
ბულება“ ჩიტაურის მკვლელობასთან მი-  
მართებაში თავად უარყო, ჯავახის ძევ-  
ლელობის საქმეში კი კანდელაკის  
წინააღმდეგ მთავრო თარაღად გამოიყენა...  
ჩვენ აუცილებლად მოვითხოვთ ამ მტკი-  
ცებულების გაუქმებას, რადგან იგი კვე-  
ლანარ საფუძვლს მოკლებულია. ვარ-  
და ამისა, საქმის მასალებში არ არსებობს  
ჩვენება, არ არსებობს პირი, რომელიც  
აღწერდა ჩჩუბის დროს კანდელაკის  
მექმედებას. არავინ ამბობს, რომ ზურად  
დანა აიღო ან ვინმეს დაარტყა იგი... ეს  
არავის დაუნახავს, მაგრამ რადგანაც კან-  
დელაკი იყო ის პირი, ვის გამოც ჩჩუბი  
მოხდა, პროცესუალურამ იყარაუდა, რომ  
კველაზე აგრესიული ის იქნებოდა და  
ძევლელობასაც აუცილებლად ის ჩაიდ-  
ენდა...

զոնաօրան մոյեաս առանաօրո ըշալուրո  
միջրոցեցնելոց ար զաթինա գանձըլացուն  
ծրագրուն ժամանակութիւնը ծրագրուն, ոչ ապօմ-  
րոնագոմ ճայպուրցնելով շնոր զատացունց-  
ողացը. Կոյրա կանցըլացուն միշտը ար, կանո-  
նուն Շեմաձամունաց, գալուստուցունքոց այլո-  
ւոցնելու մոցերոցներ մշելուո, ռաջուան  
ման ճանախան ճա եղլուր տաշուս մշցո-  
ծրուն և սօւուցելուն եղլումուն սօւուցե-  
լու. ամ մշտենեցը առ, միշտը մարտուն-  
սանանարմեցը ուն, անց ճանամշալուն ար  
տուղուց ճա սաշշելս ար այլուրը մարդ-  
էա“.

რაც შეეხება დაზარალებულის ადგვოკატს, იგი საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნებას მოითხოვს. მისი თქმით, პროგურატურამ ზურა კანდიდატს არას-წირი მუხლი შეუფარდა.

## ელისო ბეთქები:

„კანდელაკის ქმედება უნდა დაკვალუ-  
ითიცირდეს არა განზრაას ძევლებობის, არამედ 109-ე მუხლით, რაც დამამიმებელ  
გარემოებებში, ხელით უწინ ქვენარინო-  
ბით, ჯერ უფის მიერ ჩადენილ განზრაას  
ძევლებობას ითვალისწინებს. გარდა ამისა,  
მივითხოვთ — დადგეს იმ მოწმების პა-  
სუხის სხვებლობის საკითხი, რომელებმაც  
სასამართლოს წინაშე დადგებული ფიცის  
მოუხდავად, თავიანთი ჩვენები შეცვალეს.  
ასეთი ფაქტი ძირი ჰქონდება არაერთი დაფიქ-  
სირდა“.

საგადადასახადო შემოსავ-  
ლების მინისტრს, მიხეილ  
მატევარიანს მიმდინარე ცლის  
სახელმწიფო ბიუჯეტის  
შესარულებლობის გამო,  
მემარჯვენე პოლიტიკოსები  
უტევენ და „გამარცხენებუ-  
ლი“ თანხების მფლობელებთ-  
ან ბრძოლაში მატევარიანის  
„მარტოკაცობას“ არ ეთ-  
ანხმებიან. მთავრობის ბოლო  
სხდომიდან გამოსული მატე-  
ვარიანი დაღონებული იყო:  
„არა, ჩვენ არაფერი გვეშ-  
ველება. ეს სისტემა მთლი-  
ანად უნდა დაინგრეს, რომ  
შერე თავიდან დაიწყოს  
ცველაფერი“. ასეთი იყო  
შინისტრთან ინტერვიუს  
პროლოგი. ინტერვიუს დროს  
კი, მის კაბინეტში გაბზული  
სატელეფონო ზარი გაისმა:  
მინისტრს პრეზიდენტმა დაუ-  
რეკა — ჩანს, თბილი დაბლო-  
გი შედგა — ასეთი დასკა-  
ნის გამოტანის საფუძველს  
მიხეილ მატევარიანის რაზ-  
დენჯერმე გამოირჩებული  
ფრაზა გვაძლევა: „დიდი  
მადლობა, ბატონი ედუარდ!“  
დაბლოგის შინაარსზე, ბუნე-  
ბრივია, დელიკატურად არ  
ვითხოვ, მით უმეტეს, რომ  
ეჭვი არ მეპარებოდა —  
პირდაპირ პასუსს ვერც  
მივიღებდი...

## 6060 კაპულია

— მთავრობის ბოლო სსდო-  
მაზე პრეზიდენტიმა ბოლო წლების  
ქრონიკულად დაუკლეველ პრობ-  
ლემად კონტრაბანდა დაასახე-  
ლა. პასუსისმგებელ ეკონომიკურ  
ბლოკს შევარდნაძემ თითიც  
დაუწია. თუ კონტრაბანდასთან  
ბრძოლის ეფექტურ გეგმას ვერ  
წარმოადგინ, შეიძლება თან-  
ამდებობის დატოვებაც მოგიხ-  
დეთო. როგორც გამოიკვეთა,  
ბრძოლის ერთიან ფორმაზე  
ბლოკში ვერ შეთანხმდით. თქვენ  
რა გზით გესახებათ კონტრა-  
ბანდასთან ბრძოლა?

— კონტრაბანდას მთლიანად ვერ მო-  
ერვეთ. ისეთ დიდ ქვეყნებშიც კი, როგორ-  
იცაა კანადა, ინგლისი 10-15%-იანი კონ-  
ტრაბანდა არსებობს.

ქვეყანაში 14 სახეობის პროდუქცია  
უნდა გამოიყოს. რა არის ძირითადი? ნავ-  
თობპროდუქტები, გაზი, ფევილი, შაქარი,  
ცხმელი, ხორცის და ოვაზის პროდუ-  
ქტები, სარეკა საშუალებები, აუტომატიკური,  
სიგარეტები... აი, ეს ყოველივე რომ მოვაქ-  
ციოთ სრულ დატვირთვის, ჩათვალეთ, რომ



# „ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოეთი ეკონომიკა და „წახალისა“

ბიუჯეტის შევსების პროცედურა არ გვქმნება. ისეთი მუშაობა, მე რომ მინდა, – როცა ყველაფერი აღრიცხული უნდა იყოს, – სულ ახლახან დავიწყეთ. ძალიან გვიჭირს ნავთობპროდუქტების სკეროში. ამიტომ ვთხოვე მთავრობის სხდომაზე ყველას, გისაკვეთულია, ამაში დაწესდაროს.

აი, მაგალითად, შემოვა სამხრეთ  
საქართველოს ერთ-ერთი რაიონიდან კონ-  
ტრაბანდა — ეს შეიძლება მხოლოდ რიგ-  
ითმა ჩინოვზიერა იცნებს. განახვებთ ახლა  
მე თქვენ ციფრებს და გაოცდებით... თქვენ  
გვერთ, რომ მოული თექურვალი ისე გავიდა,  
კახეთის არც ერთ რაიონში დიზელის  
საწვავა არც ერთ ბენზინგასამართ სად-  
გურში არ ყოფილა? ვერც იმას დამა-  
ჯერებს ვანმე, რომ ეს ისე მოხდა —  
რაიონის გამგებელმა ან რომელიმე ხე-

ლლმდლვანელმა არ იცოდა. ამაზე ისევ მა-  
ჭავარიანს მოსთხოვენ ბასუხს... ერთს  
მოჩხსნი, მეორეს მოხსნი — ამით პრობლემა  
არ გადაიჭრება...

სერიიზული პრობლემა საზღვარი,  
რომელიც აბსოლუტურად დაუცველია.  
ახლა, „ტერიტორიული“ პრობლემა აფ-

ღოთ: როგორ უნდა გამჩერო აუგვაზოდას  
მომავალი ნაცოლბპროდუქტი ან სიგარე-  
ტი, მთ უმეტეს, როცა მას შეარაღებუ-  
ლი ფორმირება მოჰყვება?!

— ე. არანაირი კონტრო-  
ლის მექანიზმი არ არსებობს?

— ვერ ატყობთ?.. იყო პერიოდი, როცა  
საქართველოში კარგი საგადასახადო  
გარემო გვქონდა: ძალიან ააფი იყო გან-  
ბატება და აქ ხდებოდა სხვა ქვეჭების —  
აზერბაიჯანისა და რუსეთის საქონლის  
განბატება, ძალიან ააფი იყო ბერზინის  
ბატიც.

სამუშაოდ, ჩევნმა მეტარმებმა კვრილი ისარგვებლეს იმ გაჯასახდით სიგარეზე, რაც შემოვიდეთ. დღეს კავკასიაში მარტო ჩევნ არ კაწომოებთ მსპობინვად თაბაქოს: ინტერესი არ გაჩნდა. ერთს გაუწნდა მშოლოდ, დააწყო ქართული სიგარეტის წარმოება და იქცა დახოცეს ერთმანეთი: ერთია მეტატრონები და მეორეა თვითმარტევა თუ პირიქით, ვერ გავიგე, მაგრამ ღირს აღდათ ბრძოლა. ამაზე მეტი ბიზნესი რა გინდა: თვეში 30 მილიონი კოლოფი მოიხმარება. 30 მილიონზე 2 თეთრიანი მოგბაც რომ იანგარიში, წარმოიდგინეთ, რა ციფრებს მოვიღეთ. მიკვირს – ნუოჯ ისეთი დიდი ფულია კონტრაბანდაში, რომ ლევალურ ბიზნესს, პატიოსან მრომასა და მშვიდ ცხოვრებას ანაცვალო!..

— როცა ლაპარაკია იმაზე  
რომ საქართველოს კონტრო-  
ლირებად საზღვაოზე ტვირთ-  
ხრუნვის სხვა მონაცემებს აფიქ-  
ტორებს მეცაზღვრე და სხვა მო-  
ნაცემებს ფლობს მებაუე, მაშინ  
რასთან გვაძეს საქმე?

— მეცნიერა, როცა ამაზეა ლაპარაკი. კინ გააკეთა ეს? ვისგან წამოვიდა მე-ააზღვრის მიერ ტვირთის შეძოტანაზე კინზტროლის დაწესების ინციდატიგა? ჩვენ გაექონდა ერთ-ერთ მონაკვეთთან დაკავ-თირებით შეხვედრა და მაშინ სასაზღვრო ტაქტიკურის თავმჯდომარებ, კალვი ჩემ-ძებებ გადამიტცა თავისი მონაცემები — რამ-დენი მანქანა დააფიქსირეს სასაზღვრო ხოლოზე. მაშინ დავაკალე ჩემი სამართვე-ლოს უფროსს მოადგილეს, რომელიც სანამდე საბაჟოზე მუშაობდა, რომ გაურკვა- რამდენად ემთხვევა ჩემიძის მონაცემები ააბაჟოს მონაცემებს. მაშინ აკორდა ეს უკონაგერო.

ამით პირველ რიგში მე ვარ დაინტერ-სებული. ბიუკეტი 100%-ით 1997 წელ-შიც არ სრულდებოდა. 1998-99 წლებში მასზე უარესი სიტუაციაც იყო, მაგრამ მიხელა აუთოტაჟი არავის აუტენტავს. იქნებ, რომ პერსონა განაპირობებს ამას? თუ

სხვა არაფერი დარჩა სალაპარაკო ამ ქვეყნაში?!

— მინისტრთა კაბინეტის  
შემოლების შემთხვევაში, თუ მხო-  
ლოდ ეკონომიკურ ბლოკს მო-  
ეთხოვება პასუხი ქვეყანაში შე-  
ქმნილ ეკონომიკურ სიტუაციაზე  
და ამავე დროს, ძალოვნების  
პრეზიდენტის დაქვემდებარება—  
ში დარჩებიან, რა გამოვა? ძალოვნები,  
რომლებიც ასევე  
მონაწილეობენ ეკონომიკის შენე-  
ბანგრევაში და რომელთა სახ-  
ლებებს სრულიდური ბიზნესის ხე-  
ლშეწყობას უკავშირებენ, თავს  
აარიდებენ გუნდურ პასუხისმგე-  
ბლობას?

— მოდა, კაცურად ვოქტა: უნდა დადგე  
ეს ყველას პასუხისმგბელობის საკითხი  
და არა მარტო მაჟავარიანის და ნორაიდ-  
ელის... თუ მარტო ჩემთა პრისტება, მა-  
შინ დღიოტი ვყოფილვარ, თუ ვუკაცობა  
არ მეყო, რომ თანამდებობიდან წავიდე-  
ჩვენს ქვეყნაში ჩრდილოვანი ეკონომიკა  
„წახალისებულია“ ჩრდილოვან ეკონომიკას  
ვკრ აწარმოებ, თუ არა ხარ „შეკრული“  
ამ ქვეყნის „ძლიერებითაც“ — დაწყებული  
ძალოვნებიდან, დამთავრებული საგადასახადოს  
ადოთი. მაგრამ ვინაიდნ საგადასახადოს  
აქც გეგმა და მისმა თანამშრომლებმა  
იციან, რომ ყოველი ოვას ბოლოს თუ  
გეგმას არ შეასრულებენ, საშახურს დაკრ-  
გვავნ, ამიტომ ცოტა მეტ პასუხისმგბელო-  
ბას გრძნობენ... არ გამოვა ასე — ერთი  
ბლოკი, მეორე ბლოკი... „ბლოკიც“ არის,  
„ცემზტტიც“ თითქოს არის და უნდა აშჩნდეს,  
რა, ერთი სისტემა! მოდელი დაიხსენება  
ალბათ... მე მთავრობის წევრი ვარ და  
მინისტრთა კაბინეტის მოდელით დაკავ-  
შირებით, ჩემი პრეტენზიების გამორიქმა არ  
მინდა. რესენის ყოფილი პრემიერმა ერთხ-  
მოკლედ, ისლა დაგვრჩენია, იმედი ვიქინიოთ, რომ იმ ფირმებს, რომლებიც ტესტირებას ატარებენ, ეყოფათ გონიერება და გადაწყვეტილებებს მხოლოდ ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით არ მიიღებენ.

### ამოცანა „შიგოგენური დედისთვის“

უფრო როგორადაა საქმე ბაგშვების ტესტირების სფეროში. ამგვარ ტესტირებას, როგორც წესი, ატარებენ ეწ. სკოლის ფსიქოლოგები, ანუ ყოილი მასწავლებლები, რომლებმაც, საუკითხესო შემთხვევაში, კვლიფიკაციის ასამაღლებელი რვათვიანი კურსი გაიარეს. ჩვეულებრივ, ისინი დიდი ენთუზიაზმით გამოიიჩევიან და თავიანთ „ფსიქოლოგიურ ცოდნას“ შესაშური მონიდომებით ნერგავენ კოლეგებისა და მშობლების წრეებში.

ნებისმიერმა საქციალისტმა იცის, რომ ტესტირების შედეგები ადამიანს უნდა შეატყობინო მისთვის გასაგებ ენაზე და მისაღები ფორმით. სამწუხაროდ, ცნობილია ბევრი ისეთი შემთხვევა, როცა ტესტირების შემდეგ სკოლის ფსიქოლოგები სკოლაში შემსვლელი ბავშვის მშობლებს უცხადებენ: „თქვენი შეიღია – ეპილეპტიოდია“. ამის გამგონე, შეშინებული მშობლები პანიკაში ვარდებიან და იმას ელიან, რომ ბავშვს მაღლე ეპილეფსიური გულყრები დაეწყება. თუმცა სიტყვა „ეპილეპტიოდი“ მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ცოტათი ნელია და დავალებებს დიდი გული-

სეურითა და მონდომებით ასრულებს.

სკოლის ფსიქოლოგთა შორის ძალზე პოპულარულია მეთოდიკა „ოჯახის კინეტიკური სურათი“, რომლის დროსაც ბავშვმა უნდა დახატოს თვალის ყველა წევრი, მისი ჩვეული საქმიანობისას. სასკოლო ტესტირების ამსახველ ლიტერატურაში მოყვანილია ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითი: ფსიქოლოგმა კლასის დამრიგებლებს, ერთ-ერთი მოზარდის ნახატზე დაყრდნობით, ამგვარი „მაღალგვალიურიციური“ დასკვნა გააცნო: ბავშვის მამა – ტიპური ლოთია, დედა კი... აქ ნამდვილ „შიზოგენურ დედასთან“ გვაქვს საქმე... არადა, ნახატზე გამოსახული იყო ლუდის ბოთლით ხელში, დიგანზე მჯდარი მამა და ოჯახისკენ ზურგშექცევით (ის ამ დროს ჭურჭელს რეცხავდა) მდგომი დედა. ამ ნახატზე დაყრდნობით, სკოლის ფსიქოლოგმა გამოიტანა დასკვნა, რომ დედა ყურადღებას არ აქცევს შვილს, რის გამოც ბავშვი აუცილებლად შიზოფრენიკად ჩამოყალიბდება...

ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, რომ თანხმობის გარეშე არავის აქვს უფლება, მის შვილს ტესტირება ჩაუტაროს. თუკი ტესტის გავლის შემდეგ თქვენს შეიღია რამე გაუგებარ და შესაშფოთებელ „განაჩენს“ გამოუტანენ, ეს ნიშნავს, რომ ტესტირება არაპროფესიონალმა ჩატარა და მის დასკვნებზე ყურადღების მიქცევაც არ ღირს.

### პირადული კითხვარები

ადამიანის ხასიათისა და მისი პიროვნული თვისებების შესაფასე

არეულ ოჯახში გაზრდილი ბავშვის ნახაფში ეი, ისინი არასტაბილურობის, შინაგანი შფოთვისა (რაც თურმე საძირკველში „დაგანებული“ ჯვარედინი ხაგებით გამოიხატება) და მამისაგან ძაღლის მეშვეობით თავის დაცვის





ბლად ორი სახეობის ტესტებს – პირადულ კითხვარებსა და პროექციულ მეთოდიკებს იყენებენ.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პირადული კითხვარებია – აიზენკისა (EPI) და კეტელის კითხვარი და მინესოტური მრავალგანზომილებიანი პიროვნული კითხვარი (MMPI). აიზენკის კითხვარის კლასიკური ვარიანტი 101 კითხვისაგან შედგება და განსაზღვრავს, ტემპერამენტის ოთხი ტიპიდან (ქოლერიკი, სანგვინიკი, ფლეგმატიკი და მელანქოლიკი), რომელს მიეკუთვნება ესა თუ ის ადამიანი. კეტელის კითხვარი 187 კითხვისაგან შედგება და ადამიანის 16 სხვადასხვა თვისებას განსაზღვრავს (ჭკუა, პრაქტიკულობა, კეთილშობილება, სიმამაცე, თავდაჯერებულობა და ა.შ.).

MMPI – ყველაზე ძველი და ყველაზე სქელტანიანი პირადული კითხვარია. ის 1940 წელს შეიმუშავეს და მასში 550 კითხვა, რომელიც განკუთვნილია ფსიქიკური აშლილობის დიაგნოსტიკისთვის (დეპრესია, ისტერია, ფსიქოპათია, შიზოფრენია და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკურ დაავადებათა კლასიფიკაცია ბოლო 60 წლის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა და ისტოი დიაგნოზი, როგორიცაა „ისტერია“, საერთოდ აღარ არსებობს. ამ კითხვარს დღესაც ფართოდ იყენებენ კლინიკურ პრაქტიკაში. აი, სამუშაოზე მიღებისას კი ამ ტესტის გამოყენებას აზრი არა აქვს: ჯერ ერთი, ის არანაირ ინფორმაციას არ იძლევა ადამიანის პროფესიულ თვისებებსა და მის ინტერესებზე, მეორე – მისი ინტერპრეტაცია და შემუშავება საგმაოდ რთულია და მესამეც, მისი გამოყენება საექიმო საიდუმლოებას არღვევს. თუკი თქვენ გეშინიათ, სამუშაოზე ფსიქიკურად დაავადებული არ მიიღოთ, უფრო უპრიანი იქნება, მოსთხოვოთ ცნობა

ფსიქიკუროლოგური დისპანსერიდან...

სპეციალისტებისათვის გაუგებარი რჩება, თუ კადრების თანამშრომლებს შორის, რატომ სარგებლობს დიდი პოპულარობით გარდა იუნგის ტიპოლოგიაზე დაფუძნებული, ე.წ. მაირის ბრიგადის (MBTI) კითხვარი. ის 160 კითხვისაგან შედგება და გამოსაკვლევ ადამიანს ოთხი სკალით აფასებს: ექსტრავერტ-ინტრავერტი, სენ-სორიულ-ინტუიტური, აზრიობრივ-ემოციური და რაციონალურ-ირაციონალური. ამ კითხვარის მიხედვით, ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს, ვთქვათ, რაციონალური სენსორულ-აზროვნული ექსტრავერტი ან, პირიქით, ირაციონალური ინტუიტურ-ემოციური ინტრავერტი. ეს ინფორმაცია შეიძლება რაიმეს მთქმელი იყოს მხოლოდ იმ ადამიანისთვის, ვისაც „გადაღეჭილი“ და ზედმიწევნით შესწავლილი აქვს კარლ იუნგის შრომა „ფსიქოლოგიური ტიპები“, რომელიც მოცულობითა და სიმძიმით კარლ მარქსის „კაპიტალის“ არ ჩამოუგარდება. მოკლედ, იქნება თუ არა ადამიანი კარგი მძლოლი, კარგი ბუღალტერი ან კარგი სარეკლამო აგენტი – ამ ტესტის შედეგებით ნამდვილად ვერ გაარკვევთ.

### პროექციული მეთოდიკები

პროექციული მეთოდიკები დაფარული მოთხოვნილებებისა და იმპულსების, ქვეწონბიერი შიშების, პრიორიტეტებისა და ანტიპრიობის გამოსავლენად არის გამიზნული. როგორც წესი, მასში იყენებენ არა კითხვებს, არამედ რაღაც განუსაზღვრელ სტატუსებს: ფრად სურათებს, მელნის ლაქებს, ნახატებს, რომელთა ახსნა სხვადასხვაგარად შეიძლება. პროექციულ მეთოდიკებს საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ ადამიანი, გაურკვეველ სტატუსებთან შეხებისას, ქვეწონბიერად იწყებს მათზე საკუთარი მდგრადირეობის პროექციონებას. მაგალითად, ის, ვისაც ფარული კონფლიქტი აქვს მამასთან, როი გაურკვეველი ფიგურის სურათში „მამისა და შვილის ჩხეუბს“ დაინახავს. ის, ვისაც დეპრესია აქვს,

ყველაზე მიმზიდველ ფერად აირჩევს არა ყვითელს ან წითელს, არამედ შავს, ხოლო ის, ვისაც ღამის კოშმარები ტანჯავს, მელნის ლაქებში არა პეპელას, არამედ მტაცებელ ფრინველს ან ცეცხლის მფრქვეველ დრაკონს დაინახავს.

პროექციული ტესტების პოპულარობის საიდუმლოება მათ იდუმალებასა და „მაგიურობაში“ ძევს. ექსპერტის დასკვნა ჩნდება არსაიდან – ის მხოლოდ თავის ინტუიციურ წარმოდგენებს ან ინტერპრეტაციის წესების თეორიულ კონტექსტს ეყრდნობა.

პროექციული მეთოდიკის ინტერპრეტაცია იმდენად რთულია, რომ მისი გამოყენება სპეციალისტებსაც კი უჭირთ. მაგრამ, სამწუხაოდ, ეს ხელს არ უშლით არაპროფესიონალებს, გამოსაცდელ ადამიანს „კომპეტენტური“ დაგანხოზ დაუსვან – ფარული პომსექსუალიზმი ან დათრგუნვილი აგრესიულობა დასწამონ.

მ ბოლო დროს ჩამოყალიბდა ერთგვარი პროექციული მითოლოგია, რომელსაც ფსიქოლოგის უახლეს აღმოჩნდა ასაღებენ. მშობლებს, ფსიქოლოგიური კონსულტაციების კლიენტებსა და კადრების სამსახურების ხელმძღვანელებს არწმუნებენ, რომ გამოსაკვლევი ადამიანის მიერ დახატული დიდი თვალები მის დაბაბულობაზე მეტყველებს, ხოლო წითელი ფერის არჩევა – სექსუალურ დაუკამდიყვილებლობაზე.

ადამიანის პროფესიულ მონაცემებზე დასკვნების გაკეთება პროექციული მეთოდიკის შედეგებზე დაყრდნობით, უბრალოდ არაკორექტულია. მაგალითად, ე.წ. ლიუშერის ფერების ტესტი, რომელშიც ადამიანი განალების რვა სხვადასხვა ფერის ბარათს, მათი მიმზიდველობის ხარისხის მიხედვით, ადგენს როგორც სიტუაციურ განწყობას, ისე პიროვნულ ხასიათს, მაგრამ ვერაუფერს გეტყვით იმის შესახებ, კარგი ბუღალტერი ან მდივანი თუ იქნება ესა თუ ის ადამიანი, ამდენად, მისი გამოყენება პროფესიულ მონაცემების დროს გამართლებული არ არის. მისი გამოყენება აგრეთვე ადამიანის ემოციური მდგრადირეობის ექსპრეს-დიაგნოსტიკისთვის ახალი წამლის მიღების შემდეგ, ან საპასუხისმგებლო შეჯაბრების წინ სპორტსმენის შესამოწმებლად.

**მოამახადა ნატო ჩხაიძემ**



## რუსეთის და გოტის ფეხები

საბალეტო სამყაროსთან ურთიერთობა 1949 წელს შექმნილი „უოლფორდის“ ფილოსოფიის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ ცნობილი კომპანია WOLFORD-ი ცნობილია არა მარტო უმაღლესი კლასის საცვლებით, საცურაო კოსტიუმებითა და სამოსით, რომელიც მეორე კანივით არის სხეულზე გაფაჭიმული, არამედ ის მოცის იმ კომპანიასაც წარმოადგენს, რომელიც ბალეტის სამყაროსთან განსაკუთრებული ურთიერთებავით გამოიჩინება. ვარსკვლავი მოცეკვავეები ევროპასა და ამერიკაში ფირმის ყველა ბუტიკში საგანგებო ფამოკიდები უცინველესი კლიენტები არიან, სეზონზე ერთხელ ვისაც „უოლფორდი“ თავის მორიგ სიახლეებს აფასებინებს.

მანც, აუცილებლად სტუმრობენ მის საფირმო ბუტიკებს. მათ საშუალება ეძლევათ შეარჩიონ ტანსაცმელი, საცვლები და კოლგოტები გამოსვლებისა და რებეტიცებისათვის. ამ დროს, თანა შეზღუდული არ არის – ვარსკვლავები თავად წყვეტენ, რა და რამდენი სჭირდებათ. ბალერინებში ყველაზე დიდი პოპულარობით ბოდი (ამბობენ, ისინი პაჩების ქვეშ სატარებლად არის განსაკუთრებით მოსახურებელი) და სამსაფეხურიანი ნაქსოვი კოლგოტები სარგებლობს, რომელიც მაქსიმალურად აიოლებს ფეხის მოძრაობას. მოცეკვავეებს განსაკუთრებით იზიდავს ის, რომ კოლგოტების კოლექცია კანის სხვადასხვა ფერის გათვალისწინებით არის შექმნილი და ნებისმიერ სამოსთან, ნებისმიერ ფეხზე საუცხოოდ გამოიყურება.

„უოლფორდის“ პროდუქციას



თვით მოდის სამყაროშიც დიდად აფასებენ. სწორედ ამ კომპანიაში უკვეთს აქსესუარებს სეზონური დეფილეები სათვის ვეროპელ დიზაინერთა უმრავლესობა.

„უოლფორდი“ თუ „ტორსები“ არაერთგზის უჩვენებიათ პუბლიკისათვის ვივიგნ კესტულდს, ტიერი მოუგლერს, ჯონ გალინოს, კრისტიან ლაკრუას, პელმუტ ლანგს, დოლჩ და კაბანას, ჟან-პოლ გოტიეს. ამ ზაფხულს „უოლფორდი“ წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ანა სიუის, იუნ აშიდასა და გირიეროს პრეტ-ა-პორტებზე, რომლებიც სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან სტილითა და კონცეფციით. მაგალითად, ანა სიუის იტაცებს ეთნიკური და ურბანისტული სტილის მიქსი – ის ფართოდ იყენებს მოელგარე ქსოვილებს, 1960-იანი წლების მოდურ მოტივებსა და შავ ფერს. იუნ აშიდა ცდილობს, პროვოკაციული იყოს: მის კოლექციაში ერთმანეთში არეულია ეწ. ორეში და გლამური. ატლასის ელეგანტური შარვალი, „ველური ჯუნგლების“ ფერის გამ-



ჭვირვალე ბოდისთან ერთად, ექსტრავაგანტურად გამოიყურება. გირიერო კი პანკისა და 1960-იანი წლების ოპ-არტს აჯერებს ერთმანეთს: მიღები მისი კოლექციის ჩვენებისას, ყველა მანეკენი ჩამჯდარი იყო მსხვილი, ფერადოვანი ზოლებით დაშვებულ კოლგოტებსა და მაღალყელიან წინდებში.

თუმცა უმაღლესი კლასის ამ აქსესუარის ყველაზე საინტერესო კონცეფციას ამ ზაფხულს უან-პოლ გოტიე წარმოადგენს.

როგორც ჩანს, ნოვაციების მოტრფიალე დიზაინერმა ამჯერად პარიზის თემის გაშლა გადაწყვიტა, რომელიც ჯერ კიდევ შარ-შან გამოიტანა მაღალი მოდის დემონსტრაციაზე. მაშინ გოტიე პირველად წარმოაჩინა პარიზული ბრწყინვალება არა ჩვეულ ბურჟუაზიულ რაკურსში, არამედ მონმარტრის იაფი კაფეებისა და რესტორნების კლიენტების გემოვნებით. მთავარ მოტივად სკან-

დალურად ცნობილი კუტიურიე თავის საყვარელ ღირსშესანიშნაობას – ეფე ელის კოშკს იყენებდა. და თუმცა პრე-სამ საქმაოდ თავშეკავებულად მიიღო მისი კოლექცია, პუბლიკა გოტიეს „პარიზმა“ აღაფრთოვანა. შესაძლოა, სწორედ ამან უბიძგა ოსტატს, „ეფე ელის კოშკი“ მასობრივ წარმოებაში ჩაეშვა.

ერთი თვის წინ უან-პოლ გოტიემ და კომპანია „უოლფორდმა“ მომავალი ზაფხულის მოდის თავიანთი აზალი თვალთახედვა გამოამზეურეს. ამ

პროექტს უკვე საკმაოდ კარგ შეფასებას აძლევენ და

ვარაუდობენ, რომ მან შეიძლება ახალი ჯილდო მოუტანოს „უოლფორდს“, კომპანიას კი სადღეისოდ უკვე 100-მდე პრემია აქს მიღებული, მათ შორის საუკეთესო – ვებ-საიტისა და საუკეთესო სარეკლამო ნამუშევრისთვის, რომელიც დიზაინისა და ხელოვნების სფეროს 1998 წლის კოლექციისთვის შექმნა სახელგანთქმულმა ფოტოსტატმა ჰელმუტ ნიუტონმა.

მოღურ ბოდის, შარგალსა და

კოლგოტებს „უოლფორდის“ ახალ

სადიზაინო მოდელებს ასევე ამშვენებს ეიფელის კოშკი. საინტერესოა, რომ კოლგოტებზე კოშკი უკანა მსარეს არის აღბეჭდილი: ძირმელი პარიზელი გოტიე დაწმუნებულია, რომ ქალის ფეხები მამაკაცის ყურადღების ცენტრში მაშინაც უნდა იყოს, „როცა ქალი მას ზურგს აქცევს და მიატოვებს კიდეც...“

ამბობენ, რომ ახალი საფირმო ხაზის შემუშავებაში გოტიეს მონაწილეობამ „უოლფორდის“ დიზაინერი უვე ლერუ გაანაწყინა (სხვათა შორის, დის გვარს თავს აფარებს ცნობილი დიზაინერი და მოდის საკუთარი სახლის დამარსებელი ერვე ლეუ, რომელიც ორი წლის წინ ამ სახლის ახალმა მეპატრონებმა დაითხოვეს). სწორედ ლერუს მიაწერნ ექსპერტები კომპანიის მიერ ბოლო წლებში მიღწეულ წარმატებებს: საყოველთაო შეფასებით, საცვლების პრესტიულული მარკის კოლექციებისთვის მის მიერ შექმნილი ნახატები, მოტივები, ფაქტურა თუ ფერები უმაღლესი დონისაა.

ჯერ კიდევ „უოლფორდში“ მისვლამდე, ლერუს კარგად იცნობდა და ეთაყვანებოდა უამრავი ვარსკვლავი და მას საცვლების სტილისა და ქსოვილების ნაკუწებისგან შეკოწიწებული კორსეტ-კაბების ნამდვილ ოსტატად თვლიდა. დღეს, როცა საცვლებმა პრაქტიკულად განდევნა გარდერობიდან ჩვეულებრივი სამოსი, ლერუს ხელოვნება პელავ ძალიან საჭირო გახდა – თანაც, სწორედ იმ კომპანიისთვის, რომლის ვიწრო სპეციალიზაციას იმთავოთვე საცვლების გამოშვება წარმოადგენდა. თუმცა, „უოლფორდის“ კონტაქტები სხვა მოღელიერებთან შეიძლება სიტუაციის შეცვლის საფუძველი გახდეს: გამორიცხული არ არის, რომ ლერუმ მოდაში საკუთარი სახელით დაბრუნება მონიდომოს და ამ შემთხვევაში, მისი ადგილი კომპანიაში ვაკანტური გახდეს. თუმცა, საეჭვოა, გოტიემ მონიდომოს ამ ადგილის დაკავება.



# ჩრდილობის ემიცენტრი „შარლუანდი“

კომპანიის დიზაინერთა ყურადღების ცენტრში ამჯერად სხვა-დასხვა ქვეყნისა და ცივილიზაციის კულტურები მოექცა. მისი კოლექციის „რომანტიკული დღეების“ სახელწოდების ნაწილი მრავალფეროვანი ყვავილანი ნახატებით, ჰიპების სტილიზებული სამოსით, თინეიჯერთა გარდერობიდან „ამოდებული“ ფერებითა და ნახატებით, ფერადოვანი სურათებითა და BODY-ART-ის ელემენტებით გამოიჩინევა. მათთვის, ვისაც კლასიკურ სტილზე უარის თქმა არ სურს, შემუშავებულია თავშეკავებული ლოგოტიპები და სიმბოლოები, ოპტიკური ეფექტები და სილუეტები, რომელიც როგორც საღამოს, ასევე დღის სამოსადაც გამოდგება. გამორჩეული ინდივიდუალობის მქონე ქალბატონებს სთავაზობენ დიზაინერ პიერი ფორნაზეტის ნახატებით შექმნილ ტოპებს, კაბებსა და ბოლის, რომელიც ე.წ. JUNGLE სტილშია შესრულებული და ქალის გამოსახულება ამშვენებს. 2001 წლის მთავარი ტექნოლოგიური სიახლეა ახალი თაობის

კოლგოტები LOGIC, რომელ-საც რეზინიანი წელი არა აქვს. ის ქალებს მაქსიმალურ კომფორტს ჰქირდება, რადგან შეიძლება კლასიკურ ქვედაბოლოზეც ჩაიცვან, შარვალზეც და ისეთ ტანსაც-მელზეც, რომელსაც თეძოზე ატარებენ. ეს კოლგოტები აბსოლუტურად გამჭვირვალეა (წვერიც კი არ აქვს დამუქებული), ამიტომ საუცხოოდ გამოიყურება როგორც დახურულ, ისე რა ფეხსაცმელსა თუ საბოში. მოდურ პალიტრაში 18 ფერი შედის – ნებისმიერი ფერის კანისა თუ ტანსაცმლისთვის. „უოლურლის“ არტ-დირექტორის, ანდრეას ეშაუერ-მარტინელის აზრით, LOGIC-ი წლევნ-დელი სეზონის მოდის შეუცვლელ აქსესუარად მოგვევლინება – უპირველესად იმიტომ, რომ საუცხოოდ ერწყმის ახალი კოლექციის საცვალსაც, ტოპსაც, კაბებსაც და შარვლებსაც“.



## კორი კარან მამა

ლატექსისგან დამზადებული თეთრული ერთ დროს ეგზოტიკა იყო, ახლა კი მოდის მწვერალზე ავიდა. ლატექსის ბუმი უკვე 15 წელია გრძელდება. ბუნებრივი რეზინის ეს ნაირსახეობა მოელ მსოფლიოში „მეორე კანის“ სახელით არის ცნობილი. ლატექსის ფას-პოლ გოტიე თავის კოლექციებში, მაღანა კი – კლიპ პებში იყენებს.



## ჯაუი სიზირაპის ფეხი

DONNA KARAN-ის NEW YORK-ის გაზაფხულის კოლექცია მის მფლობელებს სიმშვიდეს, კომფორტს, სიგრძლესა და მოძრაობის თავისუფლებს სთავაზობს. შავი ხიზილალისა და შაბანურის ფერები მა-მაკაცებისთვის შესანიშნავი საგაზაფხულო გამას წარმოადგენს. აღსანიშნავი, რომ ეს საუცხოო ტანსაცმელი, ტყავის, ნატისა და აბრეშუმისგანა შეკერილი, მაგრამ მაღალიან პეგავს ხელით ნაქსოვს.



## ევროპი-კინოს მოყვაწელი უკანასკნელი ქადაგობი

ჯენევის ლომესის ფარსკვლავად ჩამოყალიბებას მისმა მებრძოლმა სულმა შეუწყო ხელი. მან, პრაქტიკულად, მუშტებით მოიპოვა როლი ფილმში „სელენა“ და ამის შედეგად სახელი გაითქვა. მაგრამ, როგორც იტყვიან,

ადამიანის ნაკლოვანებები მის ღირსებათა გაგრძელება. ამპარტავნობა ჯენიფერს კინალამ კარიერის ფასად დაუვდა, რადგან ერთხელ ისეთ ადამიანებს „შევეჯახა“, ვისთან ურთიერთობის გამწვავებაც ეს ნამდვილად არ ღირდა...

ეს ინტერვიუ ნამდვილად არ უნდა მიეცა: ჯენიფერი ამას მაშინვე მიხვდა, როგორც კი ახალთახალი, სასტამბო საღებავშეუმშრალი უურნალი MOVIELINE გადაშალა. მაშინ, ფილმ „სელენას“ გამოსვლის შემდეგ, უურნალისტები გასაქანს არ აძლევდნენ, მანაც ეტყობა, რეალობის შეგრძნება ღონავ დაკარგა და კრცელი ინტერვიუც „გამოცხვა“, რომელიც ვიღაც-ვიღაცებს ნამდვილად არ მოეწონებოდათ.

განწყობა უმაღლეს გაუზუჭდა და თითქოს ჯიბრზე, ტელეფონის ზარმაც არ დაახანა. მისი მენეჯერი, პოლი რეკავდა: „ჯენიფერ, შენ რა, მართლა უთხარი უურნალისტებს ეს ყველაფერი? ღმერთო ჩემი! რატომ? წარმოგიდენა, რა შეიძლება ამას მოჰყვეს?“

„შენი საქმე არ არის! – გააწყვეტინა ლოპესმა, – ფულს იმისთვის კი არ გიხდი, რომ ნოტაციები მიეკითხო...“ თუმცა მას ესმოდა, რომ ამჯერად პოლი მართალი იყო... მაგრამ ჯენიფერი ვინმესთან თავის მართლებას არ აპირებდა.

გულმოსულმა, უურნალი მოისროლა. რაში სჭირდებოდა სტატიის წაკითხვა? მას კრგად ახსოვდა, რაც იღაპარაკა: „გამერონ დიასი? ეგ

რა მსახიობია?! უბრალოდ, კარგი შესახედაობის ფოტომოდელია. გვინეტ პელტროუ? ეგ ის არ არის, ბრედ პიტთან რომ იწვა?.. რატომ-დაც, მისი მონაწილეობით ვერც ერთ ფილმს ვერ ვიხსენებ. ბრედ პიტის გარდა, მას ნამდვილად არაფერი აქვს სატრაბაზო... უაინონა რაიდერი? ერთი ადამიანი მაინც თუ გინახავთ, ეგ რომ მოსწონდეს? თუმცა, ვიღაც-ვიღაცები მანიაკური სიჯიუტით ცდილობენ „ოსკარზე“ მის წარდგენას. ალბათ რომელიმე მისი საყვარელი არ ეშვება ამ საქმეს – მას ხომ უამრავი საყვარელი ჰყავს... მაღონა? სერიოზულად მას მსახიობს ვერც უწოდებ, აი, სიძღვრა კი შეუძლია. თუმცა, მოგეხსენებათ, სახელი სიძღვრით სულაც არ მოჰსვეჭავს და არც თავით – აქ სხეულის სხვა ნაწილმა შეასრულა გადამწყვეტი როლი... საკუთარ თავზე რას ვფიქრობ? როლების თამაში ნამდვილად შემიძლია. ისეთი საშუალებები რომ მქონდეს, რაც ამ ქალბატონებს აქვთ... რას ვგულისხმო და, რა თქმა უნდა, მათი საყვარებების მხარდაჭერას! მე კი, სხვათა შორის, „სამსახურებრივი რომანი“ არასოდეს



პაფ დედისთან ერთად

მქონია! ამის შანსი არაერთგზის მომცემია! ყველა ჩემი პარტნიორი მიტრიალებდა! ვუდი პარელსონმა კინადამ გამაუპატიურა! შონ პენი კი იფიციენდა – როგორც კი ჩემი საფვარელი გახდები, ცოლს მაშინვე გავეყრებით...“

პოლმა ზუსტად თხუთმეტ წუთში ისვ დაურეკა: „ჯენიფერ, მე შენი ბოდიში არ მჭირდება, მაგრამ იმ ხალხს კი უნდა სთხოვო პატიება, ვისაც ამ ინტერვიუში შეურაცხყოფა მიაეყნე. მათვის შედგენილ წერილებს ცოტა ხანში მოგაწვდი, არსად წახვიდე, ტელეფონის ზარებს არ უპასუხო...“

ორ საათში ჯენიფერმა ელექტრონული ფოსტით პოლის გზავნილი მიიღო. გვინეტ პელტროუსთვის განკუთვნილი წერილი ასე იწყებოდა: „ძვირფასო გვინეტ! სამწუხაროდ, მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ შენდამი დიდი არაგორექტულობა გამოვიჩინე. არ ვიცი, რა ვიღონო იმისათვის, რომ მომიტევო. ალბათ გაგიჭირდება ჩემი გაეგა – უეპარმა წარმატებამ თავპრე დამახვია და რაღაც მომენტში არ ჩავუფიქრდი იმას, თუ რას ვლაპარაკობდი...“ სხვა წერილები ჯენიფერს არც წაჟაოთხავს. ნუთუ პოლს მართლა სკეროლა, რომ ის ხელს მოაწერდა ასეთ წერილებს?.. ჯენიფერი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ იყო, ბოლიში მოეხადა ამ ადამიანებისთვის, თვითონაც მიხვდა, რომ ზღვარს გადააბიჯა, მაგრამ ასეთი ფორმით?!“

ბოლოს და ბოლოს, ჯენიფერმა ასეთი წერილი შეადგინა: „გთხოვთ, მაპატიოთ! სინამდვილეში, მე მხოლოდ ვიზუმრე, თანახმა ვარ ვალიარო, რომ სისულელე ჩავიდინე. ჯენიფერ ლოცებისი“. ეს ტექსტი ავადსახსენებელ ინტერვიუში ნახსენები ყველა შასხიობის აგეტს ელექტრონული ფოსტით ვაუგზვნა და ამოისუნთქა. თურმე, რა მნელი ყოფილა ბოდიშის მოხდა! თავისი ცხოვრების მანილზე ამას პირველად აკეთებდა...“

დღამისი, გვადელუპე ლოცები ნიუიორკის მდაბიური უბნის – ბრონქსის პირველი ჩეუბისთავი იყო. არც ერთ მეზობელს, მასავით პუერტორიკელს, გასაქანს არ აძლევდა. „შეილო, თავზე არავინ უნდა დასხვა, ყველას „ადგილზე დასმა“ უნდა შეგძლოს, – ასწავლიდა დედა ჯენიფერს, – თუ ადამიანებს არ დაანახვე, რომ ძლიერი ხარ, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ““. თუმცა, ჯენიფერს ამის სწავლება არ სჭირდებოდა. სკოლა-

ში, როგორც ჩეუბისთავი, ბიჭებს სკოლიდა, ყველა კამათის მუშტების საშუალებით წყვეტდა და ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა.

მისი და, ლესლი, მისგან განსხვავებით, სუსტი, ჩუმი და მორიდებული გოგონა, არარევულებრივად მღეროდა და იმდენად თვალში საცემი ვოკალური მონაცემები პქონდა, რომ ოჯახმა მისი მუსიკალური განათლებისთვის უულის გაღებაც გადაწყვიტა. გვადელუპეს ეზმანებოდა, რომ ლესლი სახელს მოიხვეპდა, გამოჩენილი მომღერალი გახდებოდა... ჯენიფერთან დაკავშირებით კი მას სულ სხვა გეგმა პქონდა: გათხოვებას უპირებდა, რაღაც მეტისმეტად თავნება და თავზესხელაღებული იზრდებოდა. სულ რაღაც თორმეტი წლის იყო და უკვე მხოლოდ ბიჭებზე ფიქრობდა. მაგრამ გვადელუპე ცდებოდა: ბიჭები ჯენიფერს, რა თქმა უნდა, ძალიან აინტერესებდა, მაგრამ კველაზე მეტად, ჯენიფერს სხვა რამ აწუხებდა – მას საშინლად შურდა ლესლისი, რაღაც თვითონაც უნდოდა მუსიკის სწავლა, მომღერლის კარიერაზე ოცნებოდა და დარწმუნებული იყო, რომ სახელის მოხვეჭის გაცილებით მეტი შანსი პქონდა, ვიდრე მის მორცხვ დას.

ერთ დღეს, შემზარავი ყვირილით შეშინებული მეზობელი ლოცებითა ბინაში შეცვილებინ და ნახეს, როგორ დასდევდა ჯენიფერი ლესლის, დანით ხელში... იმ დღეს გვადელუპე ჯენიფერს დაპპირდა, რომ მასაც ატარებდა ვოკალზე, საბასუხოდ კი პირობა დაადებინა, რომ ის თექვს-მეტ წლამდე მაინც შეინარჩუნებდა ქალწულობას.

ჯენიფერმა დაპირება შეასრულა, სამაგიეროდ თავისი მეოქვემეტე დაბადების დღე, სკოლელი მეგობრის, დევიდ კრუზის ავტოფარებში „არიზნა“. მეორე დღეს ნივთები შეკრა და ამ ფარებში გადავიდა საცხოვრებლად. ცოტა ხანში ახალგაზრდებმა იაფფასიანი, პატარა ბინა იქირავეს და ოჯახური ცხოვრება დაიწყებს. „რაღაგან ერთად ცხოვრობთ, ცოლადაც გაპყვევი – სირცესვილია, მეზობელი რას იტყვიან?“ – ბუზღუნებდა დედა. „ეგღა მაკლია! იქნებ შვილებიც გავაჩინო?“ მე სახელის მოხვეჭას ვაპირებ, ამისთვის კი თავისუფლებაა საჭირო...“

პირველ მოსმენაზე, როცა ერთერთი ტელეშოუსთვის მომღერალს არჩევდნენ, დები ერთად წავიდნენ და ორივე „ჩაფლავდა“. ლესლი შინ



დედასთან ერთად

ატირებული დაბრუნდა, ჯენიფერი კი – უსაზღვროდ გულმოსული: „მოვა დრო და ინახებუ, რომ არ მიმიღეს!..“

რამდენიმეთვიანი ამაო ცდების შემდეგ, ლესლიმ სცენაზე ფიქრს თავი დაანება და მუსიკალურ სკოლაში ვოკალის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ჯენიფერმა მხრები აიჩინა: „სცენა სუსტი ადამიანების ადგილი არ არის, მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლებდა ბრძოლაა საჭირო!“ თავადაც ჯერ ღარიბულად ცხოვრობდა, იშვიათად იღებდნენ იაფფასიან კლიპებში, როგორც მოცეკვავეს და ნიუ-იორკში ჩატარებულ ყველა მოსმენაში მონაწილეობდა. შემდეგ დევიდმა გადაწყვიტა, კინოპროდიუსერობა ეცადა და ჯენიფერი ლოს-ანჯელესში გადასვლაზე დაიყოლია. იქ კი ახალგაზრდა ლოცებს ბედმა გაუდიმა: ისვ მოცეკვავედ, ნამდვილ ტელეშოუში მოხვდა!

ამის შემდეგ ფილმშიც – „ჩემი პატარა გოგონა“ გადაიღეს. ჯენიფერმა ბოლს არცთუ ისე ცუდად გაართვა თავი და კრიტიკოსებმა იმედის მოცემი მსახიობიც უწოდეს. კიდევ ერთი წლის შემდეგ კი, მან უკვე ძალით მოიპოვა როლი ფილმში „სელენა“: სულ კუდში დასდევდა რეჟისორი გრეგორი ნავას, მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ უთხრეს – ფილმში სელმა პაიექს იღებენო... ერთხელ ნავამ სტუდიიდან ჯენიფერის გაძევებაც კი ბრძანა, მაგრამ კაცი, რომელსაც ეს მისია დააკისრეს, ლოცებაში სახეში ძლიერი დარტყმით „დააჯილდოვა“... ბოლოს



თავის დროზე პროდიუსერებმა ჯენიფერს იმიჯი შეაცვლევინეს, მაგრამ მას საკუთარი თავი ძველ ფოტოს ურათებზე უფრო მოსწონს

და ბოლოს, ჰაიკი უარყვეს. ღოპენის სამსახიობო მუშაობით ნავა კმაყოფილი დარჩა, თუმცა გადაღებებისას არაერთხელ იწვნია ჯენიფერის აუტანელი ხასიათი.

„სელენას“ შემდეგ ღოპენის არც კინოში მიწვევა, არც მუსიკალური პროდიუსერების ფურადღება არ დაჰკლებია. ჰოლივუდის ელიტამაც ახალი ვარსკვლავი საკმაოდ მოწყალედ მიიღო — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მაღალი საზოგადოებისთვის შეუფერებელ ქმარს გაეყარა. ოღონდეს ბავშვობის დროინდელი სიყვარული — დევილი კი არა, არამედ მომხიბლავი მულატი ოჯანი ნოა იყო. ის ოფიციანტად მუშაობდა რესტორანში, ხანდახნ ფოტომოდელობითაც შოულობდა ფულს და მსახიობის კარიერაზეც ოცნებობდა. ოჯანის ჯენიფერი 1997 წელს გაპყვა ცოლად, მაგრამ ეს ქორწინება მისთვის მხოლოდ ეკრანებზე „სელენას“ გამოსვლამდე აღმოჩნდა მისაღები: ის სულ მაღლა მიიწვედა და არავის — საყვარელ მამაკაცსაც არ მისცემდა თავისი კარიერის შეფერხების უფლებას... ახლა კი, ეს სულელური ინტერვიუ „გამოხტა“...

როცა ჯენიფერი დონატელა ვერსაჩეს ბანკეტზე მივიდა, სუფრასთან მჯდარი მაღონა წამოდგა და გამოცხადა: „გამამი დამთავრებულია!“ სტუმართა დიდი ნაწილი მაღონას მიჰყვა. განრისხბულ ღოპენის თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ ვერც რისხით და ვერც ცრემლებით საქმეს ვერ უშველიდა...

თავისი შეცდომის ნაყოფს ჯენიფერი კიდევ დიდხანს იმკიდა. მისმა ბოლიშის წერილებმა, რომელსაც ერთი და იგვევ ტექსტი ჰქონდა, კიდევ უფრო გაანაწყენა პელტროუც, რაიდან ძალი და სწორი საცილების შესაფერისად მოიქცეს და კიდევ — ცეცხლივით ეშინია სკანდალებისო თუმცა სკანდალები მაინც თან სდევს მას.


ში, ბევრსაც მღეროდა, იღებდა კლიპებს, იწერდა ალბომებს. ჯენიფერი მკვეთრად შეიცვალა. ამბობენ, ახლა მასთან მუშაობა გაცილებით აღვილი გახდა — ის ნაკლებად თავდაჯერებული და უფრო დამყოლია, წონის ყოველ სიტყვას, ცდილობს, ვარსკვლავისთვის შესაფერისად მოიქცეს და კიდევ — ცეცხლივით ეშინია სკანდალებისო თუმცა სკანდალები მაინც თან სდევს მას.

მისი ახალი შეყვარებული, რეპერი პაფ დედი გახდა. მზიარეული და ვაჟებაცური ბუნების ადამიანი, ლოთი, სკანდალისტი, ნარკომანი... თუმცა, წელიწადნახევარი ჯენიფერმა პაფთან, შედარებით ნორმალურად გაატარა. შემდეგ კი, პაფის წყალობით, ისიც გისისებს მიღმა აღმოჩნდა: მთვრალმა რეპერმა მანპეტენის ერთ-ერთ კლუბში სროლა ატება და რამდენიმე ადამიანი დაჭრა. პოლიცია მათ მანქანას ნიუ-იორკის ქუჩებში დიდხანს მისდევდა და, ბოლოს და ბოლოს, ორივე დააპატიმრა.

პოლიციის განყოფილებაში გატარებულ თოთხმეტ საათს უკავალოდ არ ჩაუვლია: იმის შემდეგ ჯენიფერმა პაფ დედისთან ურთიერთობა გაწყვიტა და თავს შეჰვიცა, რომ ამიერიდან უფრო დაკვირვებულად აირჩევდა მამაკაცს. რამდენიმე თვე ის საერთოდ არავის შეხვედრია, თუმცა ამის დროც არ ჰქონდა: მაშინ ფილმ „გაღიაში“ დაიწყო გადაღება.

როცა ფილმი დასრულდა და ჯენიფერი სარეკლამო ტურით ვეროპაში გაემგზავრა, ისევ ხათაბაღაში გაება: უურნალისტებმა ლონდონის სასტუმროს თანამშრომლებს გამოსტყუეს, რომ ღოპენის ნომერში რამდენიმე ღამე მისმა პირადმა მცველმა გაატარა. ჯენიფერი ამ რომანის გახმაურებას არ აპირებდა და როცა ინფორმაცია პრესაში გაჩნდა, ღოპენის პირველი სურვილი იყო, სასტუმროს ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომლის ცხვირპირი დაელექტა, მაგრამ... ამჯერად მოითმინა და გული იმით დამშვიდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მას იმის უფლება აქვს, იმასთან გააბას რომანი, ვისთანაც მოისურვებს. აი, სკანდალისტი ქალის რეპუტაცია კი ნამდვილად არ სჭირდება: ღოპენისმა, ბოლოს და ბოლოს, შეიგონ, რომ შოუბიზნესი ბრონქსის ლათინოამერიკული კვარტალის სკოლა არ არის.

მომზადა  
მანქანა ღოლობერისამ





ედს ერთხელაც ცდის და გამოვა, გამოვა, არადა, მაგის დედაც ვატირე, ხო არ გადა-ჰყება, — ქაჩლიშვილმა მანქანის სარკეში თავისი თავი შეათვა-ლიერა და ბლუჯა-ბლუჯად დაყრილი თმა გადაისწორა. გვარი აქვს ეგეთი, თორემ, თმა — იც-ოცხლე, გარეული ტახი ვერ გაარ-ღვევს... არა, მაინც რა ეშმაკად გადაე-ყარა. რაიონის საზ-კების დირექტორს ქალის შოვნა გაუჭირდება? მაგრამ ამ დედაქაცმა მაინც სხვა-ნაირად გადარია. მთელი შე-მოღომაა მირბის და მორ-ბის, დაანგრია ისედაც დაფუქვილი ვილისი.

ჩაუვლის წყვეტილი სიგნალით უშნოდ აწოწილ კორპუსს, ქალი თუ არ გამოიხედავს, მაშინ სა-სურსათო მაღაზიას მიაღება ხოლმე უკანა მხრიდან, გადაალა-ჯებს მუყაოს ყუთებზე, ფეხს წა-მოსდებს ცარიელ ღვინის ბოთ-ლებს, გადასწევს დამოკლებულ, ფერგადასულ ფარდას და აცეცებს თვალებს.

ზოია მფრინავის ცოლია.

შეიძლება ჩვენთვის ამას გად-ამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ ზოიას თუ ვკითხ-ავთ, ქმრები რაც დიდხანს იქნებიან ცაში, მით უკეთესი...

შევა მაღაზიაში ქაჩლიშვილი, გამხდარ დამლაგებელ დედაქაცს ისე მოიკითხავს, თითქოს ამის სან-ახავად გამოიარა ამხელა გზა.

საანგარიშოს განზე გასწევს ზოია, დახლზე გადმოყუდებული თვალებს დაუშუუნებს, დაშლის მუხლებში და მორჩა... ჰო, ხან-დახან სადმე წაყვანას სთხოვს. ეგ არის და ეგა...

ერთადერთხელ აკოცა, ისიც უშნოდ, უგერგილოდ და მაშინაც გადაუხტა მანქანიდან, თუ ეგეთე-ბი დაიწყე, ხმას აღარ გაგცემო.

ქალის მეტი რა უნახავს, მა-



### ვანო ჩხილევაძე

# საყვარელი

გრამ ეს მაინც სხვაა, მათრობელა, თეთრი ბურუსი, რომ ჩაგყლაპავს და ჩაგეყლაპვინება.

„ეს ერთხელაც და მორჩა“ — ქშინავს ქაჩლიშვილი და გვერ-დით მჯდომ ბიძაშვილს აფრთხ-ილებს, ხელი მოკიდე, ფეხებთან ჩადგმული ათლიტრიანი არ გაგი-ტყდესო.

ერთი ბიძაშვილი კიდევ უკან უზის. რა ვიცით, კაცნი ვართ, სხვის ჯეჯილში გადასულ ბუღას მეტი სიფრთხილე მართებს.

თანაც, ამათ რომ დაინახავს, უფრო გამომყებაო, დიდ ჩანთაში ხარჯი ჩააწყო და წამოვიდა.

მისცა თუ არა სიგნალი, ზოიად დაბარებულივით გამოიხედა და ანიშნა, ახლავე ჩამოვალო.

მანქანა თვალს მოაფარა.

ქალი სადარბაზოდან რომ გამოვიდა, ბოლევრა ბიძაშვილი თავის ძმას მოუსვა და ათლიტრიანიც გადააწოდა, მანდ ჩაიდგითო.

მალე ქაჩლიშვილის გვერდით, ზოიას ბარაქიანმა სხეულმა აავ-სო ჩავარდნილი სავარძელი.

— თქვენ ყურები დახუჭეთ! — ბრძანება გასცა ქაჩლიშვილმა.

მმებმა ჩაიცინეს და ყურებზე ხელისგულები აიფარეს.

შენი არწივი სად არისო — ჰკითხა ქმარზე ზოიას.

ცაშია. საარწივო საქმეზეო — შავი სათვალე მოირგო ქალმა. ძალიან კარგი... საით წავ-იღეთო.

სადაც შენ გაგეხ-არდება, ოღონდ ღროუ-ლად გამაცილე აქაუ-რობას, ნაცნობს არ გა-დავეყაროთო.

მანქანა ადგილზევე დაატრიალა და მგლის მუხლი გამოაბა.

სად წაიყვანოს? — დაფიქრდა საქმის ამგ-ვარად შემობრუნებით გახარებული.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ჩამოვიდა ლეკისწყალზე.

გარეთა ბიძა ჰყავს, ყარამანა. რაც თავი ახსოვს, ცხვარში აგ-დია, იმას მიაღვნენ

ბინაზე.

ორი ვეება ნაგაზი ამოებლოტა მანქანას. შემკრთალმა ქალმა ქა-ჩლიშვილისკენ გაიწია. ამანაც მო-პხვია მკლავი, ნუ გეშინიაო...

ყარამანამ თითო კეტი უთავა-ზა და ძალლები უკმაყოფილო ღრენით საღომის კედელთან დაე-ყარნენ.

ჯერ ქაჩლიშვილი გადმოვიდა, ყარამანას „ჩაეზღრასტა“, სტუმ-რებს თუ მიგვიღებო, მერე ზოიას გაულო კარი, ჩამობრძანდით.

აცურებულმა კაბამ კაპრონშე-მოტმასნილი ჯიშიანი ბარძაყი გა-მოაჩინა და ყარამანას ყანყრატო შეუთამაშდა.

— ე ხოხობი სად გიპოვიათ?

— ღიმილით პირგანეულმა დაათვა-ლიერა სტუმარი.

— ხოხობი შენი საქმე არ არის, ცოტა ხარჯი წამოვიღე, ბიჭები მოიხმარე, საჩქაროდ სუფრა გაშალე — გვერდით გაიყვანა და ჩუმად გააფრთხილა — იმნაირი არ გეგონოს, ჩემი მფრინავი ამხ-ანავის ცოლია, ექსკურსიაზე წა-მომყვა, ბატკანი როგორ იბადება არ მინახავსო...

მარტო დაბადება აინტერესებს თუ შექმნაცაო, — ჩაეღიმა ყარა-მანას.

ამხელა კაცი რას მიედ-მოედე-

## იურიანულ-მავალებითი ქოლაკი ერჩა ლალის უბის ნიგნაკოდა:

1. პლანეტა მარსის კოლონიზაცია 300 წლის შემდეგ არის დაგემილი.
2. გორილა ოთხ წელიწადში ერთხელ შეძლიარობს.
3. ბერძნულად ანექლოტი გამოუცემელ მოთხოვის ნაშავას.
4. ამქვეყნად ყველზე სწრაფად მაღლი ძეველდება.

5. ნადევდა კრუპსკაია ლენინის მავზოლეუმის მოწყობის სასტიკი წინააღმდეგი იყო. „მაგროლუში ლენინის ქადაგის წარმოშობას გამოიწვევს, რაც ასე ძალიან ეზიზებოლა ლენინს“, — ამბობდა იყო.

6. მოუხედვად იმისა, რომ თავად ჰიტლერს შეცლები არ ჰყავდა, მესამე რაზის დროს გერმანიაში დიდი ოჯახის ქნა და ბევრი შეიძლის ყოლა ძალზე მოძამი იყო. P.S. მარტინ ბორმანს რვა შევლი ჰყავდა.

7. ღონ ჟუნინ კომინდირი დაულში მოკლა.

8. „ზომერგება ნამდვილი მუქრთა. ვინც მას მიანინო, იგი ამქვეყნადც ცხონებულია“, — ამბობდა მიხელ ჯავახიშვილი.

9. ისტორიული ნარკევი „პაპის ძალაუფლებაზე“ („პაპიზმის ამაღლება და მისი დაცემა“) ნიკოლოზ ბარათაშვილმა 18 წლის ასაკში დაწერა.

10. კოჩალ ჯარისკაც შევეკთან ერთად საგიუვიშმი მყოფი ერთი პაციენტი მუდამ დამაშტადტებელი პერანგით ჰყავდათ გაკოჭილი, რათა მსოფლიოს დასასრულის გამოანგარიშების საშუალება არ მოსცემოდა.

11. „მომეცით საყრდენი წერტილი და მე გადავისრუნებ დღიძემწას“, — ამბობდა არქიმედე.

12. ნიკიტა ხრუშჩევმა ლავრენტი ბერია ბროს ტიტოს აგნტად გამოაცხადა. P.S. გავიდა დრო და „დამოჩნდა“, რომ ტიტო საბჭოთა კავშირის „ყველაზე დიდი მე-გობარი“ ყოფილა. ხრუშჩევმა იგი მოსკოვში ჩამოიყვნა, მაგზალუშმი შეფყვნა და სტალინზე მიაუგროთხებინა.

13. გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ ფანტასტიკურად უღერს რეპის სტილში. P.S. ეს ღვევის ნებისმიერ სტილში კარგად ეღვრის.

14. ჰარმონია აფროდიტეს შვილი იყო.

15. ჯონ ლინჩი ჩრდილოეთ კარილონას შტატში ცხოვრობდა. P.S. ლინჩის წესით გასამართლებისას ნიბბებავარებული ბრძოლაში შეაცირდა ამოავლებდა, ბუმბულში მოგანგლავდა და ქალაქის ქუჩებმა სარჩე წამოცმულს დაატარებდა.

16. ანტრეპრენიორმა აქციაში საპრტაკი



## ცოვალა

ბი, ბუზი რო აუფრინდეს, ბუზი, ამის ქმარი მთელ ლეკისწყალს დაბომბავს, მე შენ გეტყვი, ჰყუა დაუშლის... ცოტას გავატარ-გამოვატარებ და ერთ ნახევარ საათში მზად დაგვხვდითო.

გასაგებიაო, — შუბლთან ზელი მიიტანა ყარამანამ, გადმოყარა ასაკთან შეუფერებლად საღი კბილები და კინკრისოზე დაკოსებული ქუდი შუბლზე ჩამოიცურა.

მაქანას ძაღლები ყეფით გამოედევნენ...

შორს არ წასულან, ბექს მოეფარენენ თუ არა, მანქანა შეაჩერა.

რატომ წამოვედით, რას იფირებენო — „შეწუხდა“ ქალი და ხელჩანთა გვერდზე გადადო.

ქაჩლიშვილმა რაღაც ჩაიბურტყუნა, ქალის სავარძელს ზელი მოუფათურა, საზურგე უკან გადავარდა და ორივე თან გადაიყოლა.

ზოია მაინც იბრძოდა. უსხლტებოდა. ზურგში ასობდა წამახულურჩილებს... ბორგავდა, ქანაობდა, კვინსოდა ძეველი, ტენტიანი ვილისი. მერე ქალი ერთბაშად დარბილდა, დამყოლი, თვინიერი გახდა. გაავებულ კაცს მოფერებით მოხვია მკლავები, რომ უცებკარი გაიღო და მაშინვე მოჯახუნდა.

გაცივდა ქაჩლიშვილი, ძლივს მოღრიჯა კისერი.

ფერდობზე ცხვარი ჩამოდიოდა, მანქანიდან ორიოდ ნაბიჯზე, კომბალს დაყრდნობილი ხნიერი მწყემსი იღება.

— ეგებ პაპიროსი ჰქონდეს-მეტები, რომ შემოვიზედე და ეგეთი რამე ვნახე — ბოლიშობდა მწყემსი.

„ოკ, შენი დედა...“ ქაჩლიშვილმა პირდაპირ მიუშვა მანქანა.

გულგახეთქილი კაცი განზე გახტა.

თოქოს საფეთქლებთან რაღაც გაუწყდა, ერთბაშად გამოიწურა, გამოიფიტა.

მანქანა შეაჩერა.

ზოიამ ტკაცუნით შეისწორა მხარზე ჩამოცურებული ზორტები და ხელჩანთიდან სარკე ამოიღო...

ქაჩლიშვილმა თვალი მოარიდა

და საჭეს ჯავრიანად დაპკრა მუშტი...

ყარამანა და ბიჭები უკვე კარგ ხასიათზე დახვდნენ.

— სადა ხარ, ჯო... ეგ არის ნახევარი საათიო? რაღა არ ვიფიქრეთ, — ბიძამ ვითომ ძალიან შეწუხებულმა გადააქნია თავი — სადმე რომ დაკარგო, მაგის ქმარს რა პასუხს აძლევ, ჩვენ კიდევ დაბომბვა გვინდა, ისედაც გეგმას ვერ ვასრულებთ...

— დაიკარგება და ახლის შოვნა გაუჭირდება თუ რა.

— თუ ეგრეა, უთხარი დაიკარგა-თქო და დაგვიტოვე, ოთახს მაინც გამოგვივის... აგე, გესმის თვითმფრინავის ბლუილი.

— რა ენად გაიკრიფე, აქ სალაპარაკო კურსებზე ხო არა ხარ გამოგზავნილი. გვითხარი რამე!

— შეუღრინა უხასიათოდ.

— მაშ, ჩვენ რაცა ვთქვით, ჯერ იმაში დაგვეწიეთ.

დაეწივნენ. ზოიამაც დალია და მანქანის ფარებივით აუბდღვრიალდა ლოცები.

რა ყოფილა ეს ყარამანა, აქამდე არ სცნობებია.

გადაიგრიხა ულვაში, დალოცა ზოია, ქალი რო არ იყოს, როგორც მინდორი უყვავილოდ, ეგეთი იქნებოდა ჩვენი ცხოვრებაო...

აღლდა ზოია, ასეთი სადღეგრძელო არავის უთქვამსო, სუნამოიანი ცხვირსახოცით ამოიშრალა თვალები, გადაპკოცნა და დაყოლა. მიყვარს თქვენნაირი მოხუცებულებიო.

ვინ არის მოხუციო, იტკიცა ყარამანამ.

თანდათან მოვიდა ხასიათზე, ისევ გაუმრთელდა საფეთქელთან გაწყვეტილი ძარღვი, ისევ აიგსო დაუთეობელი წყურებილი.

„ოკ, მე იმისი... რა დროს პაპიროსი იყო... თან იქვე რო გაჩერდა... რა ეგონა, მაღლობას ვეტყოდი?..“

ყარამანა — ახლავე მოვალო.

დაინახა, როგორ აიღო დერეფანში დუმელზე შემოდგმული წყლიანი ვედრო, ნახლიქარებით აჩიჩნილი ეზო გადაიარა და ფარებში შევიდა.

თქვენც გადითო, თვალით ანი-

შნა ბიჭებს.

თითო ვახტანგურს დავლევთ, ზოიასთან და წავალთო, — გათამამდნენ შემთვრალი ბიძაშვილები.

ჯანდაბას თქვენი თავიო.

დალიეს და ზოიამ საცეკვაოდ გაშალა მკლავები.

რაღას იზამდა, მისწი-მოსწია თეფშები და მაგიდაზე თითები აათამაშა.

საღდა წავიდოდნენ, თუ ცეკვაა, ცეკვა იყოსო, ჩაეთამაშენ, ჩაიყენეს შუაში დაბროწილებული ქალი და გაქვთ და გამოაქვთ.

— რა ამბავში ხართ! — იყითხა ოთახში შემოსულმა ყარამანამ, — მთელი კახეთი ერთ რუსის დედაკაცს რო დასევისართ, გაიგებს ამის მფრინავი ქმარი და რაც შაპ-აბასმა დაგვაკლო... მაშ ბატქნის მოგება გინდოდა გენახა? წამო, ჩემთან, გოგო! — ჩაპერიდა ხელი და ზოიაც მორჩილად გაჰყავა.

— სად მიგყავს, კაცო! — წამოეწია ქაჩლიშვილი.

ყარამანამ ძაღლებს დაუძახა. ეს არ გამოუშვათო. ისინიც ყევით მოცვიდნენ და დერეფნიდან ოთახში ძლივს შემოასწრო.

დატოვა ყარამანამ სამივე პირში ჩალაგამოვლებული, გადაატარა ზოია ეზოზე, შეუძლვა ბატქნების საღვომში. ცოტა ხანში თავი გამოყო, მიიხედ-მოიხედა და მოხურა კარი.

— ეს რა გიყო, კაცო! — სიცილით ჩაბჟირდნენ ბიძაშვილები.

— თქვენს საქმეს მიხედეთ! — დაუტია თრივეს ქაჩლიშვილმა და მაგიდას უფრო გამეტებით დაუშინა თითები.

ისევ დატრიალდნენ ბიჭები, გადაიდინეს ხვითქი, გაბუღეს ცერებით იატაკი.

„ამდენ ხანს რას აკეთებენ, ველარ მოიგო?“ — ცუდად შემოპაკნესა გულმა და კარი ფრთხილად გამოაღო, მაგრამ ისევ აიფორნენ ძაღლებით.

„დაგიდნენ ეს ოხრები...“

კედელს მიყუდებულმა პაპიროსს მოუკიდა და საღვომიდან ორივე განაზებული ნეფე-პატარძალივით გამობრძანდა კიდეც.

ზოიას ყარამანას დაზეპილ-გაქელილი, ცხვრის სუნად აქოთებული ქურთუები ჰქონდა მოსხმული და ფეხსაცმელს ჭანჭყობს არიდებდა.

„ვაი შენს კაკოსა“, — ამოიგმინა ქაჩლიშვილმა.

ქალი არ შეაშინონო, ყარამანამ ძაღლები დააფრთხო და დერეფანში შემოვიდნენ.

— ძაან კმაყოფილია, — თვალი ჩაუკრა ქაჩლიშვილს, — ესეთი საყარელი ბატქნები ჯერ არ მინახავსო... რაც ამან კოცნა და ეფერა...

— პოო, არა! — დაუკრაჭუნა კბილები.

— რა გაბრაზებს, ი, ლიონჩიკი შენი ამხანაგია, ჩემი კი არა... ღოლობას ნუღარ დაეღოდები, კიდევ ჩამოიყვა და თოხლი ჩემზე იყოს, გაიგე?

— მე ვიცი, ვისაც ჩამოგიყვან, დამაცა! — დაემუქრა ყარამანას.

ბიძაშვილები უკან დალაგდნენ. ამაღლვებელი გამოთხოვების შემდეგ ზოიამ ქურთუები პატრონს დაუბრუნა. ისევ აავსო ქაჩლიშვილის გვერდით სავარძელი და ჩანთიდან ამოლაგებული მთელი პარფიუმერია მუხლებზე დაიწყო.

— ზამეჩატელი ჩელავეკ, — თქვა სარკეს ჩაჩერებულმა და მიხედა — კა... კაპ... კაპ ეგო ზავუტ?..

კაპ ზავუტო, კაცო, სულ გადირია ქაჩლიშვილი. ჯერ სახელი დაემასხოვებინა და მერე მაინც გაგორებოდა: თანაც ვის, ამ ცხვრის სუნად აქოთებულს...

„გული მაინც არ აერია?“ — მალულად შეათვალიერა ქალი, მაგრამ ამის მსგავსი ვერაფერი შეატყო, პირიქით აღიღინებული ზოია ფრიად კმაყოფილი სახით ჩასჩირებოდა სარკეს.

„ფუი“, — ამოიქშინა ქაჩლიშვილმა და აქამდე გაჩუმებული ბიჭები სმაბაღლა ახარხარდნენ.

თქვენ რაღა გაცინებთო, მიუბრუნდა და ორივეს ჩააფარა.

ეგეთ ხასიათზე იყო, ამის ქმარს მართლა რომ დაებობმა იქაურობა, წვეთი ცრემლი არ გაღმოუგარდებოდა.

იცორეასციულ-გვევენებითი ქოლა

ერჩი ღარისე

უბის ნიგნაკოგან:

ძალზედ ძვირად, 12 ათას სესტერცად, იყოდა. P.S. კარგად გაწვრთნილი გლადიატორი იმ დროში 2000 სესტერცა ღირდა.

17. ქრონულ მსატერიულ ფოლიში „ლონდრე“, გაბრიელის როლის შემსულებელ მახობების ოთარ მეღვნეობულების ახმივნებს.

18. ცხრა წლის პანიბაღი საკუთარმა მამამ ტაბარში მიიყვნა, საღმრთო ცეცხლზე ხელი გაჩერებინა და დაფიცა, რომ მთელი თავისი ცხოვრება რომაელთა დაუბიძებლი მტერი იქნებოდა.

19. უდიდეს მანძილს კრივში, საიდანაც დარტყმა შეიძლება, ალონე ეწოდება.

20. ბაღდადის ხალიფა შაჰირავი თავისი ცოლის, შეპერაზადას მოყოლილ ზღაპრებს 1001 ღამე უსმენდა. P.S. ზე-

მოთ ხსენებული ხალიფა ჩვენი ტელევიზიის მაყურებლებთან თავისი ამტანობით მანცველ მოვა.

21. მათუსალამ 969 წელი იცოცხლა.

22. რუსთის ქალაქ კრივიაროგში ჩატარდა სილამაზის კონკურსი სახელწოდებით — „მის კრივაროეუე“.

23. მარკეს ანტონიუსმა კარგად მომზადებული საღილისათვის თავის მზარეულს მთელი ქალაქი უბობა.

24. მწვევლი დეის ჩვილი ბაშვი ხშირად მის გამზირის, რომ დეისის სხეულში ყოფინის მიღებული ნიკოტინის ყოველდროური დოზა აკლია.

25. იოანე წოდებულ რომის პაპებს ბედი არ სწყალობდა: იოანე I მეფე თეოდორიკიმა რავნის ციხეში ჩასვა და პატიმარფოვილმა პაპმა იქვე დაღია სული; იოანე VIII (ერთადერთი ქალი-პაპი) საკლესიო პროცესის მსვლელობისას, ქუაში შმიბიარობას გადასცვა (ასე გამჭრავნდა მისი ქლოობა); იოანე III (მამაკაცი) მოწამლეს და როდესაც შხამა არ იმოქმედა, ჩატურით მოუსწრავეს სიცოცხლე; იოანე XI მშამ დამზრო, დილებში ჩაგდო და იქვე პოვა აღსასრული; იოანე XII თავისი ერთ-ერთი საყვარლის ქმარისა და იმამართის და ცემთ ამოპხად სული; იოანე XIV ბონიფაციუს მეშვიდემ მოავლენია საპრინცილებში; იოანე XVI ციხეში ჩაგდო ოტონ მესამეს; იოანე XX ჩამოქვეული ჭერის ნანგრევებში ჩამარსა.

P.S. ყველა სიბერიაც ჩამოთვლილ პაპებს დაკლიათ, ბედის იოანე XXIII-სთვის გამოიზოგა. ეს პაპი ახალგაზრდობაში ხმელთაშუა ზღვაში მეტარეობდა და სახლდა.

■

26. იოანე წოდებული რომის პაპებს ბედი არ სწყალობდა: იოანე I მეფე თეოდორიკიმა რავნის ციხეში ჩასვა და პატიმარფოვილმა პაპმა იქვე დაღია სული; იოანე VIII (ერთადერთი ქალი-პაპი) საკლესიო პროცესის მსვლელობისას, ქუაში შმიბიარობას გადასცვა (ასე გამჭრავნდა მისი ქლოობა); იოანე III (მამაკაცი) მოწამლეს და როდესაც შხამა არ იმოქმედა, ჩატურით მოუსწრავეს სიცოცხლე; იოანე XI მშამ დამზრო, დილებში ჩაგდო და იქვე პოვა აღსასრული; იოანე XII თავისი ერთ-ერთი საყვარლის ქმარისა და იმამართის და ცემთ ამოპხად სული; იოანე XIV ბონიფაციუს მეშვიდემ მოავლენია საპრინცილებში; იოანე XVI ციხეში ჩაგდო ოტონ მესამეს; იოანე XX ჩამოქვეული ჭერის ნანგრევებში ჩამარსა.

P.S. ყველა სიბერიაც ჩამოთვლილ პაპებს დაკლიათ, ბედის იოანე XXIII-სთვის გამოიზოგა. ეს პაპი ახალგაზრდობაში ხმელთაშუა ზღვაში მეტარეობდა და სახლდა.

■



JEEP WILLYS



CADILLAC VIZON



DODGE POWERBOX

## Sport Utility Vehicle ქონსუტურია

აქტიური დასვენებისთვის განკუ-  
თნილი ავტომობილები (SUV –  
SPORT UTILITY VEHICLE ძალზე  
პოპულარულია დასავლეთში. ამ  
კატეგორიას ნებისმიერი ტიპის  
მანქანებს მიაწერენ ხოლმე – მინი-  
კვენიდან პიკაპმდე, მაგრამ საკუთრივ  
SUV-ავტომობილი მაინც ჯიბია,  
რომლის „ფველგანმავლური“ ფუნ-  
ქციები, ასე ვთქვათ, „გასართობ“ ხა-  
სიათს ატარებს.

თანამედროვე „ფველგანმავლები“  
ტექნიკური თვალსაზრისით, უკვე  
იმდენად სრულყოფილი რამ არის,  
რომ ამ სფეროში პროგრესი არა  
იმდენად „რკინას“ შეიძლება შეეხ-  
ოს, არამედ უფრო, კომფორტისა და  
დიზაინის სრულყოფის ხარისხს თუ  
დაეჭყობა. სწორედ ამ სფეროშია,  
რომ იტყვიან, რეზერვები, რომელ-  
საც დაუსრულებლად პოულობენ  
საავტომობილო სიახლეებით გატა-  
ცებული ამერიკელები.

დიდი სიურპრიზი წარმოადგინა  
„კადილაკმა“: „ჯენერალ მოტორსის“  
მებაირახტრეს მოსვენებას არ  
აძლევს „ლინკოლნ ნავიგატორის“  
წარმატებები. თუმცა უკვე არსე-  
ბობდა CADILLAC ESCALADE, მა-  
გრამ ეს მაინც CHEVROLET TAHOE-  
ის გაკეთილშობილებული ვარიან-  
ტი იყო, რაც სრულებით არ აკმაყ-  
ოფილებს ექსკლუზივების თაყვან-  
ისმცემლებს. სელ სხვაა კონცეპტ-  
კარი CADDI VIZON, რომელსაც უახ-  
ლესი როდსტერის – EVOQ-ის მაგ-  
ვარი დიზაინი აქვს. აგრესიის  
მფრქვეველი ეს ჰერბერტი „დაძეგილ-  
ია“ ელექტრონიკით, ურომლისოდაც  
ამ ავტომობილში არაფრი იმართება  
– აგრეგატებზე სიმბლავრის განაწ-  
ილებით დაწყებული, უკანა ხედის  
ვიზეოკამერებით დამთავრებული.  
მანქანის ვებგვერთელა ტემპერამეტრის  
კი, 4,2 ლიტრიანი V8 უზრუნვე-  
ლყოფს, რომელიც 400 ც. მაღას  
განავითარებს.

კიდევ ერთ სიახლეს წარმოად-  
გენს GMC TERRAOROSS, რომელიც  
პირველივით „მხეცურად“ გამ-  
ოიყურება, მაგრამ მისგან განსხვავე-  
ბით, კონვეირზე არ აიყვანენ: ეს  
ე.წ. შოუ-კარია, რომელიც მხოლოდ  
პუბლიკის ფურადღების მოსაზიდად



HUMMER



CHEVROLET BORREGO

შეიქმნა. თუმცა, მასზე, პერსპექტიულ გადაწყვეტათა აპრობირებას აპირებენ – მაგალითად, გასაწევ კარებს ან სამსექციიან გამჭვირვალე სახურავს, რომლის შუა ნაწილის გაწევისას, ავტომობილი ამერიკელების სათაყვანებელ პიკაპად გადაიქცევა.

ზოგჯერ ეს სიკვარული უკიდურესად გადამეტებულ ფორმებში ვლინდება. ამის მეაფიო მაგალითს წარმოადგენს CHEVROLET BORREGO, რომელიც რალი-რეილების ეროვნულ პირველობებში მონაწილე ბოლოდების თარგზეა გამოჭრილი. სურეალისტური გარეგნობის მიუხედავად, თქვენ თვალწინაა სერიული წარმოებისთვის გამზადებული პროტოტიპი, რომლის ბაზას 250 ცხ. ძალიანა SUBARU LAGECY წარმოადგენს. ეჭვი არავის ეპარება, რომ მას ბევრი მყიდველი გამოუჩნდება, ისევე, როგორც პატარა HUMMER-ს, რომელიც გარეგნულადაც და ტექნიკური მონაცემებითაც იმეორებს საჯარისო დანიშნულების „სენიას“. კომპანია წლიურად 40 ათასი ასეთი მანქანის რეალიზებას გეგმავს.

და მაინც, ბოლოდოროინდელ ავტოსაბლებს შორის ყველაზე დიდი გაოცება „კრაისლერმა“ გამოიწვია, რომელიც ბოლო 5 წელია, არატრადიციული კონცეფციებით აკვირვებს საავტომობილო სამყაროს. ამჯერად

ფირმის დიზაინერები საჯარისო თემატიკამ და მეორე შსოფლით ომის დროინდელმა ლეგენდარულმა მოდელმა გაიტაცა.

JEEP WILLYS-ი იმდროინდელი საჯარისო ავტომობილის მოდერნიზებული ვარიანტია: ისეთივე შვიდსექციიანი წინასარადიატორე გირისი ამშვენებს, ისეთივე სანათები, ფრთები და მინები აქვს... ის ძალიან უბრალოდ გამოიყურება – გარედანაც და შიგნიდანაც: ისეთი სალონი აქვს, რომ წყლის ჭავლიც შეგიძლიათ პირდაპირ მიუშვათ. ავტომობილში ყველაფერი, მისი წინას მაქსიმალურ შემცირებას ემორჩილება: მას ალუმინის მზიდი ფორმა და ექსპერიმენტული 4 ცილინდრიანი 1,6 ლიტრიანი ძრავა აქვს, რომელიც 160 ცხ. ძალას ავითარებს. ის სულ რაღაც 1315 კგ-ს იწონის და რომ არა ალუმინი, ორჯერ უფრო მძიმე იქნებოდა.

DODGE POWERBOX-ი გაფორმებით, 1946 წლის მსუბუქი საჯარისო სატვირთოს გამოირებაა. ვარაუდობენ, რომ მისი მსგავსი მანქანა მაღლ სერიულ წარმოებაში ჩაეშვება. თუმცა საეჭვოა, სერიულ ვარიანტში იმავე სიმძლავრის იყოს. კონცეპტის აგრეგატს კი, 2,7 ლიტრიანი, 250 ცხ. ძალიანი V6 წარმოადგენს, რომელიც აირზე მუშაობს. სიჩქარის აკრეფისა და

უგზობის პირობებში ავტომატურად, 52 კვტ სიმძლავრის ელექტრომძრავა ჩაირთვება. რა შედეგს უჩვენებს ის ამ შემთხვევაში, ჯერ უცნობია. ჩვეულებრივ გზატკეცილზე კი 1,8 ტონა სიმძიმის მანქანა 7 წამში აღწევს „ასეულს“ და 192 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს.

SUV-კონცეფციის ავტომობილებს განკუთვნება იაპონური HONDA MODEL X-იც, რომელიც უკვე მზადდება კონვეირისთვის. მისი საგარაუდო ფასია 25.000 დოლარი, წლიური „ტირაჟი“ – 100 ათასი. ეს ტიპური ახალგაზრდული მანქანაა, რომელიც კემპუსების (საუნივერსიტეტო ქალაქები) ბინადართავის, პლატფორმისა და სამთო-სათხილამურო კურორტების მოყვარულთავის შეიქმნა. ამჟამად უირმა ბევრი ტექნიკური პარამეტრის დასახვეწი ექსპერიმენტებით არის დაკავებული.

როგორც ჩანს, აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი ავტომობილების ტიპს დიდი მომავალი აქვს. ასეთი მანქანების სახეობათა რიცხვი დღითი დღე იზრდება და საავტომობილო სიახლეების მოყვარულ (და მათი შეძენის შემდეგ) ჩვენს თანამემამულებსაც მაღლ გაუჩნდებათ ამ მოდელებით თავიანთი უკვე მოძველებული „მერსედებისა“ თუ „ბე-ემ-ე“-ების შეცვლის შესაძლებლობა. ■

GMC TERRAOROSS



HONDA MODEL X



## ლელა ჯიყამვილი

ის ხელოვნებაში „შიშველი ხელებით“  
მოვიდა. ერთი ობიექტი ბიჭი იყო, თუატრზე  
უსაზღვროდ შეეყვარებული... თვითონ  
არაფერი გამნენდა, არც იჯახს შეეძლო  
მისი ძალისაღწეური უზრუნველყოფა.  
თბილისის ქუჩებს ახსოვს, როგორ და-  
დიოდა დავწერიობული, გაცვეთილი შარვ-  
ლით, გაშედარი, მძღლად ბიჭი... სკოლაც  
კი არ ჰქონდა ჯერ დამთავრებული, მა-  
გრამ ასაკს იმატებდა, ტანიც ხელს უწყ-  
ობდა ამაში... კველაფერს კი მხოლოდ  
იმზურებოდა, რომ თუატრში ყოფილ-  
იყო, სანუკვარ ხელოვნებას ზიარებდა.

დაიხ, მას არავერი ჰქონია, ნიჭის გარდა და ამ ნიჭმა მსოფლიო აღიარებაც კი მოუტანა. ის იყო მრავალი სანტერესო სახის შექმნელი, მაგრამ საზოგადოების ცნობიერებაში მაინც „ვარისკაცის მამა“ უკავშიროდილი — სერგო ზაქარიაძე.

მამამისი დაქოს დეპოს მუშა იყო და  
რკინიგზელთა დრამწრეში აქტიურად მოღ-  
ვაწეობდა. პატარა სერგოც თეატრში  
იძრდებოდა — ჯერ ბაქოში, მერე ზე-  
სტაფიში, სადაც მისი ოჯახი 1917 წლის  
თებერვლის რევოლუციის შემდეგ გადავი-  
და საცხოვრებლად. მალე სერგო მამით  
დაიბლოდა. დედამისმა ძალიან განიცადა,  
რომ ხელმოკლეობის გამო, მის შვილს  
სპექტაკლებზე დასწრება აღარ შეძლო,  
ის კი უფერებოდ იტანკებოდა. ბოლოს  
გასო არაბიძეს, ზესტაფიშის თეატრის ხე-  
ლმძღვანელს მიმართა თხოვნით: ჩემი მუკლ-  
ლის ხსოვნის პატივსაცემად, მზრუნველო-  
ბა გაუწივ მის დაობლებულ შვილსი.  
სერგო ზაქარიაძე ამის შემდეგ უპრიობლემ-  
ოდ შედიოდა სპექტაკლებზე, თავისუფალ  
დროს კი სულ კულისებში ატარებდა.

ერთხელ, სკოლაში მიმავალმა, გზად  
განცხადებას მოჰკერა თვალი: „თბილისის  
დრამატული სტუდია რეკისორ ა. ფადა-  
ვას ხელმძღვანელობით აცხადებს მიღე-  
ბას...“ დედა, რა თქმა უნდა, სახლიდან არ  
გაუშვებდა, მას ხომ ჯერ სკოლაც არ  
პქონდა დამთავრებული. ამან გადაწყვეტ-  
ინა, გაპარულიყო. წასკლისას მხოლოდ  
ძმას გაწნდო და დაუბარა: არაფერი მჭირდ-  
ება, მაგრამ თუ დედამი მოიხდიობს, ლო-  
ბიო და მჭადის უქველი გამომიგზავნოს,  
თორებ ვათთუ შიმშილით მოვკვდო... ძმები  
მეგობარს აცილებდნენ, რომელიც პოლიტე-  
ქნიკურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად მიღ-  
იოდა თბილისში. სკრებობ ფეხი აითრია,  
დაბრული მატარებლიდან ჩამოსკლა „ვე-  
ლარ მოასწრო“ და ვარიოში დარჩა.

1922 წელი იდგა. სანკუპოვი თბილის-ქალაქში ჩამოვიდა. დამეტეს ერთ ზე-სტაციონელ ამხანაგთან ათვედა, რომელიც თვითონაც შეფარტბული იყო ნაძალადევ-ში. ბიძის ლავაში, ააშორების დღი რომ

**გას აჩაფური  
ჭრონია, ნიჭის გაჩერა**



„ჯარისკაცის მამა“

დადგა, შიშით გული შეეკუმშა: დაინახა  
ლამაზად გამოწყობილი, კარგად მომზადე-  
ბული ახალგაზრდები და, მე ამათოან რას  
გაუხდებით, იუიქა... გამომცდელოა მაგი-  
დასოან აკაკი ხორავა, სანდრო კანდელაკა,  
თამარ წულუკიძე ისხდნენ. მათ შემხედ-  
ვარეს ხომ კინაღამ გული წაუვიდა. დიდი  
მსახიობი იხსენებდა: ფაღავამ რომ გამო-  
მიძახა, პალსტუხზე ვიტაცე ხელი, მოვ-  
იგლიჯე, ყელზე დედის თავსაუარი შემო-  
ვიზევი და ამ საქმით გართული გავე-  
მართე გამომცდელებისკნო. უხერხულო-  
ბა ვერ დაძლია, თურმე დედისუელი თავსა-  
უარი ისე მაგრად მოიჭირა ყელზე უნგბ-  
ურად, რომ სახე დაემნჭა. ამ მდგომარე-  
ობას ისიც დაემატა, რომ გამომცდელის  
ნათევამი „მოიწი“ – „გაწი“ – დ მოესმა  
და მოულოდნელად გვერდზე გახტა. ყვე-  
ლას გაეცინა. რამდენი წლის ხარო? –  
პკითხეს, – ჩვიდმეტისო, ძლივს უპასუხა.  
უფრო იმიტომ დაინა, რომ ტყეული სჭირდ-  
ებოდა, ასაკი უნდა მოიმატებინა.

— რას ჩქარობ? ორი-სამი წლის მერე  
მოდი.

— ძალიან მინდა...

და დაწყო სპეციალისტი — „გადა-  
ჭრილი მუხა“ გიძნაზისტის ლექსის კითხვა,  
ეს ორლი ზესტაფონი ჰქონდა ნათამაშე-  
ბი. კითხვა რომ დამოუკრა, გამასწევეს —  
რა გედარდება, ნახევარზე მეტს მაინც  
აკონტები. მეორე დღეს, წარმატებაში დარ-  
წმუნებულმა მიაკითხა სტუდიას ჩარიცხ-  
ულთა სიის სანახავად. თავისი გვარი ვერ  
იპოვა. ადმინისტრაციონს ჰქონდა:

— მე რატომ არ ვწერივარ, ბატონი?

— კი ჩააბარე, შეგაქეს კიდეც, თვითონ გავიგონე, მაგრამ წლოვანებამ შეგიშალა ხელი.

მიზანდასახულმა ყმაწვილმა დახმარება ითხოვა – დღიდ ანთაძე მოუგზავნა ფალავას და თავისუფალ მსქნელად ჩარ-

օլքեց և երջանամ. Այգ-  
լուրը ցախորդամի ցեղա-  
ռոճճա, ցարձոյլի ցմինա,  
პարճաճան ալաբանչ. Ը-  
լամին ըստ համուշյլա ճա-  
շվուլու շնաხացք, ցաղց-  
նեցյլս նաւեսացնածաւուս  
մոյմարտացք, ցորքա պատու-  
սի ծինա ըստ հմուտ մզուլ-  
ուստաւուս.

აი, ასე, გაჟირვებით დაიწყო ის გზა,  
რომელმაც გამოჩენილი მსახიობის სახე-  
ლი მოუტანა.

ახლა ერთი ღიმილიანი ამბავი, რომელ-  
მაც ბატონ სერგოს მაშინ სტუდიიდან  
ამოაკვეთინა ფეხი. თბილისში საგას-  
ტროლოდ ჩამოვიდა მის სკოვის მცირე  
თვატრი. რუსული თუმცა არ ცოლა,  
თავდადებულად ესწრებოდა ჭველა  
სპექტაკლს სერგო ზაქარიაძე. ვიდრე პლას-  
ტიკებს გაგვთილი დაწყებოდა, სტუდი-  
ელები გარს შემოტევითენ მასწავლებელს  
და მცირე თვატრის ჩამოტანილი სპექტა-  
კლების – „ოტელოს“ და „ჭიქა წყლის“  
გამო უსვამდნენ კითხვებს. როცა სერგო  
მათ მიუვახლოვდა, მასწავლებელმა მის-  
თვის „საბედისწერო“ სიტყვები თქვა: „ჭიქა  
წყლიზე“ უფრო დღიდა სამორჩნება რა უნდა  
იყოსთ? ეს რომ ზრდილობინამ ყაწვილ-  
მა გააგინა, თვიქრა, წყალი სტუდია, გაქცა  
და უმაღლ მოურბენინა მასწავლებელს  
წყლით საცხა ტოლჩა. მასწავლებელი გაცხ-  
არებულ კამათში იყო, წყლის მოწოდება  
შეურაცხოფად ჩათვალა, ბიჭს „მეტიჩ-  
არა“, უწოდა და... ადმინისტრაციას სტუ-  
დიიდან გაარიცხინა. თვითონ ბატონი სერ-  
გო ამბობდა: შეძღვოშიც არაერთხელ  
გავურიცხივარ სასწავლებლიდან, მაგრამ  
ეცვლაშე მწარე დამძმცირებული მინც  
ის შემთხვევა იყო. რეჟისორი ქორელი  
კი, ვინც მის გარიცხვას ხელი მოაწერა,  
იმით „დასაჯა“, რომ მისი ქალიშვილი  
შეირთო (კოლად.

ମାନଙ୍କରେ କା, ତେବେତୁଗାନ୍ଧିଶୀ ମୋର୍ଖିରା ଦାଢ଼-  
ରୁକ୍ଷବା, କ୍ଷେତ୍ରିଲିର ଡାସାମତାଗ୍ରହେଲାଏ. ଉପରେ  
„ସିମ୍ବିତିଜୀବ ଅର୍ଥେତୁଭାବିତ“ ତବୀଲିଲିଶିମି ହିମର-  
ସୁଲୋ, ତବୀଲିଲିସିଲେ ଜୁନ୍କେରିଲେ ତୁମ୍ଭେତୁଳେ  
ଯୌଝିଲିଲିଗୀଲେ ଯାକୁଲିଲେତୁଳେ ହାରିଲିପୁବୁ.  
ତାଙ୍କ ତାଙ୍କୁ ଜୁନ୍କୁଗାର ତୁମ୍ଭରିମିଟି ଡାଫିଲାଦା,  
ମାସବରିକୁ କ୍ଷେତ୍ରିଶି ମନ୍ଦାନ୍ତିଲେଗନ୍ତଦା. ମୁଦ୍ରାମ  
କ୍ଷେତ୍ରିକୁଣ୍ଡରୀଶି ମୁକ୍ତବ୍ୟଗର୍ବଳେ, କୃତକ୍ଷେତ୍ରାବ ବୀ-  
ବୀର କାରି ଗାମରିଲୁଭିଲିଲେ ଲାକ୍ଷବା, ଦାରଗି -



„დღე უკანასკნელი, დღე პირველი“

მოიწონა გადაღებული მასა-  
ლა და მოთხოვა კიდევ ერთხ-  
ელ გაღალება... და აა, ივნებ  
ეძახს შეიღლას: „ჩიკოა, აბაა,  
ნიკოა“ თოხივ ქვაბიდან წყ-  
ალი ზათქმით გადმოიდოდა.  
ტივზე სერგომ თავი კურ შე-  
იმაგრა, ქარმა სძლია და ნაცვ-  
ლად იმსასა, რომ ტივის თავიდან  
ზღვაში გადამხარიყო, უეხი

დაუცურდა და ტივის ბოლოს გადავარდა. იმავე მომენტში, იმავე აღვილას, სადაც სერგო გაუჩინარდა, ათასლიტრიანი სასვე კასრი მოჰლი ძალით დაეხეოქა. ყველანი, ვინც გადაღებაზე კიყავით, აღიღონებ გაქვავებულნი, შეშინებულები დავცექროდთ წყლის ზედაპირს... საიდანაც ძალე სერგოც გამოჩნდა, გაჭირვებით ამოძრა ტივზე და დამაშავის სახით თქვა: „მეონია, დუბლი გაფაფუჭე...“

მოხუცი ფოსტალიონის – გიორგის როლს რომ ამზადება ფილმშისათვის „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ სერგო ზაქარ-იაძეს 16 კილოგრამით დაუკლია წონაში. თურმე ამბობდა: ფოსტალიონი შეუძლებელია, მსეუანი იყოს: იძღენს დადის ფეხით, აუცილებლად გამჩნარი იქნება.

სიკო დოლიძე იხსენება: „ერთხელ  
მე და სერგო, რომელსაც ფოსტის მასხ-  
ურის ტანსაცმელი უცვა და მხარზე გაზეთე-  
ბით სავსე ჩანთა ეკიდა, კავშირგაბმულო-  
ბის მინისტრთან შევედით. სერგო მორცებ-  
ვად გაჩერდა კარის ზღურბლთან. მინის-  
ტრი მე მეღაპარაკებოდა და თან სერგოს  
გადახედვდა ხოლმე. ბოლოს თავი ვეღ-  
არ შეიკავა და ჰკითხა — თქვენ ვინ  
ბრძანდებით, რომელი საფოსტო განყო-  
ფილებიდან ხართ?..

“უდიღესი პოლულარობა მოიხვეჭა მსახ-  
იობმა. მასზე მთელი მსოფლიო აღაპარ-  
აქდა. მას ნიჭი და გაქანება საჭეალებას  
აძლევდა, ეთამშა როგორც შექსპირი და  
ტელებერძნული ტრაგედია, ისე თანამედ-

როგორ როლებით, თუმცა სხვადასხვა ქვეყნის  
ათასობით მაყურებლისთვის ის მაინც  
„ჯარის სკაცის მამად“ დარჩა: ამ კინო-  
როლში მან უდიდესი სიმართლით გახს-  
ნა ქართველი კაცის ბუნება და ხასიათი.

მუშაობის ღროს მხოლოდ როლზე ფიქროდა. „ჯარისკაცის მაბაზე“ მუშაობისას, შორეულ ექსპერიციაში იყენებოდა. დოის სიმღერის ამო, ადგომა

ମାଲ୍ଲାଇବ ଅର୍ଦ୍ଧ ଉପଦେଶିତାତି ଯୁଗେଲୁ କ୍ଷୟାରନ୍ଦିରା  
ଏ ଅତ୍ୟନ୍ତଶୀଳିସାଙ୍ଗେ, ମାଗରାଥ କ୍ଷୟାରଗ୍ନ ତ୍ବାଜାର-  
ଆର୍ଥିକ କ୍ଷୟାରାଗନ୍ ଦାଶିତ୍ତର୍ଭେଦା: ମହାଦ ମ୍ୟାଗ୍ନି,  
କ୍ଷୟାରିକ ଉପଦେଶ କ୍ଷୟାରିମ୍ବେ ଗାନ୍ଧାରୀଦ୍ୱୟାଙ୍କ ମନୋରୀ,  
ଶ୍ରୀକୃଣ୍ଣଦ୍ୱୟାଙ୍କ କା ଦାତ୍ମନୀ କ୍ଷୟାରିକ ଲାନ୍ଧିର୍ଭେଦିତ  
ଅଭ୍ୟାସ ତ୍ୟାଗପଦା... ରଙ୍ଗତୀ କ୍ଷୟାରିମ୍ବେ ଦିକ୍ଷ୍ୱର୍ଣ୍ଣାଙ୍କ:  
„ତ୍ୟାଗପଦା ଗାତ୍ରାତ୍ମବିତ, ତିତିରୁପ୍ରାଣି ଅମଦାଵି

## „Հարօսքաբօս մամա“

ცალკე ნოველას ჰერი მოული პირდალებული უსმენდა მის მონათხრობს...“

მსახიობის პროექტების სიყვარულმა,  
საქმითოების თავგანწირვამ განაპირობა, რომ  
ზაქარიაძის გმირი — გიორგი მახარაშ-  
ვალი ცოცხალი, რეალური პიროვნებასაფ-  
თ მიიღო სხვადასხვა ეროვნების მაფურე-  
ბელმა. აღნათ ამიტომაც, ამ კინოგვერს  
გურჯაანში ძეგლი დაუდგეს. ამის პრეც-  
დენტი მგონი, მსოფლიოში არც არსებობს:  
მანაძლე მხოლოდ ლიტერატურული გმირის  
— ლონ-კიხეტის ძეგლი იყო ცნობილი...

„ჯარისკაცის მაბა“ მართლაც მოვ-  
ლენა იყო მსოფლიო კინემატოგრაფიაში.  
1965 წელი იდგა. გიორგი მახარაშვილი  
მსოფლიოს ყველა ხალხისათვის „მმიმ-  
ლიურიკით“ გასაგები და ახლობელი აღ-  
მოჩნდა. როცა ფრანგებმა „ჯარისკაცის  
მაბის“ გასმოვანება განიზრახეს, სერგო  
ზაქრიაძეს სთხოვეს, თვითონვე ჩაეწერა  
გიორგის ტექსტი. დაე, „დამტკრეული“  
ფრანგულით, „გაქართულებული“ ფრან-  
გულით ილაპარაკოს, ოღონდ მეტყველებ-  
ის ქოლორიტი არ დაიტარგოს...

ყველაზე კარგად ეროსი მანჯგაღლაძემ  
გაიღო ამ როლის წარმატების განსაკუთრე-  
ბული საიდუმლო: მასარაშვილის სახის  
შექმნაში მსახიობმა არა მარტო თავისი  
ოსტატობა, არამედ მთელი გული ჩააქს-  
ოვა. ამიტომაც მასარაშვილის ხასათ-  
ში თვით სერგოს თვისებებიცა სკანაური:  
გულისხმიურება, მზადსწრაფულობა, პირო-  
ვნული მთლიანობა და გულისხმიურების  
უდიდესი ნიჭი...

ერთგან რეზო ჩსებიე წერდა: „ბეკრ-  
ჯერ გამგირვებია: საიდან მოდის-მტექი  
აძღენი ქურგია, ამდენი სიცოცხლის ძალა...  
ვათუ, ვეღარ გაუძლოს გულმა, ნერვებმა...  
აკი ასეც მოხდა...“ სერგო ზაქარიაძის  
სიცოცხლე სცენასა და ეპრანზე დაიფერ-  
ფლა.



# ინფარქტის ნინა მდგომარეობა



## თამარ მამაცაშვილი

ინფარქტის წინა მდგომარეობა წარმოადგენს დაავადების ისეთ კლინიკურ ფორმას, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის გულის კუნთის ინფარქტის განვითარებას და რომელის დროსაც შეიძლება აღმოჩნდეს

მთელი რიგი კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემები, რაც ინფარქტის ჩამოყალიბების წინამორბედ ნიშნებად შეიძლება ჩათვალოს. კლინიკური თვლისაზრისით, ინფარქტის წინა მდგომარეობის გამოყოფა იმით არის გამართლებული, რომ მისმა დროულად აღმოჩენამ და შესაფერის მანქურნალობამ ზოგჯერ ინფარქტის განვითარება შეიძლება აგვარიდოს. ინფარქტის წინარე სინდრომის საფუძველს წარმოადგენს შესაფერის გვირგვინოვანი არტერიის დახსობის პროცესის გაძლიერება. გვირგვინოვანი არტერია გულის კუნთის კვებას სისხლით და მისი სანათურის დახსობა გულის კუნთის ნეკროზის იწვევს.

ინფარქტის წინარე მდგომარეობა შემდგენ ნიშნებით შეიძლება დადგინდეს:

1. სტენოკარდიული (გულის არეში ტკივილის) შეტევები, რომელიც წინათ არ ყოფილა.

2. სტენოკარდიული შეტევები უფრო გახშირებულია, ვიდრე ეს მანამდე იყო.

3. შეტევების თვისება იცვლება:

ა) ტკივილი ხდება უფრო ინტენსიური და ხანგრძლივი.

ბ) ნიტროგლიცერინი უფრო არ იძლევა ან მისი მოქმედება შესუსტებულია.

გ) ტკივილის ლოკალიზაცია და გადაცემა (ირადიაცია) იცვლება.

დ) ხნდება მოსკონების სტენოკარდია (მანამდე იყო მხოლოდ დატვირთვის სტენოკარდია).

ამრიგად, ინფარქტის წინარე მდგომარეობის დაგნოსტიკური ისმება ავადმყოფის ჩივილების ყოველმხრივი, დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე. ამ სიმპტომების დროული აღმოჩენა და შესაფერის მეცნიერებლის კი ზშირად, აგადმყოფის ინფარქტისაგან გადარჩენის საფუძველი ხდება.

## 30სას 66-ვა ანუ ერთსას

1. თუ წნევის მომატება ცოტა ხნის წინ დაგეწყოო, არ გაქვთ ძალიან მაღალი მაჩვენებელი (150 მმ. კტ. სვ-ზე ნაკლები) ნუ მიიღებთ რეგულარულად მეზობლებისა და ახლობლების რჩევით, ძლიერ ჰიპოტენუზიურ საშუალებებს. ამ ეტაპზე შეიძლება სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს შემდეგი ზომები:

ა) მოიწესრიგეთ ცხოვრებისა და შრომის რეჟიმი;

ბ) ღამით იძინეთ არანაკლებ 9 საათისა;

გ) შეეცადეთ, შეამციროთ დაბატულობა და ფსიქიკის ტრავმატიზაცია;

დ) ური თქვით თამბაქოს მოწევასა და სპირტითი სასმელების მიღებაზე;

ე) რეგულარულად სვით ვალერიანის 2-2 აბი, 3-ჯერ დღეში;

ვ) შეზღუდეთ მარილიანი საკვები;

ზ) შეამცირეთ თქვენს რაციონში ცხოველური და გაზარდეთ მცენარეული ცხიმი.

თუ ზემოთ აღნიშნული ზომების შემდეგ მდგომარეობა არ შეიცვალა, მაშინ უნდა მიიღოთ ჰიპოტენუზიური საშუალება (სასურველია ექიმის მიერ შერჩეული).

2. თუ ახალგაზრდა ხართ (40 წელზე ნაკლები ასაკის) და უეცრად დაგეწყოო წნევის მომატება საკმარი მაღალ მაჩვენებლამდე. ამასთან, ქვედა ანუ დისტოლური წნევა მეტა 100 მმ. კტ. სვ-ზე, ნუ დაასკნით, რომ დაგემართიათ ნაადრევი ჰიპერტენზია. შესაძლოა, თქვენი წნევა მეტა მეტადად — რაიმე სხვა დაავადებით იყოს გამოწვეული (მაგალითად, თირკმლის ან თირკმელზედა ჯირკვლების პათოლოგით), რომელის სათანადო მეცნიერებლის შედევ, თქვენი წნევაც საკვებით მოწესრიგდება.

3. თუ შაქრიანი დაბეტი გაქვთ და წნევა გაწუხებთ, თვით-

ნებურად ნუ მიღებთ წნევის დამწევ პრეპარატებს, რადგან ზოგიერთი მათგანის გვერდით მოქმედება, შესაძლოა, თქვენთვის საზიანო აღმოჩნდეს. მაგალითად, აღლოვანი იწვევს ზოგიერთი ენდოკრინული ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებას, მათ შორის პანკრეასის. ამიტომ თქვენთვის ეს პრეპარატი სასურველი არ არის.

4. მუდმივად აკონტროლეთ პროტორომბინის ინდექსი და სისხლში ქოლესტერინის შემცველება. ამ ორი მაჩვენებლის დარეგულირება თავიდან აგაცილებთ ჰიპერტენზიული დაავადების გართულებებს: გულის იშმიურ დაავადებას, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლას.

5. შეიძინეთ წნევის აპრატი და გაიზომეთ წნევა დღეში მინიმუმ 2-ჯერ. არ შეიძლება, არტერიული ჰიპერტენზიით დაავადებული კვირაში ერთხელ აკონტროლებდეს წნევის მაჩვენებელს და ვარაუდით სვამდეს ჰიპოტენუზიურ საშუალებებს. განსავედოთ, ამგვარი ქმედებით თქვენ საფრთხის წინაშე დააყენებთ საკუთარ ჯანმრთელობას, რადგან თუნდაც ერთხელ რომ კერ შეიტყოთ წნევის აწევა, შეიძლება ძალიან არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ. ხმირად ხდება საპრისპარო: როცა ავადმყოფს სტკივა თავი და ჰონია, რომ წნევა აქვს, სინამდვილეში კი მისი თავის ტკივილი დაბალი წნევით არის გამოწვეული. ასეთ დროს ჰიპოტენზიური საშუალების მიღებაში შეიძლება კოლაპტოიდურ მდგომარეობამდე მიგიყვანოთ, რომელის დროსაც პაციენტის წნევა 70 მმ. კტ. სვ-ზე დაბლა ეცემა და იგი გონებას კარგავს.

თუ ყურად იღებთ ჩვენს რჩევებს და გაუფრთხილდებით საკუთარ ჯანმრთელობას, თქვენი დაავადება არ განვითარდება. განსავედოთ, რომ უფერადებორ მიტოვებულმა არტერიულმა ჰიპერტენზიამ მეტად საგალალო მდგომარეობაში შეიძლება ჩაგაყენოთ.



# ԱՀԱՅՈՆԸ ՍԱՅՈՒԾՈՒԹՅՈՒՆ ՔԱՐԱՏՈՒ

ოდნავ უფრო ზემოთაა.  
მარცხენა თვალიც  
ოდნავ უფრო დიდია.  
სახის ეს ნაწილი, მარ-  
კვნა ნაწილობ შედარ-  
ებით, ოდნავ უფრო ვი-  
წროვა არის.

კარგად შერჩეული მაკავაჟი საშუალებას გვაძლევს, ხაზი გაფუსვათ და უფრო მკაცრად წარმოვაჩინოთ სახის ამა თუ იმ ნაკვთის სიღრაბზე, დავვიაროთ ნაკლი. მაკავაჟის სწორად შერჩევისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, კარგად ვერპევოდეთ საჯუთარ მონაცემებში.

ზუსტად ერთნაირი სახის ორი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება. ბუნება თითოეულს ინდივიდუალური „პროექტით“ ქნის. სახე ჩვენი სავიზიტო ბარათია ამ უკიდევანო სამყაროში. მას ჩვენი ორიგინალურობისა და განუქმორებლობის ბეჭედი აზის.

ბევრჯერ უცდიათ, დაედგინათ სახის  
იდეალური პროპორციები. ბევრი ბერძე-  
ნი მოქანდაკის პოლიკლეტის მტკიცე-  
ბით, ნორმალური სახის სიგრძე ადამი-  
ანის სიმაღლის ერთი მეტაურის ტოლი  
უნდა იყოს.

სახე პროპორციულად ითვლება, თუ პირობითად შესაბლებელია მისი დაყოფა პორიზონტალურად ოთხ ტოლ ნაწილად. პირველი ნაწილი თავის უმაღლეს წერტილსა და შუბლს შორისაა, მეორე – შუბლიდან (ადგილი თმის ძირებიდან) წარბების ხაზამდე, მესამე – წარბებიდან ზუსტად ცვერის წვერამდე და, ბოლოს, ცვერის წვერიდან ნიკაბის ბოლომდე.

საყოველთაოდ მიღებული აზრით,  
ქურებს შორის მანძილი დაახლოებით  
წარბებიდან ნიკაპის ქვედა ნაწილამდე  
მანძილის ტოლი უნდა იყოს. მაგრამ  
აქვე უნდა აღვნიშვნოთ, რომ არც პრო-  
პორციების სიზუსტე, არც სახის მარ-  
ჯვენა და მარცხენა ნაწილის სიმეტრიუ-  
ლობა არ იძლევა სილამაზის გარანტიას.

ასიმეტრიულობა მეტანაკლებად დამახა-  
სასათებელია ნებისმიერი სახისათვის. კენ-  
ერა მიღლოსელისა და აპოლონის სახეებიც  
კი არ არის დაზღვეული ასიმეტრიულო-  
ბისაგან და, მიუხედავად ამისა, ისინი სიღ-  
ამაზისა და პარმონის საყოველოთაოდ აღი-  
არებულ ეტალონებს წარმოადგენს. აქვთ  
გამომდინარე, რაღა უნდა ვთქვათ უძრავი  
მოკვდავთა სახეებზე? ჩვენ, ყველას, სახის  
ერთი ნახევარი (როგორც წესი, მარცხენა),  
ცოტა უფრო ზემოთ გვაქს აწეული, მარ-  
ჯვენასთან შედარებით. მარცხენა წარბიც

დღიდ მნიშვნელობა აქვს სახის კანის ფერს. სახის კარგი ფერი სილამაზისთვის უდავოდ ბევრს ნიშავს. იძისათვის, რომ სიბერეშიც ნაზი, ვარდისვეგი სახის კნი გქონდეთ, საჭიროა, მასზე ზრუნვა აღრეულ ასაკში დაიწყოთ.

ამ მბზნით ათ-თხუთმეტ დღეში ერთხელ უნდა გაიკეთოთ სპეციალური ნიდაბი, რომელსაც თითქმის თვრამეტი საჟუნევა, წარმატებით იყენებენ ქართველი ქალები;

აიღეთ ახალი ან გამზარი (წელიწადის დროის შესაბამისად) გოგრის თესლი, ფორთოხლის ხის ყვავილი და მანდარინის ქერქი. ეს ყველაფერი გაატარეთ ხორცის საკეპ მანქანაში და მიღებული მასა ნახევარი საათთ გადაისვით სახეზე. ნოღაში ანალუარი თბილი წყლით ჩამოიძანეთ.

სახის ფერსა და, საერთოდ, სახის განის მდგომარეობაზე სუკხორდ მოქმედებს ვარდის ლოსიონი, რომელიც შეძლევანარად მზადდება:

ავილოთ ერთი ჩაის ჭიქა გამშმარი  
ვარდის ფურცელი და დაგასხათ ნახე-  
ვარი ლიტრი თეთრი ღვინო. ათი ღლის  
შეძლებ გადავწუროთ და ლოსიონიც შზად  
არის. სასურველია ამ ლოსიონის სის-  
ტემატურად ხმარება.



# ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ପରିଚୟ

19 წლის ლიზა პოლი გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრაზე ოცნებობს – როგორც ყველაზე გრძელფეხება გოგონა. ინგლისელი დარწმუნებულია, რომ ისეთი ფეხები, როგორიც მას აქვს, არც აქმდე ჰქონია რომელიმე ქალსა და ვერც ახლა დაიკვეჩნიას ვინმე. ლიზის ფეხების სიგრძე 1 მ და 34 სმ მაინც არის – ამბობენ სპეციალისტები და ორმეტრიან ქალბატონს აღნავთას უქმდენ.

ასი წლის ჩინ ენდორიუ კარნევიზ 300 მლნ გირვანქა სტერლინგად თავისი ფოლადის ბიზნესი გაყიდა. მყიდველმა – ბანკირმა ჯ.პ. მორგანმა ხელი ჩამოართვა კარნევის და უთხრა: „გილოცავთ, ბატონი კარნევი. ახლა თქვენ მსოფლიოში უმდიდრესი კაცი ბრძანდებით“. ცოტა ხნის შემცევე, საოკეანო ლაინერზე მორგანთან შეხვედრისას, საუზმის დროს კარნევიზ უთხრა: „იცით, სულ ჩვენს გარიგებაზე ვფიქრობ ხოლმე...“ მცონია, რომ შეცდომა მომივიდა: ალბათ 100 მილიონით მეტი უნდა მომეთხოვა...“ მორგანმა მშვიდად მიუვი: „რომ მოგეთხოვათ, ამ თანხას მიიღებდით კიდევ“. თანამედროვე ამერიკული ფილანთროპის მამამთავარი, რომელმაც თავისი ქნების ცხრა მეათედი საქველმოქმედო მიზნებისთვის გაიღო, ისე მოიშალა, რომ საუზმეც არ დაუმთავრებია...“

ამერიკელებს თავისუ- ფლად შეიძლება, ფილანთ- რობების ნაცია ვუწოდოთ: ამერიკული ოჯახების 70% თავისი შემოსავ- ლების 2%-ს შეწირუ- ლობებზე ხარჯავს. ქველმოქმედებას იმ მო- ქალაქეთა ნახევარი ეწევა, ვისაც წელიწად- ში სულ ცოტა 10.000 დოლარიანი შემოსავალი აქვს. აშშ-ის 100 მლნ მცხოვრებზე მეტი უფასოდ რგავს ხებს, უვლის აგაძმე- ოვებს, უძლვება ბავშვთა წრეებს და სხვა სახეობის კეთილშობილ- ურ საქმიანობას ეწევა. ალბათ ამერიკაში არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე თუნდაც ორი დოლარი არ მიუღია საქველმოქმედო ორ- განიშაციებისგან ან რამე სახის დახ- მარებით არ უსარგებლია.

კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციები დღვევნდელ ამერიკში მძლავრ სტრუქ- ტურებს წარმოადგენს, რომელთაც თანამ- შრომელთა და კონსულტანტთა მრავალ- რიცხვები შეტატი ჰყავთ და მუშაობის მრავალწლიანი პერსპექტიული გეგმები აქვთ შედგინილი. მათ განკარგულებაშია 350 მლრდ დოლარი, ყოველწლიურად კი, გრანტების სახით, 18 მლრდ დოლარს გასცემს. ამის ნახევარი, 300-მდე უმსხ- ვილები ფონდის სახელით გადის.


არადა, ეს საქველმოქმედო ქსელი თავის დროზე იმ კერძო პირთა ქნების საფუძ- ველზე შეიქმნა, რომელსაც თანამემამუ-



სკიპოს კოშკი  
დღეს ცნობილი პერსონები  
ცვლიან ხლომე ერთმანეთს: ამ  
ცოდა ხნის წინ ბალონამ და  
მოგლანდიელმა გაი რიჩიმ აქ  
ქორწილი გადაიხადეს

# გურიანი ეჩებარები

ფილანთროპი უნივერსიტეტი



ლუნი მბარცველ ბარონებს უწოდე- ბენ, – ისეთებს, როგორუბაც იყვნენ როკეფელერი თუ მირგანი. ა. ფილანთროპი- ის ახალი ტიპის პიო- ნერად კი, ქვეყანას ფოლადის იმპერიის ფუძემდებელი, წარ- მომზობით შოტლანდიელი წილიუ კარნევი მოევ- ლინა.

მთელი ეს  
„კარნევი“

უპირველეს რამ, რაც კარ- ნევის სახელთან ასოცირდება, ეს არის კარნევი-ჰილი ნიუ-იორკში, რომელიც 1891 წელს აშენდა და ერთ- ერთ ყველაზე პრესტიულ საკონცერტო დარბაზად ითვლება. ახალი ამბების გა- მოშევებებში ხშირად ხვდება აგრეთვე კარნევის ინსტიტუტი და უნივერსიტე- ტი – მათი თანამშრომლები ხშირად ექცევან ხოლმე ფურადების ცენტრში, როგორც სამეცნიერო ნაშრომების და მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლე- ნების კომენტარიების ავტორები. უმთავრეს საქველმოქმედო „კარნევი“, კი, ნიუ-იორკ-ში მოქმედი კარნევი-კორპორაცია წარ- მოადგენს. მის განკარგულებაში იყო გა- დაცემული 150 მლნ დოლარი, რომელ- საც „პროგრესის ხელშეწყობა და ცოდ- ნისა და ურთიერთობაგების გავრცელება“ უნდა დაეფინანსებინა. კორპორაცია თანხ- ებს გამოყოფს უნივერსიტეტებისათვის, კოლეჯებისათვის, სკოლებისა და თვით საბავშო საგანმანათლებლო ტელეგადა-

ცემისათვის – „სეზამის ქუჩა“.

მსოფლიოში მშვიდობის დამყრების საქმეს ემსახურება კარნევის ფონდი „მშვი- დობა ხალხებს შორის“. მას სულ 10 მლნ დოლარი გადაეცა დაარსებისას, 1910 წელს, სამაგიეროდ ახლა უძველეს სა- ზოგადოებრივ ორგანიზაციად ითვლება მათ შორის, რომელიც ომისა და მშვი- დობის პრობლემებით არის დაკავებული. ფონდი აფინანსებს საერთაშორისო კონ- ფერენციებს, მეცნიერ-მკვლევართა პუ- ლიკაციებსა და ნაშრომებს (მათ შორის, სხვათა შორის, ზიგმუნდ ფროიდიც იყო). არსებობს გმირთა კარნევი-ფონდები, რომ- ლებიც მედლებითა და ფულადი თანხე- ბით აჯილდოებენ მათ, ვინც იმ დროს დასახალდა, როცა „თავისი ამსახავების დაცვასა თუ გადარჩენას ცდილობდა“. სულ 1904 წლიდან ამგვარ ჯილდოებზე 20 მლნ დოლარი დაიხარჯა.

კარნევის ინსტიტუტი, რომელიც 1901 წელს ვაშინგტონში, პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის მხარდაჭერით გაიხსნა, ჩაფ- იქრებული იყო, როგორც სამეცნიერო ცენტრი, რომელიც თავისი კვლევით, საუნი- ვერსატეტო განათლების განვითარებას შეუწოდდა ხელს. ათი წლის მანძილზე კარნევიმ, საერთო ჯაში, ინსტიტუტს 22 მლნ დოლარი გამოუყო. შეიძლება ითქ- ვას, რომ ამ ფულმა უზრუნველყო ახალი პლანეტების და დნკს, როგორც გნე- ტიკური მასალის აღმოჩენა, შეიქმნა რა- დარი და ნაპოვნი იქნა მაისს უძველესი ცივილიზაციის ნაშთები.

განათლების განვითარების კარნევი- ფონდი თავდაპირველად პედაგოგებისთვის პენსიების გადახდას აპირებდა (ენდრიუ

კარნეგი მთელი ცხოვრება აღშფოთებას გამოიქვამდა იმის გამო, რომ მასწავლებლებს, მისი კანტორის კლერების ტოლ ხელფასებს უხდიდნენ), მაგრამ შემდგომ ხელი მოჰკიდა აგრეთვე საგანმანათლებლო სტანდარტების შექმნისა და საერთო ნაციონალური ტესტების უნიფიცირებას.

დღეს „კარნეგის“ ცნება აერთიანებს: პარკებს, ბიბლიოთეკებს, გრანტებს, სტიპენდიებს, საკონცერტო დარბაზებს, მუზეუმებს... მით უფრო საინტერესოა იმის გარევება, თუ ვინ დაგას საკუთარი სახელის უკვდავყოფის ესოდენ იღბლიანი პროექტის მიღმა და რა დაჯდა „კარნეგი-უკვდავება“.

### სტარტი

ენდრიუ კარნეგი, რომელიც მსოფლიოს უძღვისი ადამიანი იყო, 1835 წლის აგვისტოში დაბადა შოტლანდიის შელ დედაქალაქ დანფერმლინში, რომელიც ქსოვილებითა და სამეცნი კოშკით იყო ცნობილი. XIX საუკუნის შუა პერიოდისთვის ხელით ქსოვამ ორთქლის დაზგებთან კონკურენციას ვერ გაუძლო და ენდრიუს მამა – უილ კარნეგი უმშევარი დარჩა. უსაქმიდ დარჩენილმა ფეიქებმა პოლიტიკას მოჰკიდეს ხელი და ე.წ. ჩარტისტული მოძრაობას ჩაუყარეს საუკუნეელი, რომელიც ისტორიის სახელმძღვანელოებში პროლეტარიატის პირველ ორგანიზებულ მოძრაობად შევიდა. თუმცა რამდენადმე სერიოზული შედეგებისთვის ჩარტისტების არ მოუღწევათ. კარნეგის თოხსულიანი ოჯახი (ცოლქმარი და ორი შვილი – ტომი და ენდრიუ) პრაქტიკულად უსასხროდ დარჩა. 1848 წელს მათ ამერიკაში გამზავრება გადაწყვიტეს, სადაც მანამდე უკვე წასული იყო ენდრიუს მამიდა, რომელიც წერდა: „მშრომელი ადამიანი აქ გაცილებით უჭერ ცხოვრის, ვიდრე ძველი ინგლისში“.

მოგზაურობა 50 დღე გაგრძელდა, კიდევ სამი კვირის შემდეგ კი, ემიგრანტთა ოჯახმა, ბოლოს და ბოლოს, მიაღწია დანიშნულების პუნქტს – ქალაქ პიტსბურგს, რომელიც იმ დროს სამრეწველო რევოლუციის ცენტრს წარმოადგენდა. 12 წლის ენდრიუ კარნეგიმ თავის სტიქიაში იგრძნო თავი. ის არ წავიდა სკოლაში და საფეიქრო ფაბრიკაში შეკირდად მოწყობა ამჯობინა. პრაქტიკულად ფსკერიდან დაწყებული მისი კარიერა განუხრელად სულ მაღლა მიიწევდა. თავიდან ენდრიუ კვირაში 1,5 დოლარს იღებდა, მერქ, სატელეგრაფო კანტორაში შეკრიკად მუშაობისას, – 2,5-ს, 20 წლის ასაგში კი უკვე კვალიფიციური ტელეგრაფისტი და პენსილვანიის რეინიგზის დასავლეთის განყოფილების უფროსის, ტომ



კარნეგი-ჰოლი მაგნაგმა არა მარტო ნიუ-იორკს (სურათზე), არამედ მშობლიურ დანფერმლინსაც უსახსოვრა

სკოლის თანაშემწედ მუშაობდა. ქვრივ სკოლთან დიდი მეგობრობის წყალობით, ახალგაზრდა კარნეგიმ თუმცა ძალიან მცირე, მაგრამ მომავლი სიმღდილის გზაზე დიდად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: მისი რჩევით 217,5 დოლარი ჩადო იმ კომპანიის აქციებში, რომელიც საძინებელ ვაგონებს აწარმოებდა. ორიოდე წელი წამში ამ ქაღალდებს წლიურად, 5.000 დოლარი მოჰკიდდა, კარნეგის კი განუმტკიცდა აზრი, რომ დაქირავებული შრომით სერიოზულ ფულს ვერ იშოვო: მისი ხელფასი ათჯერ ნაკლები იყო მისსავე „უშრომელ შემოსავალთან“ შედარებით, მას შემდეგაც კი, რაც მან დაწინაურებული სკოლის აღვილი დაკავა.

კარნეგი განაგრძობდა სხვადასხვა საწარმოში ფულის ჩადებას და 28 წლის ასაკისთვის მისი შემოსავალი უკვე, წლიურად, 40.000 დოლარზე მეტს შეადგენდა. და მანც, განაგრძობდა მუშაობას რკინიგზაზე, სამოქალაქო ომის დასასრულამდე, რამდენ ამას თავის მოკალეობად თვლიოდა. შემდგომში, ერთადერთი დღესასწაული, რომლის დროსაც კარნეგის ქარხნების მუშები არ მუშაობდნენ, დამოუკიდებლობის დღე იყო...

### ფოლადის მეფე

წარმატების მიღწევის ექვსი წესი, რომელიც 1906 წელს კარნეგის კარნახით ჩაწერეს, დახმოუბით ასე გამოიყერება: დაადგინეთ ფულის ზუსტი ოდენობა, რომელიც გსურთ, რომ გქონდეთ; გულწრფელად უასასუებეთ საკუთარ თავს, რა შეიძლება შესწიროთ სიმღდილის მისაღ-

წევად; დათქვით ვადა, რომელშიც თქენთვის აუცილებელი თანხა უნდა დაგროვოთ, შეადგინეთ ამ მიზნის მიღწევის კონკრეტული გეგმა და ა.შ. უმთავრესი წესი მეექსეუ: დღეში ორჯერ, დილით და საღამოს, წაიკითხეთ თქვენ მიერვე შედეგნილი პროგრამა. ამასთან, აუცილებელია ირწმუნოთ, რომ ფული უკვე ჯიბეშმ გაქვთ... შესაძლოა, თავდა კარნეგი ყოველთვის არ ასრულებდა ამ წესებს, თუმცა იმაში, რომ მან გამდიდრების გზაზე ფანტასტიკურ წარმატებებს მიაღწია, უჭირს ვერავინ შეემანის.

პირველი ფოლადსადნობი კომპანია რომ იგდო ხელთ, მაშინ 26 წლისა იყო. 30 წლისამ, რკინიგზიდნ წასვლისთანავე, კიდევ რამდენიმე ფირმა შექმნა, რომელთაგან ერთ-ერთის დანიშნულება, ხის ხიდების ნაცვლად, ფოლადის ხიდების აგება გახლდათ (ცხადია, მასალას კარნეგი საკუთარი ფირმისგან იძნდა). ორიოდე წლის შემდეგ მისი ფირმების ნუსხას სატელეგრაფო კომპანიაც შეემატა.

33 წლის ენდრიუ კარნეგი უკვე პირველხარისხოვანი კაპიტალისტი იყო. ის ნიუ-იორკში გადავიდა და მტკიცებულების გადაწყვეტილო, საქმეებს ჩამოშორებოდა, ოქსიგრადში შესულიყო და, მოცალეობისას, გაზეთის გამოცემით შეექცა თავი. კარნეგის ჩანაწერები, რომელიც, სხვათა შორის, სრული გულწრფელობით არ გამოირჩევა, იმაზე მეტყველებს, რომ ის გრძნობდა – სიმღდიდე ხრწნიდა, ამიტომ სრულყოფილებისთვის უნდა ეზრუნა: „სიმღდილის დაგროვება, კრისაფანისმცემლობის ერთ-ერთი ყველაზე

უარესი სახეობაა. არც ერთი კერპი არ არის იძღვნად დამანგრეველი, როგორიცაა ფულის თაყვანისცემა... იმავე საქმეებით რომ ვიყო დაკვეტული, რომელიც მაიძულებს, მთელი გონიერაც შეიძლება მტერი ფულის, რაც შეიძლება სწრაფად შორის დაუშორჩინოს, – ისეთ დეგრადაციამდე მიყვალ, როდესაც გამოჯავანის ულებელი გახდება... საქმეებს 35 წლის ასაკში ჩამოვშორდები და ყოველდღე, სადღლის შემდეგ, კითხვასა და ოკითგანათლებას დავუთმობ“.

მაგრამ სწორედ ამ მომენტში გაიტაცა იდეამ, რომელიც შორს იყო სრულყოფილებისაგან, სამაგიეროდ, მომენტალურ გამდიდრებამდე მიიყვანდა. ფოლადი, რომელიც რამდენიმე წლის წინ, ხესთან შედარებით საოცარ მასალად მიაჩნდათ, თავისი ხარისხით აღარ აქმყოფილებდა სამრეწველო ბუმის მოთხოვნებს. კარნეგის დიდ ბრიტანეთში, სასწავლებლად მოუხდა წასვლა – ოლონდ, არა ოქსფორდში მეცნიერების დასაუფლებლად, არამედ ასალი კონვერტერული ტექნოლოგიის შესასწავლად.

„ედგარ გომისონის სახელობის“ ფოლადსადნობი ქარხანა კარნეგის პირმშოთაგან იმ იმვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, რომელსაც მისი სახელი არ ჰქვია

კარნეგის საქმოსნის იშვიათი ყნოსვა პქონდა. 1873 წლის საბირჟო რეევამდე ცოტა ხნით ადრე, მან ყველა თავისი აქცია გაყიდა და ამონაგები თანხა ფოლადის წარმოებაში ჩადო. კარნეგის ყველაზე დიდი ფოლადსადნობი ქარხანა 1875 წელს გაიხსნა. 1881 წლიდან კი, კარნეგის ყოველწლიური შემოსავლი უკვე მილიონს აღწევდა. ის დაკვირვებით აღენტებდა ოკალურს წარმოების ყველა სტადიას და კველავერზე ეკონომიას აკეთებდა. ამის შედეგად, კროიდუციის თვითლირებულება ათჯერ შეტკირდა, კომპანიამ CARNEGIE STEEL კი, რომელშიც 1899 წელს მოული მისი ფოლადის ბიზნესი გაფრთიანდა, წარმოების მოცულობით მოული ბრიტანეთის ფოლადსადნობი მრეწველობას გაუსწრო.

### დედიკოს ბიჭი

ენდრიუ კარნეგი მსხვილ, კუბოკრულ ტვილის კოსტიუმებს იცვამდა, საგანგებოდ უკათვდა მალალუექებიან სკამებს, ტანკორჩილობის (მისი სიმაღლე 160 სმ-საც არ აღწევდა) დასაფარავად და

უამრავი ფული დახარჯა შოტლანდიური კოშკის – სკიბოს, ფრანგული ვერსალის ყაიდაზე მოსართავ-მოსაწყობად. ბიზნესმენი იქ წელიწადში რამდენიმე თვეს ატარებდა, გოლფის მაგვარი არისტოკრატიული გართობის ათვისებას ცდილობდა და თავს სიძირითა და მნიშვნელოვან პერსონებთან (მეცე ედუარდ VII, ჩემპერლენი, კი პლინგი...) ურთიერთობით ანებივრებდა. კარნეგის ხასიათის საინტერესო მსარეს წარმოაჩენს ასეთი ჩვეულება: მას სუფრასთან, რომელიმე გამოჩენილი ადამიანის (ვთქვათ, კენტერბრიუელი ეპისკოპოსის) გვერდით, რომელიმე ადგილობრივი მშრომელი კაცის დასმა უყვარდა...

მის ცხოვრებაში ორი შავი ლაქა იყო – კლასობრივი ბრძოლა და პირადი ცხოვრება. ეს უკანასკნელი დედამისს – მეტისმეტად პატივმოყვარე და ეჭვიან ქალბატონ მარგარეტს უკავშირდება. ნიუ-იორკში ის ენდრიუსთან ერთად, „უინდორის“ ოტელში ცხოვრობდა და სულ მუდამ ცდილობდა, გვერდიდნ არ მოშორებდა. ამრიგად, კარნეგი საქმიან შეხვედრებზეც ხშირად დედილოსთან ერთად

დადიოდა. ენდრიუ ჰექუას კარგავდა მის-თვის, ამავე დროს ეშინოდა კიდეც და სულ მუდამ „ჩემს დედოფალს“ ან „ჩემს წმინდანს“ უწოდებდა.

„არ არსებობს ქალი, რომელიც შეიძლება ენდრიუს ცოლობის ღირსად ჩავთვალი,“ – ამბობდა მარგარეტი გულწრფელად. რა გასაკვირია, რომ ენდრიუმ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაბედა დაჯახება, თუმცა მომავალ ცოლთან – 30 წლის ლუიზა უიტფილდთან მისი რომანი ამ დრომდე 7 წლით ადრე დაიწყო (მაშინ კარნეგი 45 წლის იყო).

კარნეგის არ უნდოდა შვილების ყოლა – შესაძლოა, იმის გამო, რომ თავი არ ემტგრა მეტკიდრეების პრობლემებით, და მხოლოდ ექიმთა წყალობით, რომელიც ლუიზას, დეპრესიის დასაძლევად ბაგშის გაჩნას ურჩევდნენ, მათ ქალიშვილი შეეძინათ.

„პროლეტარულმა“ წარმომავლობამ და პროფესიონების მხარდამჭერმა საჯარო გამოსვლებმა კარნეგის სოციალისტის რეპუტაცია შეუქმნა. მაგრამ როცა საქმე მის საწარმოებში დასაქმებულ მუშაკებზე მიღებოდა, ყოველგარ უცლებაზე საუბარიც ზედმეტი იყო. მუშები კვირაში ექვსი დღე, 12-12 საათს შრომიძნენ, გროვებს იღებდნენ და უკაფოვილონიც იყვნენ. 1892 წლის დეპრესიის დროს კარნეგიმ მკვეთრად შეამცირა ხელფასები და გაამკაცრა შრომის პირობები. როცა ცხადი გახდა, რომ მომწიფებული იყო მასიბრივი გაფუცვა, მან უბრალოდ, თავის შოტლანდიურ კოშეში „მოუსვა“. მიამიტი მუშები დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართვისა – „პატარა ბოსმა“ მათი უბადრუკი მდგომარეობის შესახებ შეიტყოს და ყველაფერი უმაღ მოგვარდება. ის კი ამ დროს, თავის მმართველს, ფრიეს უგზანდიდა ტელეგრამებს, რომელებშიც მოითხოვდა, მათ წინააღმდეგობას შეიარაღებული პოლიციელებისა და შტრეიბრენერების მეშვიდით გამჭავებოდა. ფრიეს ზუსტად შეასრულა პატრონის განკარგულება: საქართვის პროფესიონერი გარეკეს, პოლიციელებთან შეტაკებაში 12 მუშა დაიღუპა. როცა ყველაფერი დასრულდა, კარნეგი ევროპიდან დაბრუნდა და ვერაგულდა განაცხად, რომ კველაფერში ფრიეს დამნაშავე მართველმა სამუშაო დაკარგა, თუმცა არაერთგზის გააპროტესტა მეპატრონის გადაწყვეტილება და სასამართლოსაც მიმართა.

ადამიანებთან ურთიერთობებში ენდრიუ კარნეგი თანმიმდევრული იყო. ფრიეს დაკავშირებული ამბავი გამონაკლისი როდის. დადგა მომენტი, როცა ტომას სკოტი, რომელმაც ენდრიუს აღმასვლას



სანგა-კლაუსი

1868 წელს ენდორიუ კარნეგი წერდა: „რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ბოლომდე უნდა ვიხარჯებოდე, ამიტომ დიდი წინდახელულება მმრთებს: საჭიროა სწორად ავირჩიო ცხოვრების წესი, რომელიც ყველაზე კარგად იძრებდებს ჩემზე“.  
20 წლის შემდეგ კარნეგი ამაზე ფიქრს დაუბრუნდა და ამის შედეგად უურნალში მისი საპროგრამი სტატია გამოკვეყნდა, რომელსაც „სიმღიდორის სახარება“ ერქვა. კარნეგიმ თავისი სახელის უკვდავყოფა გადაწყვიტა და მდიდრებს აუხსნა, რა ჴარმოადგენდა მათ უმაღლეს დანიშნულებას. მაგნატმა ორი უმთავრესი პოსტულატი ასე ჩამოაყალიბა: „სიმღიდორე პასუხისმგებლობას ნიშავს“ და „ვინც მდიდარი მოკვება, სამარცვის-ოდ დატოვებს ქვეყნას“. გულწრფელად რომ ვთქათ, კარნეგი მდიდრებს ურჩევდა, ეცხოვრათ მოკრძალებულად, უარი ეთქათ ზედმეტ ზუფუნებაზე, უზრუნველყოთ აუცილებელი საცხოვრებელი პირობებით უახლოესი ადამიანები, მცირდები ქრისტიანთა მამაკაცი მემკვიდრეებისთვის, დანარჩენი კი, სიცოცხლეშივე, „ხელმოკლე თანამომმეთა“ ხევდრის გასაუმჯობესებლად გაეღოთ.

ისეთივე მონადობით, როგორსაც სიძლიდიდრის დაგროვებასას იჩენდა, კარნეგიმ მის დარიგებას მიჰყო ზელი (და კიდევ ერთი მეტსახელი, სანტა-კლაუსი მიიღო – ჯუჯის გარეგნიბისა და ფილანთროპიული მიდრეკილებებისთვის). პრიორიტეტს ის საჯარო ბაბლიონურების შშენებლობებსა და ჭარბების ორგანების აგებას ანიჭებდა, და კიდევ – მასწავლებელთა, სტუდენტთა, უნივერსიტეტებისა და საერთოდ, განათლების სფეროსთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმეს უჭერდა მხარს (როგორც ჩანს, ოქსფორდთან დაკავშირებული განუხორციელებელი ოცნებაც არ ასევენდა). საქვემდოქმედო საქმიანობის მნიშვნელოვან პრეტებს წარმოადგენდა აგრეთვე მშობლიური შოტლანდიისათვის დახმარების გაწვა და მშვიდობისათვის ბრძოლა. ამ უკანასკნელ სფეროში კარნეგის მიერ მიღწეულ შედეგებს შორისაა საერთაშორისო ტრიბუნალის პავაზი აგებული შენობა და ერთა ლითის იდეა.

საგანგებო თემას ბიბლიოთეკების სფერო წარმოადგენდა. ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში კარნეგის მიერ გამოყოფილი 43 მლნ ლონარით ამერიკასა და ევროპაში 3 ათასამდე (!) ბიბლიოთეკა

აშენდა. თვითნასწავლ კარ-  
ნეგის სურდა, რაც შეიძლება  
მეტი ადამიანისთვის „სის-  
ტემატური კითხვისა და  
თვითგანათლების“ საშუალე-  
ბა მიეცა: მას კარგად ესმოდა,  
რომ ახალ საუკუნეში გა-  
ნათლება წარმატების გასაღე-  
ბი გახდებოდა. 100 წლის  
შემდეგ, კარნეგის მიერ აშენებ-  
ულ ბიბლიოთეკებში ბილ  
გეოგრაფიული კომპიუტერები შე-  
იტანა და ამით ქვემოქმედე-  
ბის თავისებური ესტაფეტა  
მიიღო ამ საქმის გზის გამკვ-  
ალავისგან.

საქართველო პიროვნება

და მანც, რა მოტივები  
უბიძგებდა კარნევის, ესოდენ  
ეწერგიულად ეხარჯა ფული?  
ერთ-ერთ მათგანზე თავად გა-  
ნაცხადა: ქველმოქმედება „ფი-  
ქრებისაგან თავის დაღწევის  
საშუალებაა“. როგორც ჩანს,  
მას არცთუ ისე სასიამოვნო  
აწუხებდა ხოლმე. ბოროტი  
ბობდნენ, რომ კარნევი ცდი  
დარიბ ადამიანთა წინაშე ჩადა-  
აშული გამოესყიდა, რომელიც  
ქარხნებში დააზარალა. მაგრა  
დელი კრიტერიუმებით, შრომი-  
იტალის ურთიერთობა მის  
ში სავსეით ჩვეულებრივი  
განვითარებული ფანტაზიის  
ტიკოსები ამბობდნენ, რომ თ-  
ონებით, კარნევის უნივერსიტ-  
საერთოდ მეცნიერების კომპლ-  
ექტადა. მისივე კლასის წარმ-  
ბი კი, მას სოციალისტურ გა-  
ვერ ჰქონიანდნენ: სად გავო-  
კაპიტალისტმა სიცოცხლეში  
ვოს თავისი სიძიდიდრე?! მოკა-  
სანტერესო რამ გამოირკვე-  
კეთება, ისე, რომ მტრები ა-  
გაცილებით ძნელი ყოფილა,  
იტალის დაგროვება.

დღრის გადასახელდინა, პუბლიკა გაცილებით მიმტევებულია. თანაც, კარნევალის მიერ შექმნილი ფონდები საიცრად სიცოცხლისუნარიანი და პროდუციული აღმოჩნდა: ათწლეულობით არსებობის მანძილზე, კაცობრიობის სასიკონოდ, მათ 2 მლრდ ლოდარამდე დახარჯეს დაცივილიზაციის ხევრ მიღწევაში შეუფასებელი წვლილიც შეიტანეს. გარდა ამისა, „მძარცველი ბარონების“ ეპოქაში თვით ეს ბარონები არ ანიჭებდნენ საზოგადოებას უფლებას, ემსჯელათ მათ საქველმოქმედო საქმიანობაზე. ისინი თავს იმ ელიტის წარმომადგენლებად მიიჩნია.



ეს კარნეგი-ბიბლიოთეკა ვაშინგტონში პრეზი-  
დენტმა თეოდორ რუბიკელტმა გახსნა

ნევრონებ, რომლის დანიშნულება არა მარტო სიძლიერის შექმნა, არამედ მისი სამართლიანად განაწილებაც არის. მათთვის ფილანთროპია სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის აღტერნატივა იყო, თანაც მასზე გაცილებით შედეგიანი: ბიუროკრატების ხელგაშლილობა ხშირად, სახაზინო ფულის უღირს ადამიანებზე ფლანგვადაც იქცეოდა ხოლმე. კარნეგის ფილანთროპიის პრინციპი პებიკი, გრანტის მოპოვების მსურველისადმი წაყვეტებულ მოთხოვნას მოგვაგონებს: „ძირითად ამოცანას წარმოადგენს მათი დახმარება, ვინც თავად დაეხმარება საკუთარ თავს... არც ცალკეული პაროვნება, არც მთელი ერი არ შეიძლება გაიზარდოს მისთვის გაღებული მოწყალების შედეგად“.

XX საუკუნის პირველ ნახევარში  
ენდრიუ კარნეგის მაგალითს ამერიკის  
უმდიდრესმა ოჯახებმა მიბაძეს. 1940  
წლისათვის საკუთარი საქველმოქმედო  
ფონდები შექმნილი ჰქონდა 12 დღას-  
ტიას – რიკაფელერებს, ფორდებს, რე-  
ინოლდებს, მელონებს, მაკფრიმიკებს, დი-  
უპონებსა და სხვებს. კარნეგი-კორპო-  
რაციის პრეზიდენტი ვართან გრიგორი-  
ანი, რომელმაც ქველმოქმედებისკენ უბი-  
ძგა ბილ გაიტინ, ფილანთროპებთან დაკავ-  
შირებულ ყველაზე კირკიტა კითხვებს  
ძალუბდ მარტივად პასუხობს: „მნიშვნელო-  
ბა არა აქვს, რატომ აკეთებს ამას –  
მთავრია, კვლავაც გააგრძელონ ამის  
კეთება“. ენდრიუ კარნეგი ნამდვილად  
დაუთანხმებოდა მას.

## გიგანტი აღილდება მამრუჩების

„გზის“ წინა ნომერში გაცნობეთ, რომ ბრიტანული THE SUNDAY TIMES-ის რეიტინგის თანახმად, „მაიკროსოფტის“ მეპატრონე ბილ გეიტის პლანეტის უძლიდრესი ადამიანის

„ტახტიდან“ ჩამოაგდო მაღაზიათა ქსელის WAL-MART-ის მეპატრონემ რობსონ უოლტონმა. მაგრამ უოლტონის „მეფობა“ და ისიც, მცდარი, მხოლოდ ერთ კვირას გაგრძელდა. შეცდომა ავტორიტეტულმა ამერიკულმა ჟურნალმა FORBES-მა გამოასწორა, რომელიც ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, მსოფლიოს უძლიდრესი ადამიანებისა და უმსხვილესი კომპანიების ტრადიციული ყოველწლიური რეიტინგებითაც არის განთქმული. „ფორბსი“ აღნიშნავს, რომ „სანდი თაიმსმა“ შეცდომაში შეიყვანა მკითხველი: პირადი ქონების მფლობელთა სიაში

უოლტონის პირველ ადგილზე მოთავსებისას არ გაითვალისწინა, რომ მისთვის მიწერილ 65 მლრდ დოლარს, მასთან ერთად, უოლტონთა ოჯახის კიდევ ოთხი წარმომადგენელი ფლობს, თავად რობსონ უოლტონი კი „სულ რაღაც“ 17-ოდე მლრდ-ის პატრონი ყოფილა.

უძლიდრეს ამერიკელთა 400 კაციან ნუსხაში „ფორბსი“ უწინდებულად ბილ გეიტს ასახელებს, რომელიც, მისი ვერსიით, ამჟამად 63 მლრდ დოლარს ფლობს („სანდი თაიმსმა“ ვერსიით, ეს ციფრი 54 მლრდ-ს შეადგენდა); მეორე ადგილზეა კორპორაცია „ორაკლის“ ხელმძღვანელი ლოურენ ელისონი (59 მლრდ), მესამეზე კი – კვლავ „მაიკროსოფტ-ელი“ პოლ ალენი (38 მლრდ).

## ყველაზე მაღალანაზღაური თესტერთალი

ასეთად დაასახელა თავის ახალ რეიტინგში ჟურნალმა FRANCE FOOTBALL-მა ზინედინ ზიდანი. გამოცემის მონაცემების თანახმად, საფრანგეთის ნაკრებისა და იტალიური კლუბის „იუვენტუსის“ ნახევარმცველის წლიური შემოსავალი 13 მლნ დოლარს შეადგენს. აქედან 5 მლნ საკუთრივ ხელფასია, 1 მლნ – გამარჯვებებისა და გოლებისთვის მიღებული ბონუსები, 7 მლნ კი – რეკლამიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ყველაზე მაღალშემოსავლიან ფეხბურთელთა პირველი სამეული – იტალიური კლუბების წარმომადგენელია: მეორე ადგილზეა „რომას“ თავდამსხმელი არგენტინელი გაბ-




## შოუმიზნების მედიტაციები ლეიი

ამ რამდენიმე წელის წინ ლონდონში დასახლებული მაღონა დიდი ბრიტანეთის შოუბიზნესის უძლიდრეს მოღვაწეთა სიაში მოხვდა. გაზეთ „სანდი თაიმსმა“ მონაცემებით (იმედია, ამჯერად „სანდი თაიმსმი“ არ ცდება), მაღონასა და მისი მეუღლის, კინორეჟისორ გაი რიჩის საოჯახო ქონება 260 მლნ დოლარს შეადგენს. ამ ქონებით წყვილი რეიტინგის მე-6 ადგილზე აღმოჩნდა და ფულის კეთების ისეთ „მანქანებსაც“ კი გაუსწრო, როგორებიც არიან ელტონ ჯონი და მიკ ჯაგერი, რომლებიც 215 მლნ-ს ფლობენ. სიის სათავეში კი ექსპილოური პოლ მაკარტნია, რომელიც ორიოდე თვის წინ მსოფლიო შოუბიზნესის მოღვაწეთა შორის პირველი მილიარდერი გახდა: მისი კაპიტალი 1,02 მლრდ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზეა (605 მლნ) ცნობილი როკ-ოპერების ავტორი ენდრიუ ლოდ უებერი. მას მოპყვებიან პროდიუსერები კემერონ მაკინტოში (575 მლნ), რობერტ სტივენსონი (290 მლნ) და კომპანია CHRYSALIC MEDIA GROUP-ის ხელმძღვანელი კრის რაიტი.



რიელ ბატისტუტა (10 მლნ), მესამეზე – „ინტერის“ ფორვარდი – ბრაზილიელი რონალდო. ერთი წლის წინ მიღებული მძიმე ტრავმის გამო მისი შემოსავლები მკვეთრად შემცირდა და ახლა მას წელიწადში 8,5 მლნ-ს უზღდიან.

ბრაზილიელს სულ ცოტათი ჩამორჩება ესპანეთის ჩემპიონატის უძლიდრესი მონაწილე რაული (8,3 მლნ), მას მოპყვებიან: დელ პიერო („იუვენტუსი“), რივალდო („ბარსელონა“), კრისტიან ვიერი („ინტერი“), ხიდეტოში ნაკატა („რომა“), ლუიშ ფიგუ („რეალი“). ასეულის ბოლო ადგილზეა ინგლისური პრემიერ-ლიგის მონაწილე დევიდ ბექშემი, რომლის წლიური შემოსავალი 4 მლნ დოლარს შეადგენს.



The crossword grid contains the following entries:

- Top row: სელიო ინდური სასიცარ. (Selio Induri sasitsar.)
- Second row: მტება-ლიაბმა: ძარფესგანი გადაკოტა (Mteba-liaabma: dzarfeesganidi gadaqot'a)
- Third row: გრძელი ფართო მისასხამი (Grdeli farato misasxamni)
- Fourth row: კვამლი (Kvamli)
- Fifth row: „ხევისბერი“ გონი“ (პერსონაჟი) („hevvisberi“ gonis“ (persoonahegi))
- Sixth row: ამოცანის ნაირ-სახეობა (Amocana nairosaxeboba)
- Seventh row: პარტია ჩიგბურ-თში (Par'tia chigbur-tshi)

Other entries and notes:

- Top center: სიგრძის საზომი ერთეული (Sigrzis sazomis ereteuli)
- Middle center: სილვესტრ სტალინეს მეტსახელი (Silvestri Stalinis mettsaxeloi)
- Bottom center: სითხის ან პაერის გასწორების ხელსაწყო (Sithis an paeri's gaspstrebi's helssaq'o)
- Bottom right: სალან ჰატიანა, ერთი... (Salan Hatiaina, ereti...)
- Bottom right corner: მამაკაცის სასიძლერო ხელი (Mamacakaci's sasidlero heli)
- Bottom right corner: ერთ-ერთი რელიგიის დამარსებელი (Ert-ert'i rerelegiis damarisebeli)
- Bottom right corner: გვირვასი ქვა (Gvirvasi kva)
- Bottom right corner: ფერული ფოტო (Ferul'i fot'o)
- Bottom right corner: უნგრული ფულის ენიუშლი (Ungrul'i fulis eniushli)
- Bottom right corner: ანტიღლპა (Antiglpa)
- Bottom right corner: შეაგრი რაგაზ ალანია (Sheagri ragaz alani)

19-ი გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ბ.

30-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ბ; 4-ბ.

# ქვირის (28 მაისი-3 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

მარწივი - 22/V-21VI



არაფრით გამორჩეული კვირა გელით. ორშაბათ-საშაბათს კარიერაზე ფიქრის ბევრი საბაზი გენერაცია, ამავე დროს, საკუთარ ჯანმრთელობაზე უძღვის იზრუნოთ. სიყროთხილე გმირინებით სამსახურში, რაღაც შეცდომის დაშვების შანსი გაქვთ. უმტკბელი კი, მომინჯა და შემწირატებლისა გამოიჩინეთ უფროსი ასაკის ნათესავების მიმართ.

გირჩები - 22/VI-22/VII



კვირის დასაწყისში შესაძლოა, მცირედი დამატებითი შემოსავალი გქინდეთ. გირჩევთ, გადაინახოთ ან რაღაც საქმეში ჩადოთ. თუ ამ კვირაში მივლინებაში წასვლა შემოგთავაზეს, უარს ნუ იტყვით - საუცხოო მოგზაურობა გენერაცია. უქმებისთვის ზოგიერთი პირადული ხასიათის პრობლემას გადაწყვეტით.

ღოვანი - 23/VII-23/VIII



ძალა და მოთმინება მოიკრიბეთ: მთელი კვირა დინების საწინააღმდეგოდ მოგიწევთ მოძრაობა. უბრალოდ, იძულებული იქნებთ, დაარღვოთ ტრადიციები, ყური არ დაუდოთ ავტორიტეტებს და სხვა ამგვარი. და თუცა უმეტესწილად, მართლი იქნებთ, გარშემოყოფით კერ გაგიგაბენ.

ქალები - 24/VIII-23/IX



თქვენი მოვალეობებისადმი, როგორც სამსახურში, ასევე ოჯახში, განსაკუთრებული გულისყური გამოიჩინეთ. თან, იმისთვისაც მზად იყავთ, რომ ყოველგვარი თავდადება შეიძლება არ დაგიფასდეთ, უფრო მეტიც - სხვასაც შეიძლება მიეწოდოს. გულს ნუ გაიტეხთ - იმით მანც დამშვიდეთ თავი, რომ შაბათს სიყვარულით დატებებით.

სასტრი - 24/X-23/X



თითქმის მთელი კვირა სერიოზულ გადაწყვეტილებებსა და სასიკეთო სიახლეებს გიქადით. ნუ შეუშინდებით მასტუბურ საქმეებსა და უჩვეულო წამოწყებებს. ყოველი მათგანი თქვენს სასიკეთოდ შემობრუნდება - მთავარია, გონივრულად იმოქმედოთ.

ღრიადები - 24/X-22/XI



კვირის დასაწყისში ბედის ერთმა შემობრუნებამაც შეიძლება დაგირღვიოთ გეგმები. ამას ნუ შეუშინდებით - არანაირი კატასტროფა ამაში არ არის. უბრალოდ, საჭიროა, მეტი ენერგია მოახმაროთ ყველა საქმეს, რომელსაც ხელს მოპარდებთ. რაც შეეხება უქმებებს - წვეულებაზე შეიძლება თქვენი იდეალი შეგხვდეთ.

გევილდოსანი - 23/XI-21/XII



კვირის პირველ ნახევარს, რომ იტყვიან, დაუბრკოლებდად გაირჩებით: ყველა საქმე საუცხოოდ გამოიგოვთ. ამის შემდგომ შესაძლოა, უცაბედად გაჩერდეთ: რაღაც პრობლემა ჩიხში მოგაქცევთ, მაგრამ კედელს შუბლს ნუ მიახლოთ - უქმებისთვის კვლავ დაგიბრუნდებათ იპტიმიზმით. დაითენი თქვენთვის ჩვეული ენერგიულობა, ხანდახან თქვენც გჭირდებათ დასვენება!

თხოს რქა - 22/XII-20/I



კარგი გუნება-განწყობა და ძალების მოზღვავება მომზინდლავსა და ენერგიულს გაგხდით. ოთხშაბათს შეიძლება მეგობართა წვეულებაზე გამოიჩინოთ თავი. აი, პარასკევს კი დიდი ყურადღება გმართებთ: ზედმეტმა ემოციურიბამ შეიძლება შეცდომა ჩაგადენილოთ.

მარწივი - 21/I-19/II



ეს კვირა უსიამონო ფინანსური სიურპრიზით შეიძლება დაგეწოდო, მაგრამ სასოწარვეთას ნუ მიეცამით: უპევ კვირის შეუაპილდისას შეძლებოს გამოსწორებას. საერთოდ, საქმე კარგად გაქვთ. ეს პერიოდი თქვენთვის ძალზე კარგა ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით - როგორც სამსახურში, ისე რვახსა თუ მეგობრების წრეში.

თვეზეანი - 20/II-20/III



თუ ესა თუ ის თქვენი პროექტი კვირის დასაწყისში თუნდაც მცირედ სარგებელს მოგიტანთ, ეცადეთ, სწორედ მასზე გააქეთოთ აქცენტი გეგმების შედეგნისას. საერთოდ, სწორედ მომავალზე ფიქრში გმართებთ ამ კვირის გატარება.

გებები - 21/III-20/IV



კვირის შეუაპილდებობა მაღალი ყველაფერი ძალზე უპრობლემოდ წარიმართება, მეორე ნახევარში კი მგვთ-რად მოიმატებს დაძალულობა სამსახურში: შესაძლოა, დროში შეზღუდული აღმოჩნდეთ და უფროსობის ზეწოლის ობიექტადაც იქცეთ. ეცადეთ, არ გადადგათ ნაჩქარები ნაბიჯი.

გებები - 21/IV-21/V



კვირის დასაწყისში შეიძლება ინფორმაციის ნაცალებობა იგრძნოთ, შესაძლოა, განათლების დეფიციტის პრობლემაც წამოიჭროს, რომელიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში შეგიშლით ზელს. სჯიბს, სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინოთ, რათა თქვენსას მაინც მიაღწიოთ. დანარჩენი ყველაფერი საუცხოოდ წარიმართება, ერთის გარდა: ამ კვირაში მოუღლონდენ ხარჯის გაწევის შანსი გაქვთ.

# შეგიძლიათ თუ არა თავისे ფლობა?



1. შეგიძლიათ თუ არა გულწრფელად ისაუბროთ საკუთარ პრობლემებსა და სირთულეებზე?

- ა) არა, ეს არ გაშენდით;
- ბ) დაახ, თუ კეთილისმეტრელი მოსაუბრე გამოიგინდებათ;
- გ) იშვიათად: პრობლემებს ძალიან განიცდით.

2. რამდენად ღრმად განიცდით წყნასა და წარუმატებლობა?

- ა) საკუთარი წარუმატებლობა ყოველთვის ყველაზე მხმარე გადასატანა;
- ბ) მიზეზებსა და შედეგებზე დამოკიდებული;
- გ) ცდილობთ, ფილოსოფიურად მოუდგეთ – ყველა უსიამოებება ხომ ოდესლაც მოაფრიდება.

3. როგორ იქცევთ, როცა რამე მოვლენა ძალიან გაგანწყვებით?

- ა) საკუთარ თავს სასიამოვნო სიურაზში მოუწოდოთ;

თითოეული ადამიანი სხვებისგან განსხვავდება. ზოგს უმძიმესი განსაკუდელიც ვერაფერს აქლებს, ზოგს კი უმცირესი უსიამოვნებებიც მიწაზე „ბეჭებით აკრავს“. პიროვნების რომელ ტიპს მიეკუთვნებით? მოცემულ ტესტში პასუხებს შორის შეარჩიეთ თქვენთვის შესაფერისი ვარობანტი.

ბ) საუკუთხსო მეგობრებით ერთად სავაჭმოდ წახვალოთ;

გ) შინ დარჩებით და დაიბორბებით.

4. ბენზინერების წუთებში, უმტესად:

ა) არ იხსენებთ წარსულ უსიამოებებს;

ბ) შიშობთ, რომ ეს წუთები წარმავალია;

გ) ცხოვრების ჩრდილოვანი შარებიც არ გავიწყდებათ.

5. როცა ახლობელი ადამიანი გაგანწყვებით:

ა) საკუთარ თავში ჩაიკტებით;

ბ) მოითხოვთ ახსნა-განმარტებას;

გ) ამის შესახებ ყველას უმბობთ, ვინც კი მოსმენს მოისურვებს.

6. რას ფიქრობთ ფსიქუატრების შესახვები?

ა) მათ სელში მოხვდერას არავის უსურებთ;

ბ) ბევრი ადამიანის შველა შეუძლიათ;



გ) ისინი ყოვლისშემძლენი არ არაან, ადამიანი საკუთარ თავს თვითონ უნდა დაეხმაროს.

7. სხვა ადამიანთა აზრები:

ა) მუდამ თან გდევთ;

ბ) თქვენ მიმართ მუდამ უსამართლო გჩვენებათ;

გ) ცხოვრებაში გეხმარებათ.

8. რაზე ფიქრობთ ოჯახური კამათის შემდეგ, როცა სიბრაზის შემოტევა გადაგილოთ?

ა) მოუწყდავად ყველაფრისა, ბევრი კარგი რამ განსხვავთ;

ბ) გუნდებაში გემავთ შერისძიებას;

გ) ფიქრობთ, რომ ამჟერად ერთმანეთს ყველაფრი უთხარით.

	<b>1</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>4</b>	<b>5</b>	<b>6</b>	<b>7</b>	<b>8</b>
<b>ა</b>	<b>3</b>	<b>4</b>	<b>0</b>	<b>1</b>	<b>3</b>	<b>4</b>	<b>5</b>	<b>1</b>
<b>ბ</b>	<b>1</b>	<b>0</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>0</b>	<b>2</b>	<b>2</b>	<b>2</b>
<b>გ</b>	<b>2</b>	<b>2</b>	<b>4</b>	<b>5</b>	<b>1</b>	<b>3</b>	<b>1</b>	<b>3</b>

## დააჯავახთ მიღებული ძულები

**6-15 ძულა:** საკუთარ უსიამოვნებებს ადვილად უქმდავდებით; შეგიძლიათ სწორად შეაფასოთ ისინი. ამასთან, საკუთარ თავზეც იშვიათად ბრაზდებით. თქვენი სულიერი წონასწორობა პატივისცემის ღირსა დარის.


**16-26 ძულა:** დროდადრო გიყვართ საკუთარი თავის გაკილვა, მაგრამ, საბედნიეროდ, განმუწტვის მშენებირ საშუალებას ფლობთ – თქვენს პრობლემებს ახლობლებს შესტირებთ და მაშინვე სიმსუჟეს გრძნობთ. სასურველია, მეტად ფლობდეთ საკუ-

თარ თავს და სირთულეების გადალახვისას მხოლოდ ამ მეთოდს ნუ გამოიყენებთ.

**27-31 ძულა:** საკუთარ პრობლემებთან ბრძოლა არ გისწავლიათ, ამიტომაც განიცდით მძიმელ მცირე უსიამოვნებასაც კი, საკუთარ თავში იკეტებით და ბრაზობთ. აუცილებლად უნდა მოიკრიბოთ ნებისყოფა. ბევრი ისეთი კარგი თვისება გაქვთ, რომელიც შეგაძლებინებთ ცხოვრების მიერ მოწყობილი სიურპრიზების და განსაცდელის გადალახვას.

## აუთაციო ეთენიები

დათუნია გამტბი, პოპულარული ზღაპრისა და კიდევ უფრო პოპულარული მულტიპლიკაციური ფილმის პერსონაჟები არიან, რომლებსაც სხვადასხვა ფერის მარტელადისგან ამზადებენ და მრავალი წელია ამერიკელი და ევროპელი ბაზების საყვარელ წევბარს წარმოადგენს. მაგრამ ეს სასუსნავი კიდევ დიდხანს იქნება მაუწვდომელი იმ ქვეწების პატარებისთვის, სადაც საკვები პროდუქტები, რელიგიური შეხედულებებიდნ გამომდინარე, მყავრად რეგლამენტირებულია. მიზეზი მარტივია: მარტელადის შემადგენლობაში ღორის ძელებისგან დამზადებული ჟელატინი შედის. იმ ქვეწებში, სადაც ისლამი სახელმწიფო რელიგიაზე არას გამოცხადებული, საკვებად ღორის ხორცის გამოყენება დაუშვებელია, ამიტომაც აკრძალული პროდუქტების სიაში ეს „უცოდველი“ კანფეტიც ზედგება.



### მხარეაჭება პუტანებს!

ანა ნიკოლ სმიტმა აქტივურად დაუჭირა მხარი ევროპის მოდელების სახლების ინიციატივას, რომლებიც მოითხოვენ – შეწყდეს ტანსრული ქალბატონების დასკრიმინაცია და ჩვენებების დროს პოლიუმზე თითო პუტანა ქალბატონი გამოიყვანონ. ნიუ-აორკში, მაღალი მოდის აკირულზე მან ამერიკელ მოდელიერებს მოუწოდა, ბოლოს და ბოლოს, სათანადო ფურადღება მაჯციონ შშვენიერი მანდილოსნების ამ ნაწილს.



### გახთობა ძვირა უჯღაბათ

საფრანგეთი ვიგანტური ხარ-ბაყაფების შემოსევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ესპერტების აზრით, მალე „მწვენე ველურები“ საბოლოოდ გაანადგურებენ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის ეკოლოგიას და მეზობელ რეგიონებშიც შეაღწევენ. სხვათა შორის, ქვეყანაში ხარ-ბაყაფას შევანა კრგა ხანია აკრძალულია. ახლანდელი ბაყაფები კი იმ მანებლების შთამომავლები არიან, რომლებიც 80-იან წლებში ზოგიერთმა ფრანგმა გასართობად შემოიყანა.



### ჰიტლეს მუსაფილმები ჰუვაჰებია

ჰიტლერსა და გებელს უოლტ დისნეის მულტიპლიკაციური ფილმები ძალიან მოსწონდათ – ასეთ დასკვამდე მივიღნენ ფაშისტური არქივის შემსწავლელი გერმანელი ისტორიკოსები. მათ აღმოაჩინეს ასზე მეტი ანტისემიტური მულტფილმი, რომელშიც დასხენია ანიმაციური ტექნიკის კოპირება ხდებოდა. „ჰიტლერი ოცნებობდა, მიკი-მაუსი ებრაელების განადგურებაში დახმარებოდა, – აცხადებს ერთ-ერთი მკვლევარი ულრის სტოლი – მესამე რაიხის ზოგიერთ ქალაქში მუშაობდნენ სტუდიები, რომლებიც დასხენის გამოცდილების შესწავლითა და ფაშისტურ თარგზე მისი მორგებით იყენებ დაკავებულნი.“

### ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი შურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიას“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა თემურ მღებრიშვილმა


**ვულცავთ ბატონ თემურს და ვუსურვებთ წარმატებებს!**

### კუნძულისაზე რისევა

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაბობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოებები აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ეურნალის მემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, მეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგგავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (29 მაისის) 13 საათამდე.



„ვანტაზია“  
კუნცორაპანდისტების  
რისენა



„ვანტაზიორობს  
მეტაველი“  
„ასლათოგანა“ ჩაით ვოგია

შერინგი



# შერინგ სკინორენი სარჩევავით კრიალუ ქანი



სამკურნალო  
საზაფარი  
თქვენი  
ქანისთვის

